

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის  
საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-  
საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება  
ცოდნის“ ჟურნალი

# სიცოდა

„როცა საზოგადო მნიშვნელობის  
აზრი ამოქმედებს სიტყვას, მაშინ  
თვითონ თქმა ქმნად გადაიქცევა  
ხოლმე“



№26  
2015

უურნალ „სიტყვის“ გამოცემა გრძელდება საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ წესდების საფუძველზე, რაც საჭირო ცვლილებებით დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით №366, 30.09.2005 წ. მოწმობა №00541/12/0293

### სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო უურნალი „სიტყვა“

თუ რედაქციაში შემოსული მასალები არ ემთხვევა რედაქციის პოზიციას, გამოქვეყნებულ წერილებში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი

უურნალში გამოქვეყნებულ მასალებზე საავტორო უფლება ეკუთვნის „სიტყვის“ რედაქციას. შეუთანხმებლად რაიმეს გადატეჭდვა კანონის ძალით აქრძალულია. უურნალი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ სტაბბაში

სარედაქციო კოლეგია:

**ნუგზარ წერეთელი (მთავარი რედაქტორი),  
ნოდარ ზედელაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი),  
გურამ გეგეშიძე, ემზარ კვიტაშვილი, ნიკო ლეონიძე, თეა მამარდაშვილი,  
ტარიელ სტურუა, ალექსი ჭედია, ნინო წერეთელი.**

**რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №47.**

**საკონტაქტო ტელეფონები:  
299-00-35, 299-94-46, 293-43-10  
577-52-31-31, 555-39-28-83**

ISSN 1987-77-49

Ý საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“

## შინაარსი

1.	შესაგალი „საზოგადოება ცოლნაში“ .....	4
2.	საიუბილეო პუბლიკაციები .....	7
	<b>მხატვრული ლიტერატურა</b>	
	<b>პროზა</b>	
3.	ლალი ბრეჩვაძე-გახიანი - დილამშვიდობისა, ბატონო ნოქ! .....	28
	<b>ლიტერატურება, პრიტიკა</b>	
4.	ემზარ კვიტაიშვილი - სიბრძნესთან შეზავებული თავკაცობა .....	37
	<b>ხსრვნა ნათელი</b>	
5.	ნუგზარ ჭერეთელი .....	47
6.	გურამ გეგეშიძე .....	59
7.	ნოდარ ზედელაშვილი .....	61
8.	დათო ჯაგახიშვილი .....	64
	<b>რომანის წინასიტყვაობა</b>	
9.	რომანი „გზები წყვდიადში“ .....	65
	<b>მხატვრული ლიტერატურა, პროზა,</b>	
	<b>სტუდენტი-ახალგაზრდობის შემოქმედება</b>	
10.	ნინო სულაშვილი – ლექსები .....	68
11.	ანა ლაშჩარაშვილი – ლექსები .....	70
12.	თამარ შვამანი – ლექსები .....	72
	<b>ლექტორ-მასტაგლებელთა შემოქმედება</b>	
13.	მერაბ თხელიძე – ლექსები .....	75
	<b>გვითხვებელთა შემოქმედება</b>	
14.	გოგი ჩიჩუა – ლექსები .....	78
15.	ჯონეო ჭერეთელი – თავისთვის წერდა .....	79
16.	გამოშვებებელი ლექსების რვეულებიდან .....	85

## საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნაში“



საინტერესო ისტორია აქვს საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო კავშირს „საზოგადოება ცოდნას“, იგი 1947 წლის მაისიდან არსებობს და ფუნქციონირებს, ორ წელიწადში კი დაარსებიდან სამოცდათი წლისთავის საიუბილეო თარიღიც აღინიშნება. განვლილი წლების მანძილზე საზოგადოება „ცოდნა“ წარმატებით ხელმძღვანელობდა ქვეყანაში ლექციური განათლებისა და სახალხო უნივერსიტეტების ფართო ქსელს, ქალაქებისა და რაიონების გარდა ყველა სოფელს

ათასობით მაღალკვალიფიციური ლექტორთა ძალებით სტუმრობდა, ხელს უწყობდა ხალხის თვითგანვითარებას, პოპულარულად უხსნიდა სიახლეებს, აცნობდა ეროვნული ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების წარსულს, აწმყოსა და მომავალს, პასუხობდა ყველა სახის მწვავე შეკითხვას. საინფორმაციო ურთიერთობების ასეთი ფორმა ხალხს მოსწონდა, მოთხოვნილებაც საკმაოდ დიდი იყო, წლის მანძილზე „საზოგადოება ცოდნის“ ასობით რეგისტრირებული ლექტორი რესპუბლიკაში უამრავ საინტერესო ლექციას კითხულობდა, ან საფუძვლიან ახსნა – განმარტებით საუბარს ატარებდა. ამავე დროს „ცოდნის“ ხაზით გამოდიოდა 120-ზე მეტი დასახელების ბროშურა ეროვნული ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროდან, საიდანაც ხალხს პოპულარულად განემარტებოდა უამრავი პრობლემა, ასევე გამოდიოდა ჟურნალების სერია საერთო სათაურო „კითხვა. პასუხი. პრობლემა“, რაც საზოგადოებრიობაში პოპულარობით სარგებლობდა.

1991-1995 წლების მძიმე არეულობის წლებში „საზოგადოება ცოდნის“ საქმიანობა საგრძნობლად გართულდა, მაგრამ მაიც მოელი მონდომებით მიმდინარეობდა. იმ პერიოდში უკვე საკმაოდ დაუძლურებული სახელმწიფო მაიც გვიწევდა შესაძლო დახმარებას. 1994 წლიდან ქ. თბილისის ღრმა ცენტრში არსებული და

„ცოდნის“ ცენტრალური საბჭოს მიერ დაფინანსებული ჩვენი შენობა გადმოგვეცა ფლობისა და განკარგვის უფლებით, 1998 წლიდან კი უკვე სრულ საკუთრებაში, პირად ბალანსზე აყვანით. 1994 წლიდანვე სახელმწიფო „ცოდნა“ ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ორგანიზაციათა სიაში შეიყვანა, რაც დიდად უწყობდა ხელს „ცოდნის“ ყოველდღიურ მუშაობასა და საქმიანობის აღმავლობას. 2001 წლიდან, მაშინ ჯერ კიდევ ახლადდანიშნულმა ფინანსთა მინისტრმა „საზოგადოება ცოდნა“ ერთ-ერთი პირველი ამოილო აღნიშნული დაფინანსების სიდან და ორგანიზაცია უსახსროდ დატოვა, ვინც თავად უნდოდათ, კი არ ამოუშლიათ. ამას ზედ დაერთო მოძღვნო წლებში ქართული ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნებისადმი ზემდგომი ორგანოების ყურადღების საკმაო შესესტება, რამაც ბუნებრივია, მძიმედ იმოქმედა „ცოდნის“ სალექციო-საინფორმაციო მოღვაწეობაზეც და ეს დიდი, წლობით პირობირებული საქმე ჩაშლის პირამდის მიყვანა. უკვე აღარ იყო სახსრები, რომ საზოგადოების გამოჩენილი ლექტორები, რომელთა რიგებშიც იყვნენ აკადემიკოსები, პროფესორები, დოქტორები, მწერლები, ყველა დარგის თვალსაჩინო სპეციალისტები, მულინებით გაგვიზავნა ქვეყნის რაიონებსა და სოფლებში ხალხთან შესახვედრად და ხალხთან გულახდილი საუბრებისათვის. ამიტომაც იყო, რომ „საზოგადოება ცოდნა“ დაადგა საკუთარი წესდებით განსაზღვრულ საგანმანათლებლო მოღ-

ვაწეობისა და ახალგაზრდა თაობის აღზრდისათვის ხელის შეწყობის მომიჯნავე და ასევე აპრობირებულ გზას.

ჯერ კიდევ 1950 წლიდან „საზოგადოება ცოდნაში ფუნქციონირებდა სამედიცინო ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი. როგორც აღნიშნეთ, მაშინ და შემდგომ წლებში ქვეყნის ოლქებისა და რაიონების მასშტაბით 150-ზე მეტი სახალხო უნივერსიტეტი მოქმედებდა, რომელთა შექმნაც და ხელმძღვანელობაც ქვეყნის მთავრობის დადგენილებით მთლიანად „საზოგადოება ცოდნას“ ევალებოდა. ორი და სამი წლის სწავლების შემდეგ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე სახალხო უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებს უწყებრივი და არა სახელმწიფო დიპლომებიც ეძლეოდათ, რაც მათ ხელს უწყობდათ ზოგადი განათლების მიღებაში და სამსახურებრივ წინსვლაშიც გარკვეულწილად ეხმარებოდათ, რადგან მაშინ ამ სახის საზოგადოებრივი პროექტების განხორციელება სავალდებულო და საპატიო სფეროს წარმოადგენდა,

1993 წლიდან „საზოგადოება ცოდნაში“ წარმატებული ფუნქციონირება დაიწყო ატესტირებულმა სამედიცინო კოლეჯმა, რომელიც 2000 წლიდან უმკაცრესი ატესტაციის გავლის შემდეგ უნივერსიტეტიც იყო და სასწავლო უნივერსიტეტიც.

საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ უმაღლესმა აკადემიურმა სასწავლებელმა ნაყოფიერი გზა განვლო. მან წარმატებით გაიარა ყველა საფეხური და ბარიერი, მიიღო ატესტაციაც, ავ-

ტორიზაციაც, გასულ წელს კი განმეორებითი აკრედიტაცია მოიპოვა ხუთი წლის ვადით, ამავე დროს მივიღეთ ავტორიზაცია პროფესიული მიმართულებითაც. აქ მედიცინის პირველი საფეხურის მაღალკალიფიციური მუშაკებიც მომზადდებიან, რაზედაც ქვეყანაში დიდი მოთხოვნილებაა.

საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ უმაღლეს აკადემიურ სასწავლებელში ასწავლიან ჩვენი ქვეყნის ფარმაციის ხაზით მომუშავე საუკეთესო, ძლიერი, მაღალკალიფიცირებული კადრები, სრული და ასოცირებული პროფესორები, რომელთაც ცნობილი პრაქტიკული ფარმაცევტების თაობები ჰყავთ აღზრდილი. მაღალი დონის განათლების მიღებასთან ერთად ისინი რექტორატისა და ადმინისტრაციის მხარდამხარ სითბოსა და ყურადღებას არ აკლებენ მომავალ ფარმაცეტებს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ „საზოგადოება ცოდნის“ უმაღლესი აკადემიური სასწავლებლის კურსდამთავრებულები დასაქმების ანუ სამსახურში მოწყობის ძალიან მაღალი კოეფიციენტით გამოირჩევიან. ჩვენთან ბაკალავრის სახელმწიფო დიპლომიდან მუშაობენ საზღვარგარეთის ქვეყნებშიც, საქართველოში კი პსკ-ს სისტემის აფთიაქებში, წამლის სააგენტოში თუ

ეროვნული ფარმაციის სხვა ცენტრებში.

ასევე განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, ის გარემოება, რომ 2013 წელს, ძალიან დიდი და რთული მზადების შემდეგ, ჩვენ მოვიპოვეთ აკრედიტაცია და ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტიც გაიხსა, სადაც მოღვაწეობები ძალიან მაღალი დონის კადრები და სწავლების საქმეც სასურველი წარმატების გზებით მიმდინარეობს.

საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნაში“ ფუნქციონირებს გამომცემლობა, სადაც იბეჭდება ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების სახელმძღვანელოები, შრომები, სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციის მასალები. „ცოდნაშივე“ გამოდის სქელტანიანი (150-200გვ.) უურნალი „სიტყვა“, სადაც ხშირად იბეჭდება პროფესორებისა და სტუდენტების შრომები, მხატვრული შემოქმედების ნიმუშები, ლექსები და მოთხოვნები, ნარკვევები და ჩანახატები.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“ დგას ახალი პრობლემების, ახალი გამოწვევების წინაშე და მონძომებით ცდილობს თანამედროვე მოთხოვნების დონეზე წარმართოს ყოველდღიური საქმიანობა, კვლავაც აკეთოს საჭირო და ქვეყნისათვის სასარგებლო საქმე.

**საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის „საზოგადოება ცოდნის“ გამგეობა**

## 0 შებილე

2015 წლის 9 სექტემბერს საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ თავმჯდომარე-რექტორს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ნუგზარ წერეთელს დაბადებიდან ოთხმოცი წლის საიუბილეო თარიღი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით ქართულ მედიაში გამოქვეყნდა მისალმებები და მწერლის შემოქმედების ცალკეული ნიმუშები. ჩვენი უურნალის მკითხველებისათვის განმეორებით ვაქევენებთ აღნიშნულ მასალებს – „მწერლის გაზეთის“, „ქართული სიტყვის“, „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე დაბეჭდილი თანმიმდევრობით.

### „მომარტინის ბაზეთი“ №7, 1-30 სექტემბერი

80 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნუგზარ აკაკის ძე წერეთელი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამა:

ჩვენო ძევირფასო და საყვარელო ბატონო ნუგზარ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი პატივისცემით მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედს, მეცნიერს, მამულიშვილს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 80 წლისთვავს.

თითქმის ექვსი ათეული წელია, რაც გრძელდება თქვენი მრავალწახნაგოვანი შემოქმედებითი ცხოვრება. აწ უკვე ისტორიის ანალებში მოქცეულ 1958 წელს შედგა თქვენი სამწერლო დებიუტი, როცა უურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსები. მას შემდევ თქვენი ნაწარმოებები – ლექსები, რომანები, მხატვრული თარგმანები, ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები, სამუცნიერო

მონოგრაფიები სისტემატურად ქვეყნდება ქართულ ლიტერატურულ პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად. ორმოცდაათზე მეტი წიგნის ავტორი მრანდებით.

თქვენი პოეტური კრებულები, ისეთები, როგორიცაა „ყველა სიმღერა იწყება შენით“, „მარად და ყველგან“, „ფიქრიანი შემოღვიმება“, „ახალგაზრდობა“, „უწყვეტი ძახილი“, „რის სიყვარულიც მე მისწავლია“, „საქართველოს ერთი მეცისოვნება“, „დიდი სათქმელი მოკლედ“ (ორ ტომად), „მწუხრის უამი“, „ნაოცნებარსა და რეალურს შორის“ (რჩეული) ქართველმა მკითხველმა შეიყვარა გულწრფელებისთვის, შეიყვარა იმიტომაც, რომ ამ კრებულებში შესული ლექსებით მათ წინაშე მოელი სისრულით წამოიმართა სამშობლო ქვენის ჰემმარიტი პატრიოტის მონუმენტური ფიგურა, რომლისთვისაც საქართველო მკერდშენგრეული ციხეა, დუღაბჩამოშლილი და იავარქმნილი ციხე, რომლის სისხლმდინარე იარებს მუდმივი სულის ბერვა სჭირდება, რათა „ვეფხისა და მოყმის“, „ჩაკრულოს“,

სვეტიცხოვლისა და გელათის შემქმნელი ერი გამარჯვებული გამოვიდეს დროსთან ჭიდილში, რათა კვლავც ამაყად ფრიალებდეს ჩალისფერი დროშები ივერიონთა მოდგმის სადიდებლად.

საქართველოს წინაშე მდგარ პრობლემებს, მის მოურჩენელ იარებს ეძღვნება თქვენი რომანები „სიკვდილი ოცდაათ ლარად“, „დაუსრულებელი ზამთარი“, „ქვების სროლის უამი“ და „გზები წყვდიადში“...

ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობა. განსაკუთრებული ღვაწლი დასდეთ სიმონ ჩიქოვანის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევას. ქართული პოეზიის ამ ფრიად მნიშვნელოვან წარმომადგენელს ეძღვნება თქვენი მონოგრაფიული ნაშრომები („სიმონ ჩიქოვანის შემოქმედება“, „სიმონ ჩიქოვანი და ხელოვნების საკითხები“, „ნაციონალური და ინტერნაციონალური სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში“). ამ გამოკვლევებისათვის 1992 წელს ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორის წოდება მოგზიშათ.

თქვენი მეგობრები ქართული მწერლობის ავთანდილად მოგიხსენიებენ. ავთანდილისეული დიდი, უკიდეგანო მეგობრობის ნიჭი უხვად დაგამადლათ არსთავამრიგებ და იმიტომ. მართლაც რომ გასაოცარია ის უფაქიზესი, უსათუთესი დამოკიდებულება, რომელიც უდვიოდ აღსრულებული გურამ რჩეულიშვილის ხსოვნისადმი გამოავლინეთ. რამდენი სითბო, სიყვარული, სევდა და ნაღველი ჩაქსოვეთ გურამის-

ადმი მიძღვნილ წიგნებში („მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“, „აი, მე, გურამი ვდგავარ თქვენს წინ, „გურამ რჩეულიშვილის ლეგენდა გრძელდება“), რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღებით ჩვენი ახალგაზრდა თაობა უნდა გაეცნოს, რათა უკეთ გაიგოს ჰეშმარიტი მეგობრობისა და ერთგულების მაღლისა და მირონის გემო...

ნაყოფიერ მთარგმნელობით საქმიანობას ეწევით. შესანიშნავად თარგმნეთ გამოჩენილი სლოვაკი პოეტების მიროსლავ ვალეკის, ვოიტეხ მიხალიკის, პაველ კოიშის, მილან რუფუსის, ლიუბომირ ფელდეკის, მიკულაშ კოვაჩის, იაროსლავ რეზნიკის პოეტური კრებულები. მორის ფოცხიშვილთან ერთად შეადგინეთ და გამოეცით სლოვაკური პოეზიის ანთოლოგია, თქვენვე თარგმნეთ იაპონელი, პოლონელი, რუსი მწერლების არაერთი ნაწარმოები.

მართლაც რომ დაუცხრომელი საზოგადო მოღვაწე ხართ. სხვადასხვა დროს მუშაობდით საქართველოს სავტორო უფლებების რესპუბლიკური საგენტოს უფროსად და დაუფასებელი წვლილი შეგქონდათ ქართული ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების საზღვარგარეთ გატანის საქმეში. დღემდე ხელმძღვანელობთ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირს „საზოგადოება ცოდნას“ და კვლავაც არაერთი მნიშვნელოვანი იდეი-სა თუ წამოწყების სათავეებთან დგახართ. არჩეული იყავით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად,

უურნალ „ცისკრისა“ და ალმანახ „საუნჯის“ სარედაქციო კოლეგიების წევრად, ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის მოყვარულთა საზოგადოების პრეზიდიუმის წევრად, საქართველოს იურისტთა კავშირის პრეზიდიუმის წევრად, ფეხბურთისა და კალათბურთის ფედერაციების გამგეობების პრეზიდიუმის წევრად, გურამ რჩეულიშვილის საზოგადოების თავმჯდომარედ, საერთაშორისო საზოგადოება „ზნანიეს“ დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრად, საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრად, საზოგადოება „ცოდნის“ სასწავლო უნივერსიტეტის რექტორად, უურნალ „სიტყვის“ მთავარ რედაქტორად.

ბატონო ნუგზარ!

თქვენი ბობოქარი, მუხლჩაუხრე-

ლი შემოქმედებითი თუ სამეცნიერო მოღვაწეობა ღირსეულად დაფასდა. მონიჭებული გაქვთ „ცოდნის“ უმაღლესი ჯილდო - ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია (სამგზის), აკაკი წერეთლის პრემია, გალაკტიონ ტაბიძის პრემია; ქართული კულტურის ამაგდარის საპატიო წოდება, საქართველოს დამსახურებული უურნალისტის წოდება; თავისუფალი საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ჯილდო – ღირსების ორდენი.

კიდევ ერთხელ გულითადად გილო-ცავთ საიუბილეო თარიღს 80 წლის ჰაბუკ შემოქმედს, მხნესა და ვაჟკა-ცურს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და მშობელი ქვეყნის გაბრწყინებას გისურვებთ.

### **საქართველოს მწერალთა კავშირი**

## **მცხეთაში**

გუშინ მცხეთაში ვნახე არსენა,  
უკვე ვერაფერს ართმევდა მდიდარს,  
ქარი კი როგორც ძეველთან მსგავსება,  
ტანმაღალ ჭადრებს რკალივით ხრიდა.

ისევ ცრემლები სდიოდა ღარიბს,  
აღარსად სჩანდნენ გზები გმირობის,  
და ბაგინეთის ძელქვების ღარით  
გამოდიოდა მცხეთას მირონი.

## გამარჯვებული

ტკაცუნი გააქვთ თამარის დროშებს,  
გამარჯვებული მოდის ღმერთქალი,  
ოდნავაც არ ჰგავს  
მტრის ახლოს მომშვებს,  
ზეცა დანათის მისებრ ფერმკრთალი.

მამულის წინსვლას ადებს ხარისხებს,  
ვინაც იგებდა ომებს დიდებთან  
და საქართველოს დროშებს ჩალისფერს  
გამარჯვეთა ნიშნად ჰკიდებდა.

## მომაბლის უიძრი

აღარ ყვავიან ყოჩივარდები  
ლიახვის, ქსანის, თრუსოს ხევებში,  
ჯერ კიდევ მტრულად მოგვივარდებით,  
რადგან წართმევას ველარ შეეშვით.

ვერ შეგვაშინებთ თქვენი სიბევრით,  
და ეს წაგლევაც არის დროებით,  
მეც მომავლისთვის ადგილს ვიბევებ,  
თავისუფლების მოახლოებით.

## ზღვის სურათი

ზღვა ცასთან ისე იყო შერწყმული,  
თითქოს არც იყო რაიმე ზღვარი,  
მე სილამაზე უნდა მერწმუნა  
უმშვენიერეს მთითა და ბარით.

მთები გარს ერტყნენ ქალაქს მცველებად,  
განცდა მავსებდა მშვიდი აურით,  
ზღვა მოიწევდა ასაცრემლებლად  
მარილის სუნით სავსე ზღვაურით.

## მაღლა ტაძარში

ძლივს ამოვედი ამ სიმაღლეზე  
და სათნოების ვპოვე ტაძარი,  
ტაძარში ზეცად ლოცვას აღვლენდნენ,  
დიდი იმედის წყარო რაც არი.

ტაძარი ნათელ სიმშვიდეს გვფენდა,  
თითქოს რჩებოდა სურვილი გათვლის  
და ფრესკებიდან სიუხვე ფერთა  
ცისარტყელებად გვეფინა ნათლის.

## მიმაცილებდნენ

ზეცას ვარდივით გულზე ებნია  
მზე და  
აფრქვევდა ოქროს ფურცლებად,  
ამდენი წელი რაც მიძებნია  
თითქოს ვხედავდი ფერშეუცვლელად.

უკან მომდგარი წლების კასკადით  
უკან ვერაფრით ვეღარ ვიხევდი,  
და განუჭვრეტელ დღეთა ნასკვამდის  
მიმაცილებდნენ ძველი ციხენი.

### შემოქმედის სამი ღრღ

მადლი მადლია, სათნოება სათნოებაა, სიმდაბლე კი, ცასავით მაღალია. ძმაონუგზარ, რაცა ვთქვი, შენი სახელის ხიბლია, შენი ეროვნულობის, შენი პოეზიის, შენი ვაჟკაცობის.

რჩეულო კაცო, შენ გააცოცხლე გურამ რჩეულიშვილი, იქნება მეცხრე ტალღამ და მამულს უკვდავების სიმღერა დაუმკვიდრა.

მე მიყვარს შენი შემოქმედება და ისიც ვთქვათ, დასასრულის გაზიარება აწმყოს ალამაზებს, აწმყო მომავლის იმედია.

შენ, 80 წლის, სამ დროში ცხოვობ და უფალს ვთხოვ, კიდევ დიდხანს გამყოფოს ამ ცოდვილ საქართველოში.

### ისეზ აღარ

აღარ მხიბლავს,  
აღარ მართობს,  
აქ რომ ლურჯი ცა იყო  
ისე უცებ გაქრა მარტი,  
თითქოს ქარმა წაიღო.  
აღარ მხიბლავს სიმწვანე და  
მზის სხივებად შეკონვა,  
ვინც სიცოცხლეს მიმწარებდა  
მე მოყვასი მეგონა.  
აღარ მჯერა სამყაროსი,  
ვისთვის სულიც შევიძარი,  
ყელს მიბმული ავგაროზი  
თურმე იყო მეძავის.  
აღარ მავსებს,  
აღარ მითრევს,  
ამ დღეების დინება  
და დავდივარ ქვეყნად ვიდრე  
მაღლა ღმერთმა ინება.  
სიცხე ბინდთან იწყებს კლებას,  
აღარ მსერავს ხმალივით  
და ცხოვრებაც  
ჩუმად ქრება  
მოცხცახე ალივით.

### შეგძლივბა

უკვე განვიცდით ვეღარას,  
ცივათ შორეულ ვალსებს,  
გაავებულა ქვეყანა  
ადრე სიმღერით სავსე.  
ის ნათდებოდა სიკეთით,  
როგორც საყდარი შობას,  
ჩვენ კი ჯაშუშებს ვიკრებდით,  
რადგან არაურის შნო გვაქვს.  
ვერ მოვუარეთ სამშობლოს  
სიძულვილით და მტრობით,  
უფალმა შვილებს აშოროს  
განცდა ამგვარი გრძნობის.  
ღმერთო, მამული განათდეს,  
გამოელდეს ყველა კუთხით,  
იქნება გაქრეს მანამდე  
ქვეყანას ძირს ვინც უთხრის.  
იქნება მორჩეს ქართველთა  
მრავალწლიანი ომი,  
არ იქნა,  
აღარ გათენდა  
წერით, კითხვით და შრომით.  
აღარ გვეღირსა მშვიდობით  
გაბრწყინებული დილა,  
ყველა, ჩვენ ვისაც ვინდობდით,  
ჩვენს დამიწებას ცდილა.  
სულ ორი მტერი გვიტევდა  
შინაური და გარე,  
ღმერთო,  
არგუნე დიდება  
ქართველთა ტურფა მხარეს.

### 7 იანვრის დილა

ქალაქი გავდა ნაომარს,  
დაცემული და მხდალი,  
ხედავდი არარაობას  
უკვე საკუთარ თვალით.

გამზირს – დაშლილს და  
გადამწვარს,  
აჩნდა სიცვივე დილის,  
საქართველოზე გადაწვა  
უბედურების ჩრდილი.  
მმა მმასაც აღარ ინდობდა  
ქუჩის ბრძოლაში შეყრილს,  
ბევრმა ველურმა ინდომა  
გაპარტახება ქვეყნის.  
ჩვენ კი ერთობის მაგიერ  
დავწრიტეთ ყველა არხი,  
ასე მოგვსპობს და აგვირევს  
მეზობლად მტერი ხალხი.  
ვისი განდევნა შეძელით,  
მოტყედა იმედის ტოტი,  
ნაცვლად სიმტკიცის შეძენის  
გადაგვარება მოდის.  
იარაღით და მუშტებით  
განახლდა ქართლის წყლული,  
თითქოს აქ გასკდა ბუშტივით  
მთლად საქართველოს გული.

### შესვედრა ნიპო ფიროსმანთან

მონუსხულივით დიდხანს ვდგავარ მე შენს ტილოსთან,  
და მიხარია – ეს სად შეგხვდი ნიკო ფიროსმანს.  
ფერით, სიუხვით, წარმოდგენით თვალწინ მეზრდები,  
შუაცეცხლივით თბება შენით უცხო დრეზდენი.  
ეს სიამაყე ჩემთვის მართლა ოქრო-ვერცხლია,  
სხვა სიამაყე ახლა არ მინდა,  
სულ არ შეცვლილხარ, ოდნავ ფერიც კი არ შეგცვლია,  
თუმც გრძელი გზებით მოდიოდი მაჩხაანიდან.  
ძლივს ცა გაგეხსნა, ცივმა თქეშმა გადაიკარა,  
ევროპა დგება გაოცებით უცხო ტილოსთან,  
სად აღარ მიდის ახლა უკვე გზა და ნიკალა,  
სად შეგეყარე ნიკო ფიროსმანს.

### მაშატრო

შეხვედრა ჩვენსას ვერვინ დაესწრო,  
ისე კი მსურდა ვენახეთ ვინმეს,  
ეკლესიასთან შეგხვდით, მაესტრო,  
გარიდებული სუსხიან ყინვებს.  
მუსიკის ხმები მაღალ კათედრალს  
ირგვლივ ეფინა ოქროს ვარაყად,  
ვერც კი გავიგე როგორ გათენდა,  
მუსიკამ როგორ გამამაყა.  
ვიცოდი მხოლოდ, რომ იყო ერთი  
— ქვეყნად დროისთვის ვისაც გაესწრო,  
ისევ დადექით კვარცხლბეჭზე თქვენთვის  
და უკვდავებას შერჩით, მაესტრო.

### ტრიობისბან შეშლილი

კარში ზამთარი ქალივით გოდებს,  
ტკივილი ხდება უფრო საჩინო,  
ისევ ვიხსენებ კამილა კლოდელს,  
რომ მისი მსგავსი აღმოგჩინო,  
მსურს ქარიც იმგვარ გრიალით ქროდეს,  
ტანზე ეხვიოს ღრუბელი ბაცი,  
რამ შეაყვარა კამილა კლოდელს  
როდენი, ბევრად უფროსი კაცი.  
სამი ნაბიჯი მაცილებს კბოდეს,  
სიკვდილი ფერად ნაბიჯებს ვერ შლის,  
დარდით ვიხსენებ კამილა კლოდელს  
ტრიობის ერთგულს და  
ტრიობისგან შეშლილს.  
ნეტავი ქარიც იმგვარად ქროდეს,  
გავუძლებ ყველა წუხილს და გრიალს,  
სხვას ვნატრობ ისევ  
კამილა კლოდელს,  
როდესაც უკვე წნიერი მქვია.  
გარბის ღრუბელი მთების ზოლიდან,  
დარდს დავემონე ღრუბლის ოდენებს,  
მორჩა,  
დამთავრდა,  
სხვა დრო მოვიდა,  
მიწაში სძინავთ შეშლილ კლოდელებს.

### გერაზე

ნიაზ დიასმიხას ხსოვნას  
 ბელინსკის ქუჩით ჩამორბის ქარი  
 და თითქოს ძველი სურნელი მოაქვს,  
 არაფერია ამ ქვეყნად მყარი,  
 ყველაფერს მხოლოდ თავისი დრო აქვს.  
 ჟამი კი ზვავის სისწრაფით მიქრის,  
 მარტო მიდიხარ,  
 არავის ერჩი,  
 ვით კაცობაზე მარადი ფიქრი  
 ქალაქს და ქუჩას სახელად შერჩი.  
 სულ მახსენდები სავსე სიკეთით  
 და იუმორით საოცრად ნაღდით,  
 თავად შექმენი თუ გაიკეთე  
 ბევრის გულებში ის ოქროს ტახტი.  
 ფანტელებივით მხრებზე გეყარა  
 კაცობის ნიჭი,  
 რაც ცამდე ადის,  
 შენ აუჯანყდი მუხთალ ქვეყანას  
 და მოურჩენელ ტკივილით სვამდი.  
 უიმედობის კვლავ რეკავს ზარი,  
 ქვეყნად ბევრია და შენ კი არ ზარ,  
 მომელანდები დუქანში მდგარი,  
 დაილოცები და მერე  
 წახვალ...

### სისხლი

დაჭრილს იმედი ვით აქვს მათარის,  
 იმედი გვაქვს და ისევ ის გვიხსნის,  
 საუკუნეებგამონატარი  
 უძლიერესი ქართული სისხლი.  
 ისევ ის გვიხსნის,  
 ისევ გვიშველის,  
 არ ჩანაცრდება კერაც, ბუხარიც,  
 მზეა თუ ფერი მეფობს გიშერის,  
 იმედით გვავსებს სისხლი მდუღარი.

### **ხერთვისთან**

სიახლის ძებნის მარადი ნდომით  
გადავადექით როდესაც ბეჭობს,  
ჩანდა ხერთვისი – ბებერი ლომი  
და ფეხქვეშ მთელი მიღამო ეგო.  
ვხედავდით ღრუბლებს –  
შეაგუფულ კრავებს,  
კედლებს დიდება ვწერათ სისხლით,  
კოშკები პგავდნენ ლონიერ მკლავებს  
ზეაღმართულებს მტრისადმი რისხვით.

### **ისევ საშრომად**

მიშვებულია სიტყვის სადაცე  
და მარწევს, როგორც  
ქარი ალვის ხეს,  
ეს სიდიადე და სისადაცე  
ხელიდან როგორ უნდა გამისხლტეს.  
გული მწვერვალთა მზერით დათვრება,  
ზეცა ღიმივით ელავს ბაგეზე,  
ისევ საშრომად,  
ისევ სათქმელად  
ჩემი მამულის ბედი მაქეზებს.

### **მუხრანის გელზე**

მუხრანის ველზე ვიარე,  
აღარ შემყრია ყივჩალი,  
წარსული გახსნის იარებს,  
ქალსაც ვეძებ და მივძახი.  
მთვარე ჰორიზონტს ნაღვენთი  
ვარსკვლავთა ჭალით ჩაღდება,  
თუ არ გამოჩნდა ქალღმერთი,  
ისევ ვინ გაყივჩაღდება.

### თბილისის ქუჩები

ტკივილებამდე ნაცნობს და ძვირფასს  
დავყვები ჩემი თბილისის ქუჩებს,  
ძველი კედლების დუღაბს და კირქვას  
მოსაფერებელ სახელებს ვურჩევ.  
ასე მრავალ წელს მატარა ნეტავ,  
ჩანდეს ზეცასთან მთაწმინდის ხედი  
და დამყვებოდეს ჩურჩულად ხეთა  
განუჭვრებელი მომავლის ბედი.

---

„ლიტერატურული საქართველო“ №32, 11 სექტემბერი

ნუბჩარ ჭერეთელი - 80

### უმატეს ყოვლის

კლდეკარს ვერავინ ვეღარ მოუვლის,  
ქედები თოვლის სისქით შელესეს,  
მე დღემდე ვეძებ  
და ვერ ვპოულობ,  
ძებნა ჯიუტად მაინტერესებს.  
ვეძებ უთუოს,  
ვეძებ ასახსნელს,  
ცრემლივით წყდება  
ნისლი მომლაშო,  
იმ მაღალ მთებთან უნდა დავსახლდე,  
იქნებ შემიწყონ ხელი პოვნაში.  
იქნება მივწვდე მიუწვდომელსაც,  
მწვერვალს მივაგნო ამოჩემებულს,  
თუმცა სავალი მივიწროვდება –  
მაინც დავეძებ  
ბილიკს ჩემეულს.  
მაინც ახლოს ვარ,  
მაინც ახლოს ვარ,  
უკვე ახლოა იმედი პოვნის,  
მხოლოდ მიღწევა,  
არა დამხობა,  
უპირველეს და უმეტეს ყოვლის.

---

## ბანმი

### ექვთიმე თაყაიშვილის

ძნელი ყოფილა საყვარელი მამულის სევდა  
და დაცილება მასთან დროით არა მცირედით,  
თქვენ ალბათ ცრემლებს თვალებიდან ვერ იცილებდით,  
მამულზე ფიქრი ტკივილივით ყოველთვის გდევდათ.  
როცა ხედავდით უცხო ქაფნის მბრწყინავ ქალაქებს,  
მაინც გებურათ განდეგილი ბერის სამოსი.  
სამსალას ასეთს, მამულისთვის ვინდა გამოცლის,  
ან სიყვარულით ასე ვინდა ილაპარაკებს.  
იქცით მცველად გაუხუნარ მისი დიდების,  
სულის მღვიმეში მხოლოდ ქართულ ხატებს კიდებდით,  
ასეთ სიყვარულს სხვაზე უკეთ მამული იგებს,  
განძით გაავსეთ საქართველოს წმინდა ტაძარი,  
შემატებულმა დასაფიცარ წმინდანთა რიგებს,  
მისი დიდება სამუდამო გზისკენ დაძარით.

### მდგომარეობა

სიცხემ იმძლავრა,  
მთებზე უკვე დადნა ივლისი,  
მწვანე ფერდობებს გადაეკრა ყვითელი ფერი,  
მორჩა სეზონი ტკივილებით სავსე ლვინის სმის.  
არეულობა დაწყებულია ერის და ბერის.  
ირგვლივ ყოველი დღეებივით კარგავს ინტერესს.  
როგორც სულ მალე ეს ზაფხულიც დაკარგავს ფერებს,  
მტერი მომდგარა კართან ახლოს,  
გზებსაც გვიმტვერებს,  
რომ ურდოები წარდვნასავით დაგვეცნ მერე.  
სახნავს და სათესს ის გვიოხრებს, ვინც დღესაც რუსობს,  
საკუთარს გგართმევს,  
სიბევრითაც ავად თვალომაქცობს,  
დღისით და მზისით გვედავება კოლორს თუ თრუსოს,  
ო, რამდენს უძლებ ხალხო მცირევ,  
ხალხო მამაცო.  
თთქმის არასდროს არ გვყოლია ქვეყნად პატრონი,  
თთქმის არასდროს არ გვყოლია ქვეყნად დამხმარე,

მტერთან მარტონი მოტყუებით ხშირად დაგვტოვეს  
 და მოღალატე ტოტლებენი დღესაც ხარხარებს.  
 ერეპლე კვლავაც შეატოვეს ველურთა ურდოს,  
 ისე უნდოდათ ქართველების ერთად გაელეტა,  
 ვაი მათ, ვინაც დღემდე დარჩა მხეცი და უნდო,  
 სხვისი სიცოცხლის ვისაც ახლაც ძალუძს დაშრეტა.  
 უნდა გავუძლოთ,  
 თუმცა არასად მოჩანს ერთობა,  
 უნდა შევერთდეთ,  
 საქართველო არის მთავარი,  
 საშიშრად მოჩანს საუკუნის ცივი ფერდობი  
 და უფსკრულისკენ მისრიალებს ბევრი სავალი.

### გემპვიზრეობა

ალბათ ზურაბის, ან ქაიხოსროს  
 შენ სისხლო ჩემო, იყავ ნაწილი,  
 და მიტომ ვცდილობ,  
 არ გაიყოს რა  
 მემკვიდრეობად შემონაწირი.  
 და მიტომ ვცდილობ,  
 სული მეომრის  
 არ დაემსგავსოს ფეხქვეშ გათელილს,  
 რადგან სიმართლით, შრომით, მხნეობით,  
 მუდამ ცხოვრობდა ქვეყნად ქართველი.  
 საუკუნეთა ბნელი სიღრმიდან  
 გვადევს ქართული სისხლის ჭაპანი,  
 რითიც არასდროს ქედს არ იხრიდა  
 ხმალშემართული მამა-პაპანი.  
 იმ სისხლმა ბევრი მტერი ალაგმა,  
 რომ დამჩნევია წითლად აყალოს,  
 ღმერთმა არა ქნას,  
 ღმერთმა არა ქნას,  
 ის სისხლი რამემ გადააგვაროს.

## მაღალი გაცი

ქუჩაში მიდის მაღალი კაცი,  
ზეციდან ესმის ხმები გალობის,  
მთიდან მოიწევს საღამო ბაცი,  
მდინარესავით,  
ქუჩით ბარნოვის.  
ქუჩაში მიდის მაღალი კაცი  
და მხრებით მიაქვს ეპოქა ვრცელი,  
ვერვინ ვერაფერს დააკლებს აწი  
თუ არ შემართა განგებამ ცელი.  
ქუჩაში მიდის მაღალი კაცი,  
ლიმილს არ აკლებს  
დიდს თუ პატარებს,  
და წლებს, სპილენძის თასივით დაცლილს,  
თილისმასავით უბით ატარებს.  
თან სიყვარულის მიაქვს უსტარი.  
თოვს და ეყრება ბექობს მარილი,  
ის კი კვლავ უხმობს შოთა რუსთაველს  
უერთგულესი მეგობარივით.  
თავს კაცი მხოლოდ სალმისთვის დახრის,  
მიდის გულების დასამშვიდებლად,  
და სიყვარულით ჩურჩულებს ხალხი  
ეს ხომ ირაკლი აბაშიძეა.

## ეს მოხდა ერთხელ

ხალხი ივლისის ნაკადივით როცა შეთხელდა,  
ბავშვის ფრანივით ირწეოდა ბედის სასწორი,  
და ყველაფერში წინამძღოლმა  
მაშინ,  
ერთხელაც,  
ვერაფრით სიკვდილს,  
ბორბლებზე მდგარს,  
ვერ გაასწარი.  
წამოგეწია,  
ღმერთკაცს უღვთოდ გადაგიარა,  
უამი დიდების კი ვერ მოსპო მოგებ-წაგებით,  
და ყველამ ერთხმად, საყვარლიან-საძაგლიანა,

შენ დაგიტირა ულმობელი ამბის გაგებით.  
საღებავით ჩანდა სისხლი ფერთა გამაში,  
უკვე ქცეული უსაშინლეს თვალის სეირად,  
და დიდმა ჟორა შავგულიძემ მხრების თამაშით  
მარჯანიშვილზე უკვე ვეღარ ჩაისეირნა.

იგი —

საერთო სიყვარული დიდის, პატარის,  
თითქოს სიმაღლის მისაღწევი იყო ნიშანი,  
მოხდენილ სახით თან დაპქრნდა  
ძალა გატანის,  
იმ მომავალი დიდი გზების დალაშქვრისანი,  
გამორჩეული ელვარებით ქართული გენის,  
ჩანდა ამაყად წარმომჩენი ქართულ თეატრის,  
მისით ამაღლდა ხელოვნების უკვდავი ბჭენი.  
ის იყო კაცი,  
ვისაც ქვეყნად ვერვის შეადრი.  
მასთან ბავშვივით თვით სიკვდილიც  
კი უნდა შერცხვეს,  
ვინც დიდი კაცი შეუერთა წინამორბედებს,  
და ყველაფერში წინამძღოლი —  
ეს მოხდა ერთხელ,  
ვერ გადაურჩა ამხედრებულ სიკვდილს ბორბლებზე.

### გურამ რჩეულიშვილის ძაჩაზე

მოვდივარ ისე, ვით მოდიან საკუთარ სახლში  
შენი სახელის მოზიარე ქუჩაზე, გურამ,  
ამ სიმაღლეზე მოგონება ტკივილებს აშლის  
და კადრებივით თვალწინ მიშლის ასობით სურათს.

ჩვენი ქალაქი დაბლა კვამლში ჩაფლული ცურავს,  
შენს ქუჩაზე კი სასაფლაო მახსენებს შვებას,  
წყვდიადს შერთული, შენ შორსა ხარ აქედან, გურამ,  
მაგრამ სიცოცხლე ბობოქარი არასდროს კვდება.

თბილისის ქედებს დანესტილი ჯანღები ბურავს,  
ქალაქი მოჩანს ნაღვლიანი და მოწყენილი,  
აქ არასოდეს დამთავრდება, გჯეროდეს, გურამ,  
ვნების სიმძაფრე ალავერდში წამოწყებული.

დრო მიჯირითობს, დედამიწა ბრუნავს და ბრუნავს,  
და საქართველო ძალას იკრებს მარად ნეტარი,  
სიტყვით, სახელით, მამულს მხარში უდგახარ, გურამ,  
ქართულ მიწაზე ისევ მიქრის შენი მხედარი.

### ოქტომბრის საღამო

დგება საღამო, ქარი ოქტომბრის თავზე დამაყრის  
ფოთლებს სიცივედ  
და მზის სხივივით შემოვარდნილი, ძარღვებს დაუვლის  
შენი სიცილი,  
მომენატრები, როგორც ყოველთვის, თითქოს მიცერი  
შორი კადრიდან,  
ცხოვრებას ჯერაც არ ვუშინდები, თუმც ვერ ვეწევი იმ  
წლებს ადრინდელს.  
კანონი ისევ რჩება კანონად, დაწერილიც და  
დაუწერელიც,  
უკეთ წვეთ-წვეთად მავსებს ტკივილი ბედის, ასაკის  
და უმწეობის.  
თან სინამდვილე მაწევს ლოდივით, დაჩეხილი და  
გამოფატრული,  
მთათა მხედრობის სამყაროშიაც შენს დაუვიწყარ  
სითბოს ვნატრულობ.  
ცხრა დავითვალე ირგვლივ მწვერვალი და სანთლებივით  
ანთია ცხრავე,  
ეჯახებიან ქარაშოტები, თან თოვლიანი წვიმები ხრავენ.  
მათი წაქცევა არვის უხილავს, ჩვენ კი ვიმტვრევით  
ლერწმის ლერივით,  
ცოტადა გვრჩება ამ ქვეყანაზე სასიყვარულო და  
სამღერალი.  
სწორედ ის ძალა სიყვარულია, რაც ეჭიდება ამაოებას,  
მაღალი მთებით ფიქრი და დარღი მოჰქრის ქარიან  
საღამოებად.  
საღამოებში მწარედ მაკლია შენი ხატება შეუსადარი  
და ისევ მათბობს ის სიყვარული, რაც ამ დამქანცავ  
გზებზე ვატარე.

### სად პრ0

ვეფხვი რომ შემოეყარა,  
არც მოყმე დახვდა ჯაბანი,  
ირგვლივ ტოტები ეყარა,  
მათი სისხლისგან ნაბანი.

დღეს დადის ბევრი მკვეხარა,  
კვლავაც ყვარყვარეს სადარი,  
ვეფხვი რომ შემოეყაროს,  
ისეთი მოყმე სად არი.

### იალბუზი

მძიმედ ცილდება  
ჯანლი ქედებს, ღამეგანათევს,  
თითქოს სცენაზე გამოდიან ლურჯი ქედები,  
გახსნილი ციდან  
იალბუზი გადმოანათებს  
სავსე სიმაღლით და იმედებით.

დღე არის წყნარი,  
მზე დაპნათის პატარა ქალაქს,  
ქარი ატოკებს მტირალა მეწნებს,  
გინდა ეძებო,  
ულეველი იპოვო ძალა,  
რომ შენც ამნაირ სიმაღლეს შეწვდე.

---

## ბაზეთი „ქართული სიტყვა“ №36, 9-15 სექტემბერი

2014 წელს ცალკე წიგნად გამოიცა ნუგზარ წერეთლის პოეტური კრებული საერთო სათაურით “მწუხრის ჟამი”. კრებულში წარმოდგენილია ათი ლირიკული პოემა, ან უფრო ზუსტად, ათი ვრცელი ლექსი. ეს კრებული გახლავთ პროზა ლექსებად, რაც ცნობილი ციკლის ლექსები პროზად შემოქმედებითი დაპირისპირებაა და დიდ ინტერესს იწვევს. ბუნებრივია, ავტორმა ახალი წიგნი აჩუქა დიდ ქართველ პოეტს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს ჯანსულ ჩარკვიანს. ასევე ბუნებრივია, რომ საქართველოს სახალხო პოეტმა წიგნი წაიკითხა, რადგან იგი ორივე ცნობილი ცხრა რიცხვის მოვლენების თვითმხილველიცაა, მონაწილეობით და განმცდელიც. სწორედ ამიტომ ჯანსულ ჩარკვიანს აღბათ, გულში განსაკუთრებით მოხვდა ვრცელი ლექსი “ორი ცხრა რიცხვი”. ამ აზრს ადასტურებს ის გარემოება, რომ მეგობარი პოეტ ნუგზარ წერეთლისადმი მიძღვნილ ღრმაშინაარსიან ლექსს ეწოდება “ორი ცხრა რიცხვი”.

ჩვენი უურნალის მკითხველებს ვთავაზობთ სახელგანთქმული ქართველი პოეტის ჯანსულ ჩარკვიანის ლექსს:

### ორი ცხრა რიცხვი

#### ნუგზარ წერეთელის

ლმერთი მიიღებს, რა თქმა უნდა,  
გზავნილს უღირსად,  
შენს კაცობაში არ არსებობს  
ჟამი მწუხრისა.  
არ ვიცი, შენი სიყვარული  
რად მომერია,  
აქეთ შენა ხარ, იქით კიდე,  
შარლ ბოდლერია.  
ჩვენს გულში ისევ, დიახ, ისევ  
სუნთქაეს მესია,  
მიხარის, გვჯერა, საქართველო  
უძთავრესია.  
ისე, ვით შავ ზღვას სამუდამოდ  
შვენის ნაპირი,  
ორი ცხრა რიცხვი —  
მარტისა და ცივი აპრილის.  
დაღამდა, მაგრამ ისიცა ვთქვათ,  
აღარ გათენდა,  
იყო და მარად იარსებებს  
ზიზლი ქართველთა.

**ჯანსულ ჩარკვიანი**



### დილამშვიდობისა, ბატონო ნოე!

ყველაფერი დაიწყო იქიდან, როდე-  
საც კერძო სასაფლაოს ახალგაზრდა  
მოხელემ რაღაც ქაღალდი მისცა და  
უთხრა:

— აი, ამ თანხას გადაიხდით ბანკ-  
ში.

გამოართვა. ანგარიშის ნომერი იყო,  
რომელზეც უნდა ჩარიცხულიყო ფული,  
ლალიტამ დიდი ხნის მანძილზე რომ  
აგროვა. დაწედა თუ არა ფურცელს,  
მიხვდა, თითქოსდა უწყინარი ოპერ-  
აციით მარტო მიწას კი არ ყიდუ-  
ლობდა, არამედ ხელშეკრულებას დებ-  
და სამუდამო სამყოფლის უცნობ გამ-  
რიგესთან, უსიტყვო, მტკიცე შეთანხმე-  
ბას, რომლის მიხედვითაც ვერ იტყო-  
დი, რომ ადამიანის სიცოცხლე მხოლოდ  
ლოტოსის ფოთლიდან გადმოვარდნი-  
ლი უზარმაზარი წვეთია და ერთი  
უწყვეტი სევდიანი ამბავი თავისი  
დასაწყისითა და დასასრულით.

ის კი, სასაფლაოს მეპატრონე, სახ-  
ელად ნოე, ჩუმად იჯდა ლამაზ საწერ  
მაგიდასთან ითახის კუთხეში. ხელები  
ერთმანეთზე დაეწყო, თავი ისე აეწია,  
გაგონებოდა, მხედრული სალმისთვის  
გამზადებულიყო. დარბაისლური იერი  
ჰქონდა. თითქოს ყურებით კი არა,  
ცისფერი, ოდნავ შეშუპებული მშვიდი  
თვალებით ისმენდა ლალიტასა და მოხ-  
ელის დიალოგს.

— დღესვე ჩავრიცხავ, — თქვა ლა-  
ლიტამ.

— თქვენი ნებაა, — გულგრილად  
უპასუხა მოხელემ.

მისმა ნათქვამმა მჭახე სიმართლედ  
გადაუარა სასაფლაოს ნახევრად ბნელ  
ოფისს და ლალიტას გარკვევით აუხ-  
სნა, რომ აქ ის ადგილი არ გახლდათ,  
სადაც თანაგრძნობას უნდა ელოდო.  
აქაურობა ყოველგვარ რომანტიზმს  
მოკლებულ უიმედო ნავსაყუდლად  
ქცეულიყო, ანუ სხვაგვარად რომ ვთქ-  
ვთ, სიცოცხლის სიხარულთა ლოგიკურ  
დასასრულად.

წამიერად, ადამიანური სისუსტე  
ეწვია, მაგრამ თავი ხელში აიყვანა,  
უსიტყვოდ გამოეთხოვა ოფისში მყო-  
ფთ, სახის გაურკვეველი გრიმასის  
მოშველიებით.

არ იცოდა, სწორად მოიქცა თუ  
არა, მეუღლე რომ არ წამოიყვანა თან.



ზაფხულის პაპანაქება დღეები იდგა და გაუფრთხილდა ნაოპერაციებს. ქალს საკუთარ თავზე აეღო უსიამოვნო მანიპულაციები.

ცოლ-ქმარს მემკვიდრე არ ჰყავდა, ამიტომ საჭიროდ ჩათვალეს, ყველაფრის თადარიგი წინასწარ დაეჭირათ, რათა არ ემტვრიათ თავი იმაზე, რაც ისედაც გარდაუვალია, და დარჩენილი ცხოვრება მშვიდად გაეტარებინათ.

ფული რომ გადარიცხა და შინ ბრუნდებოდა, ცდილობდა, ამ ამბავზე არ ეფიქრა. როგორმე, შეძლებისამებრ, მსუბუქად უნდა შეეხდა, ვითომ განსაკუთრებული არც არაფერი ხდებოდა. მაგრამ ფიქრი მაინც თავისით მოდიოდა გარეუბნის ახალი სასაფლაოს შესახებ, ფაქტიურად, მეზობელი სოფლის ძველი სასაფლაოს გაგრძელებად რომ მოიაზრებოდა. იგი კომერციული გახლდათ. ამიტომაც ადამიანის სიცოცხლეშივე იძლეოდა ადგილის შეძენის საშუალებას, რაც უმემკვიდრ-დ დარჩენილთა კატეგორიისთვის პირდაპირ მისწრება იყო.

მაგრამ ქვეცნობიერის მგრძნობიარე ნაწილს ფარული სევდა მაინც ეპარებოდა, უსუსური მძვინვარების მსგავსი, რის აღიარებასაც ჯიუტად გაურბისარ. ოღონდ კი გულამდე არ მიუშვა, ოღონდ კი მოიცილო... ლალიტა ცდილობდა განწმენდილიყო შავი ენერგიისგან, იმ წამლეკავი ძალისგან, მეცნიერთა დასკვნებით, სამყაროს მთელი ენერგიის სამ მეოთხედს რომ შეადგენს. იგი გამჭოლ აღწევს სულსა და სხეულში, მყისიერად გაივლის, შემდეგ

ფართოვდება და ასე მრავლდება.

მშვიდი ადამიანის როლის მორგება იოლი როდია, მეტადრე, როდესაც სულაც არ ხარ ასეთი. ლალიტა მუდამ მძაფრად განიცდიდა ყოველ წვრილმან მოვლენას. მაგალითად, დღემდე ყურებში ედგა ფორტეპიანოს პედაგოგის ათეული წლების წინანდელი მკაცრი შეგონება: იგრძენი! იგრძენი ბგერა!

მან კი მაშინ, უმწიფარმა შეგირდმა, არ იცოდა, რა ეღონა, როგორ ევრძნო ბგერა.

დრო გავიდა. ახლა ლალიტა მწერალია. ამიტომ ცდილობს, გვერდიდან შეხედოს მოვლენებს, როგორც მოთხოვნის წერისას. ადვილად შეუძლია, მისივე შექმნილ პერსონაჟთან გაიგივოს თავი, მასზე გადამისამართოს ქმედებები, გადასცეს საკუთარი განცდები, თანაც ბუნებრივად, ზედმეტი ძალდატანების გარეშე.

როცა ავტორი ხარ, ბევრი რამ ხელგეწიფება. მენტალობისთვის არაფერია დაუძლეველი. წარმოსახვით სამყაროს, საჭიროებისამებრ, შეუძლია მოვლენათა ნებისმიერი გადალაგება. მით უმეტეს, როდესაც თვით ავტორი ყიდულობს მიწის ორადგილიან ნაგლეჯს გარეუბნის სასაფლაოზე დედაქალაქიდან მთიულეთისკენ მიმავალი გზის დასაწყისში მდებარე მაღალ გორაზე.

სასაფლაოს ქარის მხრიდან რკინის მესერი აკრავს. ჭიშკარში შეხვალ თუ არა, იქვე გეგებება ოთხადგილიანი საფლავი, ჯერ ისევ მშენებარე, მაგრამ ერთი თვალის შევლებითაც რომ შეამჩნევ, განსაკუთრებული ზრუნვისა და პატივის ობიექტი გამხდარა. იგი

სასაფლაოს მეპატრონეს – ბატონ ნოეს ეკუთვნის. საფლავს მაღალი თავი აქვს. შუაში მარმარილო ისეა გამზადებული, ჩანს, ადამიანის მთელი ტანით გამოსასახავად ჩაუფიქრებიათ. ამის შემდეგ კარგა დიდი ტერიტორია ცარიელია. ლალიტა მოგვიანებით გაიგებს, რომ ეს ტერიტორია შემონახულია საყდრისთვის, რომელიც უთუოდ გახდება აქაურობის შშვენება და გვირგვინი. ჯერ კი რაღაც სამეურნეო მონაკვეთის შთაბეჭდილებას ტოვებს. აქეთიქით მიმოდიან ბატები. ქათმები და, ასე გასინჯეთ, ინდაურიც.

შინაური ფრინველების ზიღვამ პირველად გააოცა ლალიტა. სულ არ შეეფერებოდა აქაურობას. იქამდე ეხამუშებოდა, ვიდრე მათ რეალურ დანიშნულებას გაიგებდა. თურმე, ნუ იტყვი და, მომრავლებულ ქვეწარმავლებთან ბრძოლის იარაღად იყენებდნენ.

ჰყერი აქ სუფთაზე სუფთაა, ავტომანქანების ბინძური გამონაბოლქვის-გან თავისუფალი. არ ისმის სირენების ცოფიანი კივილი, აგონიაში მყოფი ქალაქის ოხვრა და ვიშვიში. მარჯვენა მხარეს სოფლის ტყის ხასხასა საფარველი ჩანს, პირდაპირ, ძევლად ნაშენი მრავალსართულიანი კორპუსების უსახური ხედების იქთ, – ქალაქის შორეული ფრაგმენტები. მარცხნივ, ერთმანეთის ახლოს, ჩავარდნილ ალაგას, კამპამებს ორი პატარა ბუნებრივი ტბა – კოლოების ბუდედ წოდებული. მართალია, სასაფლაოზე ხეები იშვიათობაა, უფრო სწორად, არ არის, თუ სათვალავში არ მივიღებთ მოკრძალებით მდგარ თითო-ოროლა ძეწნას.

სამაგიეროდ, ზოგიერთ ჭირისუფალს უპოვნია გამოსავალი – ხელოვნური საჩრდილობლები გაუმართავს მუქი ორგშუშის ფანჩატურთა სახით. თუმცა, გარდაცვლილთათვის ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

აქ მიწაც როდი ჰგავს მიწას, გამომწვარია, გამონაცრული. მაგრამ მიცვალებულთა შზრუნველი პატრონები ამ ხარვეზსაც ასწორებენ. მანქანებით ეზიდებიან სადღაც-სადღაც მოჭრილ მიწის ვარგის ფენებს.

ხოლო ლალიტა ირგვლივ კი არა, უფრო საკუთარ თავში იცქირება, სადაც გონებით ხედავს ერთსა და იმავეს – ადამიანის ორ თვალს, ორ სხივმფენ საოცრებას. იქსოს თვალებია იგი, რომელიც უუბნება: ნუ გეშინა! და ქალს მართლაც არ ეკარება შიში, ადვილად თოკავს არაფრისმომცემ ემოციებს. ცივ გონებას მინდობილი, თავისი სასურველი გმირის უდრევი ხასიათის თვისებებს იძენს. გულდასმით აგრძელებს ზარმაცი მუშის მიერ ნახევარგზაზე მიტოვებული საფლავის კედელთა საძირკვლის ამოსუფთავებას.

აცხუნებს მზე, რომელსაც არ ეპუბად-საკუთარ პერსონაჟთან იდენტიფიცირებული, უცნაურ რეალობასა და წარმოსახვებს შორის მყოფი, ზოგადი შტრიხებით ცდილობს, ტრაგიზმში კომიკურობის მარცვალი შეიტანოს. აპა, შენიშნა, რომ მისკენ ჯოხზე ცალი ხელით დაყრდნობილი ნოე მოემართება, აქაურობის ბატონ-ბატრონი. ნელა, მაგრამ მაინც ენერგიულად მოიწევს ზომიერი ნაბიჯებით. თავზე ფარგლებაკეცილი ჭილის სომბრერო ახურ-

ავს. სწრაფად ფარავს ალბათ მრავალ-ჯერ გავლილ მანძილს. მოდის და უსიტყვოდ ჯდება მომიჯნავე საფლავის მუქი კურსების ქვით კოხტად მოპირკეთებულ დაბალ კედელზე. ზის ასე ძლუმარჯო, თვალს ადენტებს, თუ ქალი როგორ ცდილობს საძირკვლის ჩაღრმავებას, რათა ფუნდამენტი საიმედო გამოვიდეს.

ლალიტას სიბეჯითე მალე თვით დინჯ ნოესაც აკარგვინებს მოთმინებას. ამიტომაა, რომ ურჩევს თუ უბრძანებს: კარგი, კარგი, ნუ წვალობთ, საჭმარისია, არ უნდა მეტი!

ლალიტა, რასაკვირველია, ყურად არ იღებს მის სიტყვებს.

— არაა საჭმარისი, სიმაღლე ყველ-გან ერთნაირი უნდა იყოს. მიფუჩეჩე-ბულია. აი, ასეთია საჭირო, — ერთ ადგილს უთითებს ნიჩბით, — ამის მიხედ-ვით უნდა გასწორდეს.

ნოეს ეღიმება. ნოეს რა ენაღვლე-ბაო, ფიქრობს ქალი. და თითქოს ამის პასუხად, მეპატრონე ისევ იმპერატიუ-ლად ამბობს:

— რა, სასახლეს ხომ არ აშენებთ!

მაშინ ლალიტა, რომელმაც მთელი ცხოვრება ისე გაიარა, რომ მხოლოდ საკუთარი ძალებით უმკლავდებოდა ყოველგვარ სიძნელეს — დამხმარესა და ქომაგის გარეშე, რაც იყო, სულ თავად იყო და არც ნანობდა ამის გამო, ჯიუტი დაჯერებულობით უხსნის:

— დიახ, სასახლეს ვაშენებ, ჩემო ბატონო!

კიდევ მეტი გატაცებით ეძლევა საქმეს. იფიქრებ, სიამოვნებასაც კი განიცდის მიწის ჩორგნითო. ასეთი იყო

მისი ბუნება — რასაც ხელს მოჰკიდებდა, გულიანად აკეთებდა. ჰოდა, ახლა საკუთარი მარადიული სამყოფლის მოწერიგებაში საქმისთვის ვითომ რად უნდა დაეკლო ცდა. ჯერ ერთი, ამის ვალდებულებას გრძნობდა, და ესეც არ იყოს, თითქოს თავისებურად ცდილობდა სიკვდილთან მორიგებას, ზავს დებდა დაუძლეველთან, რაც ამავდროულად ნიშნავდა ფარულ პროტესტსაც, რომ არ ეპუებოდა მას, ვის წინაშეც ძრწოდა ბევრი გულგვამი ძლიერთა ამა ქვეყნისა. ფარული თამაში თუ ბრძოლა წამოეწყო მის ყოვლად გარდაუვალობის შეურყეველი კანონის წინააღმდეგ, რითაც ოდნავ იიოლებდა მდგომარეობას.

ნუ გეშინიაო, ამხნევებდა ის საოცარი თვალები.

ამას ვერასოდეს ვერავინ გაიგებდა. მხოლოდ მეუღლეს გამოუტყდებოდა, ნამდვილ საიდუმლოს ჩვეულებრივ უამბობდა, როგორც ყოველთვის. მას, ერთადერთს, შეეძლო დაეჯერებინა ქალის ნაამბობი, წმინდაწყლის ჭეშმარიტებად მიეღო.

მუშაობს და თავისას ფიქრობს ლალიტა. ფიქრია მისთვის ნოეს და-უნებული მზერისგან გასაქცევი. იხ-სენებს გურამ რჩეულიშვილის მამის ნათქვამს ზედმეტად მოლაყბეთა მისამართი — სადაც გურამია, იქაა პანთეონი. აი, ისმინონ ბრძენი მამის ბრძნული აზრი, რომელმაც ზედმიწევნით კარგად იცის შვილის ფასი. დიახ, ასეა. სადაც ნამდვილი მწერალი განისვენებს, ისაა პანთეონი. აბა, ვინმეგ გვითხრას უფრო ზუსტად, უფრო დამ-

აჯერებლად. მამამ არ დაუშვა ღირსეულად დაღუპული ჭაბუკი შვილის – კარგი ბიჭისა და კარგი მწერლის ძვირფასი ძვლების აქეთ-იქით ტარება. მოკრძალებულ, სამოქალაქო სასაფლაოს დაუტოვა იგი ოჯახურ სამარხში, რადგან ღირსება თვითკმარია და შეუვალი, ჭეშმარიტი შემოქმედი კი უნიკალური ინდივიდი. იგი მარტოა სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც. ადამიანი არ უნდა იქცეს ტოტემად. ადამიანი ადამინად უნდა დარჩეს.

ფიქრი აშინაურებს აქაურობასთან. უფრო ახლობელი ხდება ეს ცა, ეს მიწა, ცხელი, სულის შემზუთავი ნიავი, ქვის მთლელთა სამუშაო იარაღთა ზუზუნ-ზრიალი.

– რამდენი წლისა ხართ? – უცემითხა ნოემ.

– სამოცდაათის, უპასუხა ლალიტამ.

– მე უკვე ოთხმოცს გადავაბიჯე, – დამნაშავესავით თქვა ნოემ.

– არ გეტყობათ, – ქათინაური არ დაიშურა ქალმა, – ჩანს, სწორად იცხოვრეთ.

– ჰო, რა ვიცი...

ქალი ისევ საძირკვლის დათვალიერებას მოჰყვა. ისევ აწუხებდა უგულოდ ნაჯიჯვნი უსწორმასწორო ფსკერი. სიღრმეს ცოტა კიდევ უნდა მოღება, ჩაილაპარაკა ხმამალლა, უროკი ნოეს გასაგონად. ამ სამუშაოსთვის კარგად პქონდა გადახდილი, ამიტომ აცხადებდა პრეტეზიას, ხარისხს ითხოვდა. მერე ის იყო წელში გასწორდა, დააპირა, კიდევ რაღაც დაემატებინა მოთხოვნისთვის, რომ ჭურს ნოეს დამტ-

კბარი ხმა მისწვდა:

– ახალგაზრდობაში ლამაზი იქნებოდით, – თითქმის უადგილოდ თქვა კაცმა.

შეცბა, ცოტა არ იყოს. არ ელოდა ლალიტა საუბრის ასეთ მობრუნებას. შეხედა სასაფლაოს მეპატრონეს. მერე თვალები დახარა და არადროული თვების დასრულების მიზნით, მოკლედ მოუჭრა:

– არა მიშავდა.

ისე კი, რაც მართალია, მართალია, ენის წვერზე მაინც მოადგა ანცი სიტყვები – ჩემს ქმარს ახლაც მოვწონვარო. მაგრამ არაფერი უთქვაშს.

დიდ ისტორიულ დღეს შედგა ეს მიწიერი უმნიშვნელო საუბარი, – ზუსტად 2015 წლის 14 ივლისს, როდესაც “NASA”-ს მიერ ცხრა წლის წინათ გაშვებულმა პლანეტათაშორისო სადგურმა "New Horizons"- მა, რომელსაც თან კლაიდ ტომბოს – პლუტონის აღმომჩენი ამერიკელი ასტრონომის ფერფლი მიჰქონდა, კოსმოსში დაფარა ხუთი მილიარდი კილომეტრი და ჯუჯა პლანეტად წოდებულ პლუტონს ჩაუქროლა მაქსიმალური სიახლოვით (12,5 ათასი კილომეტრის მანძილზე), გრინვიჩის მიხედვით 11.50 წუთზე, 14 კილომეტრი წამის სიჩქარით.

– დაჯექით, დაისვენეთ, – თავის გვერდზე ხელით მიუთითა ქალს ნოემ, – გააკეთებენ, ნუ განიცდით, როგორც თქვენ გსურთ, ისე გააკეთებენ.

ქალიც დაჰყვა მის რჩევას, შეეშვა

საძირკველს, მივიდა და გვერდით მიუჯდა მეპატრონეს.

ერთხანს მდუმარედ ისხდნენ, თითქოს არაფერი ჰქონდათ სათქმელი. ორივე ცალ-ცალკე ფიქრობდა თავისას, დიდი ალბათობით, ყოფნა-არყოფნაზე, რასაც სიტყვები არ სჭირდებოდა. მერე ნოემ დაიწყო:

— მამაცი ქალი ხართ თქვენ. პატივისცემას იმსახურებთ.

ლალიტა გაოცდა. ვერ მიხვდა, რაში გამოიხატებოდა მისი სიმამაცე. ასეთად სულაც არ მიიჩნევდა თავს, ვერ წარმოედგინა, რითი შეძლო მსგავსი შთაბეჭდილების მოხდენა, მაგრამ ისევ დაუმილი არჩია. იქნებ თავად ნოეს დაეკონკრეტებინა, რა ჰქონდა მხედველობაში. ამიტომ თვალმოუცილებლად, მოთმინებით დაელოდა, თუ კიდევ რას იტყოდა კაცი. მანაც არ დააყოვნა:

— მიკვირს, როგორ გაბედეთ, რანაირად გადაწყვიტეთ ამის გაკეთება, — საფლავზე ანიშნა.

გაელიმა ლალიტას, მოკლედ მოუგო, რაც გარდაუვალია, იმას ყველა უნდა დავმორჩილდეთო.

— მე კი დიდხანს ვყოფმანობდი. მეუბნებოლნენ, ამზელა ტერიტორია გაქს, შენთვისაც გაიკეთე რამეო. კარგა ხანს ვიფიქრე. უნდა გამოგიტყდეთ, მეშინოდა.

მ ე შ ი ნ ო დ ა ო. აბა, ამაზე გასაგებად რისი თქმა შეიძლებოდა? მაგრამ გულწრფელობის ხარისხი მოსალოდნელობის სიმძაფრეს ვერ ცვლის. ბევრჯერ მოისმენ — რაც მეტად მდიდარია ადამიანი, მით მეტად უჭირს სიკვდილთან შეგუება.

არავინ იცის, ეს რამდენად შეესაბამება სიმართლეს, მაგრამ ბოლო ზანებში, ქვეყნის ტრივიალური ყოფის სიღუხჭირეში ჩავარდნილთაგან ბევრისგან მოისმენ — ნეტა მოვალეობები, დავისვენებომ. ავიწყდებათ, რომ შეავეთილი სიკვდილი მკვდელთა პრეროგატივაა. საკუთარ სიკვდილს შენს ნებაზე ვერ მოიხმობ. იგი არსთა გამრიგეს ფუნქციაა, ამიტომ მასვე უნდა დაუტოვო. ცოცხალმა სიცოცხლეზე უნდა იფიქრო. სიცოცხლე არანაკლებ საშიშია. და თუ საქმე შიშზე მიდგა, იქნებ ჯობდეს, სიცოცხლეს ვუფრთხილდეთ, დაუსრულებლად რომ გვიმზადებს განსაცდელს.

ნოე კი ხუმრობის გუნებაზე დგება. ნოემ შიში გადალახა.

— ჩვენ აქ ერთად ვიცხოვობთ. სამუდამო მეზობლები გავხდებით, — ამბობს იგი.

— ჰო, ოღონდ შორეული მეზობლები. მაგრამ ჩემი მოკრძალებული სამყოფლიდან თქვენს მეფურ სამარხამდე მაინც მოგაწვდენთ ხმას. ყოველ ცისმარე, როცა აქაურობას რიურაჟი დახედავს, ხმამაღლა დაგიძახებთ: დილამშვიდობისა, ბატონო ნოე!

გულიანად იცინიან. სიცოცხლე ზეიმობს. სიცოცხლეს ზეიმი უხდება.

— საყდარი, ბატონო ნოე... ერთი პატარა საყდარი მართლა მონათლავდა ამ ადგილს.

— ვნახოთ, ვფიქრობ. მეც მინდა. თუ მოვასწარი...

— მაცხოვრის სახელობის. რა შესანიშნავი იქნება! უბეთესს რას გააკეთებთ. ქვეწარმავლის ჭაჭანებაც

მოისპობა. ბატები აღარ იქნება საჭირო.

თავს აქნევს, ვნახოთ, ვნახოთ. ეტყობა, უჩვეულოდ დელიკატურ თემაზე საუბარმა და, მით უმეტეს, ხუმრობამ რამდენადმე იმოქმედა მასზე. უსიტყვოდ გაუჯავრდა ამაოებას, როგორც ონავარ ბავშვს, რომელიც არ იცი, როგორ დასაჯო. გაწყორმას მხოლოდა ასე ახერხებ: შენ იცი რას გეტყვი?! იცი?!

წამოდგა. დაებჯინა განუყრელ ხელჯობს. ოფისისკენ დაუყვა გზას.

მერე და მერე უფრო გაირკვა, რომ ნოე მართლა კარგი მოსაუბრე გახსლდათ. ჰყებოდა ხან ამ მთისას, ხან იმ მთისას. აფხაზეთიდან დევნილი იყო, დედით აფხაზი, მამით მეგრელი. მოუსმენდი ამ ზრდილ, ცხოვრებისგან გამოჯეკილ ადამიანს და ხვდებოდი, მყარად იდგა მიწაზე. ფულის ყადრი იცოდა, თანაც იმდენად, რომ ძუნწის რეპუტაციაც შეეძინა. მაგრამ სადაც გინდა გადაგეგდო, ყველგან ალჩოზე დადგებოდა. უფრო წარსულით ცხოვრობდა, რომელიც საინტერესოდ გაევლო. აწმოს კი ამ სასაფლაოსთვის მიეჯაჭვა. დილიდან საღამომდე ფეხმოუცვლელად იჯდა ოფისში. ემსაურებოდა საქმეს, მისი ბიზნესი რომ ერქვა. უმართლებდა კიდეც.

ლალიტას სურვილით, ნოე ყველა მოგონებას, რომლიდანაც უმეტესობა აფხაზეთის ომის შემდგომ მისი მოსკოვში ცხოვრების დროინდელია, უყვება პერსონაჟს, ვისთვისაც ავტორს სახელის დარქმევა დავიწყება. ან, იქნებ, არც ჩაუთვლია საჭიროდ. ამას მნიშ-

ვნელობა არ აქვს, მით უმეტეს, ცოდვად არ ჩაითვლება. პერსონაჟი, თუნდაც უსახელო, მაინც პერსონაჟია. სად წაგვივა, ყველგან მივაგნებთ, რადგან მოვალეობების ჩარჩოში ზის. ავტორმა მას დამოუკიდებელი, გამოკვეთილი სახეც კი არ მისცა. შიგადაშიგ გადაულოცავს ხოლმე თავის როლს, ჩართავს მისთვის ნაკლებად საინტერესო ეპიზოდში და სულ ეგაა. ამიტომ პერსონაჟმა ბევრი რამ არ იცის ლალიტასა და მისი გეგმების შესახებ. თავისი ფუნქციის საფარველში შეყუული, მოთმინებით იცდის, იფიქრებ, იბუტებაო იმ მეზობელივით, ფული რომ შემოაკლდება და მოსალმება აღარ სურს. თვალს გარიდგებს, თითქოს თავის ხელმოკლეობას შენ გდებს ბრალად. ჰყავდა ლალიტას ასეთი მეზობელი — მნელად ასახსნელი, ამოუცნობი, რომელსაც, რახან არ ეწუწუნები, საკუთარი პრობლემებით გულს არ უწყალებ, დალხინებული ჰგონიხარ, სხვა კატეგორიაში მყოფი. ამიტომ შენდამი, თუნდაც ფარული, ანტაგონისტური დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს. მაგრამ რა, ბაკანში ჩაკეტილისთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს? პო, თითქმის ასეთად იქცა ლალიტა. ძველი მეგობრები აღარ ჰყავდა, თუ არ ჩავთვლით ერთი-ორ, ისიც ნახევრად გაუცხოებულ პირს. ახლის შეძენის დრო კი სადღა იყო. გვიან ისწავლა ჭკუა. ადამიანებთან ურთიერთობისგან კარგს არაფერს მოელოდა. ისინი ორ კატეგორიად დაჰყო — პერსონაჟებად და მკითხველებად. ორივენი მისგან დამოუკიდებლად არსებობდნენ. ორთავესგან მკაცრად დაცული

ვირტუალური სივრცე მიჯნავდა, მსუბუქი და თავისუფალი, რადგან ერთმანეთისგან არაფერს ითხოვდნენ.

როგორ გვინიათ, წარმოიდგენს პერსონაჟი, რომ მის ავტორს — ლალიტას ფეხის თითქბი უბუჯდება, თითქოს შიგ ჭიანჭველები დაუდიოდეს? ამიტომ ხშირ-ხშირად ალაგებს ტერფებს კუზნეცოვის იპლიკატორზე, მაგრად აჭერს ნემსებს, რათა სისხლი ამოძრავდეს; ანდა იმას, რომ მან სიზმრებში კარგა ხნის დავიწყებული ფრენა ისევ დაიწყო. ისევ დაიბრუნა გამორჩეულობის შეუდარებელი განცდა. ვინ ახსნის, თუ რა კავშირი აქვს ამას ისეთ უნიკალურ უნართან, რომლითაც დამით აყევებულ ძალლებს აჩუმებს. მაგრამ ფაქტია, მათზე ზემოქმედება იოლად გამოსდის, ადვილად ახერხებს აღავლავებულ პირუტყვთა აღფა დონეში შეღწევას.

იცის კი პერსონაჯმა, რომ ლალიტა თითქმის ყოველ გათამაშებაზე ლოტოს ლატარეის ერთ ბილეთს იძენს? თანაც ჯიუტად არ კარგავს იმედს; ან ის, რომ არ უყვარს ხალხმრავალ ადგილებში ყოფნა, საკუთარი წიგნების პრეზენტაციების გამართვა, თავისი დაბადების დღეების აღნიშვნა.. ხმარობს საუკეთესო კბილის პასტას და ეჯავრება, როდესაც ვინმე ერთი და იმავეს ორჯერ ასმენინებს. ასეთებს შიზოფრენით შეპყრობილად მიიჩნევს.. კიდევ ბევრი რამ არ იცის პერსონაჟმა. არცაა საჭირო. იგი თვინიერი უნდა იყოს, ადვილად დამყოლი. ჰოდა, სწორედ ასეთია. გულდასმით უგდებს ფურს ნოეს ამბებს, რასაც თავისი გან-

საკუთრებული მდგომარეობა ავალდებულებს.

ნოე კი, წაბლისფერ საწერ მაგიდასთან მჯდომი, მშვიდად უყვება, თუ სახალხო მქურნალმა როგორ იხსნა ჯინჭრის ციებისგან. ოღონდ ნანობს, მისი წამალი, რომელიც თორმეტი პატარა ჭიქით უნდა მიეღო, ძალიან ცუდი დასალევი იყო და ათის მეტის დალევა ვერ შევძელიო. გაუფრთხილებია იმ მაღლიანს, ის ორიც მაყოლე, თორემ სიბერეში ისევ გაგიხსენებს ავადობაო. არ დაგუჯერე და რაღაც ნიშნებს მართლა გვრძნობო.

უამბო ჭიკვანი ძალლის შესახებაც, რომელსაც თურმე ყელზე შებმულ პატარა ყუთში ჩაუდებდნენ ფულს წერილთან ერთად და ჯიხურში გაგზავნიდნენ საყიდლებზე. იგი ადამიანების რიგში დგებოდა, როგორც წესი მოითხოვდა. შინ კი პირით მოჰქონდა ნავაჭრით სავსე პარკი. მერე ჯიხური გაუუქმებიათ. სუპერმარკეტში ძალლი აღარ შეუშვეს. შეურაცხოფილმა პირუტყვმა მაშინ აცი აცია, არც აცხელა, ისკუპა და წამში ვებერთელა ვიტრინა ჩამოფშვნა, რის გამოც ნოეს სასამართლოში სიარული მოუწია.

ვიღაც "აჩქოს" მოთამაშე შულერიც გაიხსენა ერთხელ, ბოშებს დანიშნული კარტების დასტებს რომ აყიდვინებდა და იმ კარტებით ნოეს ნაცნობს ერთ ღამეში თორმეტი მილიონი რუბლი წააგებინა, რასაკვირველია, ძველი კურსით, რაც დიდ თანხას შეადგენდა. და ასე შემდეგ, ამოუწურავად...

როცა ნოე ამბებს ჰყვება, უნდა იჯდე და უსმინო ბოლომდე. ჯერ ერთი, ად-

ვილად გითრევს ამბავში, და, რაც მთა-  
ვარია, თავად ისე ერთობა, ვერ შეაწ-  
ყვეტინებ. აწმყო სავსეა მოგონებებით,  
აწმყო წარსულის მოგონებათა სკივრია.

\* \* \*

უსუსური მძვინვარება.

სიცოცხლის მუდმივი თანამდზავრია  
ასეთი განცდა – წმინდა ცრემლში  
ამომხრჩვალი გრძნობების საყუდარი.

იმდენ ხანს უნდა ვიცოცხლო, ყვე-  
ლას დავავიწყდე!

ნამდვილი ავტორი აქ არ ჩანს.  
ნამდვილი ყოველთვის ჩრდილშია. ას-  
პარეზი ეთმობა თოჯინებს. თავს ზე-  
მოთ არაა ძალა. ჭრაქიანი დღე დაუნ-  
დობლად გწვავს, გთენთავს. თანაც  
გონებას გიხედნის, გადარჩენის ინსტინ-  
ქტს გიძლიერებს. ესეც არ იყოს, ად-  
ამიანი დიდხანს მაინც ვერ გაძლებს  
მთვლემარე მდგომარეობაში. რაღაც  
გამოაფხიზლებს, აიძულებს, ფართოდ  
გაახილოს თვალი, მიმოიხედოს ირგვ-  
ლივ, სადაც სულაც არ ხარობს მარ-  
ტო ია-ვარდი. დრო ცოტაა. ილევა შენი  
დრო. წინ ახალი ჰორიზონტია, უცხო,

შეუცნობელი. არაფერს გპირდება ეგ  
სიუცხვე. არც ელოდო. არ შეცდე და  
არ ელოდო. რად გინდა... საკმარისია  
ფუჭი წარმოდგენები. არაფერი გჭირდ-  
ება.

ადარც თხოულობ. ჩანს, მოჭკვიან-  
დი. ჰოდა, ასე უფრო გაგიადვილდება  
შეიგნო, რომ სტუმრად ხარ მოსული  
სამყაროს ცისფერ ბურთზე, რომლის  
რადიუსი, არც მეტი, არც ნაკლები, სულ  
რაღაც 6 371 კილომეტრია. აქ შენამ-  
დე ბევრი მოსულა და იგი საკუთარ  
სახლად გამოუცხადება.

ამ ლამაზ ტყუილში ცუდი არაფე-  
რია. სრული უფლება გქონდა, შენც  
ასე მოქცეულიყავი, რადგან სითამამე  
და გამბედაობა თვით სიცოცხლის  
თვისებაა. აუწყვე, აუწყვე ფეხი ღვთივ  
ბოქებულ სიცოცხლეს, იმკვიდრე, სანამ  
ხარ, შეიფერე უდიდესი პატივი ადამი-  
ანად ყოფნის. გულში ნუ ჩაიხვევ წყ-  
ენებს, გაიადვილე, გაისხივოსნე დღეები  
დედამიწაზე, რომელზე ცხოვრებაში  
მეცნიერება გვეხმარება, რომლიდან წას-  
ვლაში კი რელიგია.

ნუ გეშინა! ნუ გეშინა!

ხოლო, თუნდაც ერთ ადამიანთან  
განშორებაზე თუ გწყდება გული, სიც-  
ოცხლე ღირს.

**ლალი ბრევვაძე-კახიანი**

**თბილისი  
2015**

## სიბრძნესთან შეხავებული თავპაცობა

მწერლის დაბადებიდან ასი წელი როცა სრულდება, დინჯად შეიძლება შეფასდეს მის მიერ განვლილი გზა და რამდენადმე ისიც ითქვას, რა წვლილი აქვს შეტანილი მშობლიურ ლიტერატურაში.

გრიგოლ აბაშიძის შემოქმედებაზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, მისი ძალზე თავისებური, დაწვეწილი, პოეზია გვახსენდება. რამდენს ნიშნავს თუნდაც ის, რომ „100 ლექსის“ სერიით გამოცემულმა კრებულმა პოეტის ყველა საუკეთესო ქმნილება ვერ დაიტა.

ნატიფი და შთამბეჭდავია გრიგოლ აბაშიძის სატრუქიალო ლირიკა. საამისოდ მას სჩვევია გარდასული საუკუნეების სიღრმიდან ისტორიულ პირთა გამოხმობა, რათა ისინი ხასიათითა თუ გარეგნობით საკუთარ საბედოს შეადაროს. ასეთ გაუხუნარ ხატად გამოიყენა მან სილამაზითა და სიამაყით განთქმული, თამარ მეფის შვილიშვილის ულუ დავითის პირველი ცოლი – ჯიგთახათუნი – მონღოლური წარმომავლობის დიდგვაროვანი ქალი და იგი თავისი ცხოვრების ძვირფას თანამგზავრს მიუსადაგა. თვით მიმართვა – „გეფხზე უწყალოვ, ჯიქზე უწყალოვ ...“ რუსთაველის სწორუპოვარი პოემიდან იღებს სათავეს, რითაც ამ სახეს ელვარება და სიდიადე ემატება.

კონტრასტის უძველეს და უბერებელ ხერხზეა აგებული გულწრფელი აღტაცების მომგვრელი „ჯიგთახათუნი“. მოულოდნელი და უაღრესად დინამიურია პირველივე სტრიქონები, სადაც



„ბედის ბორბალის“ შეყენება გასაოცარ ექსპრესიას სძენს ლექსის, რაც თანდათან ძლიერდება:

„...და შედგა ჩემი ბედის ბორბალი, შეჩერდა შენი თმით დახლართული, შენ ერთადერთი ხარ დედოფალი, ჩემი ოცნების ჯიგთახათუნი.“

გრიგოლ აბაშიძე, მისთვის ესოდენ საყვარელი და პატივსაცემი გიორგი ლეონიძის კვალდაკვალ, ხშირად მისტირის და ეთაყვანება გამქრალ, დამიწებულ სილამაზეს, რის დასტურადაც შეგვიძლია მოვიხმოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის შედევრით შთაგონებული მისი სხვა დიდებული ლექსი, სა-

დაც სათაურიც („საყურე“) შენარჩუნებულია და პოეტური ჩანაფიქრი ერთ მთლიან მეტაფორად არის შეკრული; საყურე და მისი მფლობელი გაიგივებულია – ეკატერინე ჭავჭავაძის მეფიური ჩრდილი ჩვენ თვალწინ იწყებს სუნთქვას, სიცოცხლის ფერებით იმოსება, მიუხედავად თვითონ ლექსის მრუმე, პირქუში განწყობილებისა. აქ ავლენს ხელოვნება თავის შეუზღუდავ, შთამაგონებელ ძალას:

„ვაი საყურევ, უცხო საყურევ,  
აღარ ფართატებ, როგორც პეპელა,  
შენც სამარეში დაისადგურე,  
შენც ლოდი გადევს ვეებერთელა.

მართლა გამქრალან, მართლა  
დაძნარან

მარჯან-ლალები აღარ მოჩანან,  
შენი ხატებაც არ ჩანს პატარა,  
გაგშორებია შენი შროშანა.  
და ბნელში, სადაც არა ყოველი,  
მოელის ხილვას სასიხარულოს, –  
არ მოვა შენი უკვდაგმყოფელი,  
რომ ბაგე შენს ქვეშ დაიტკბარუნოს!“

კომპოზიციის როგორი უტყუარი გრძნობა აქვს გრიგოლ აბაშიძეს, ამის მეტყველ მაგალითად გამოდგება მისი კიდევ ერთი მშვენიერი ლექსი „ზღვა და მერცხალი“, გაზაფხულის მახარობელის ფრენასავით ლალად, ძალდაუტანებლად ამოთქმული. სულ უბრალო რამ – ზღვის სანაპიროსთან ყოფნა და თეთრგულა ფრთოსანის მარდი სრიალი ლურჯი ტალღების ზედაპირზე ბიძგს აძლევს პოეტის წარმოსახვას – მერცხლის თავბრუდამხვევ

ქროლვას ბუნებრივი მარდი სრიალი მოუძებნოს და მაშინვე პარალელი სასურველ არსებასთან მოულოდნელი განშორების აღმიანური სევდა, ასე რომ ეთვისება და უხდება ჭეშმარიტ პოეზიას. ამ ლექსის ცალკეულ სტროფებად დანაწევრება ხელს შეუშლის საერთო შთაბეჭდილების მოხდენას და, ამდენად, უმჯობესია, იგი მთლიანად მოვიტანოთ:

„აჩქარებული, ფრთამოქნეული,  
უცებ დაეშვა მერცხალი ციდან,  
ზღვას გაუსწორა მთელი სხეული,  
გაეკრა ზედ და... უცებ მოსცილდა.

არ სურდა ცურვა, ტანთ შავი ეცვა,  
ტალღის შხეფს ფრთითაც არ  
შეხებია,

არ სწყურებია, წვეთიც არ შესვა.  
მაშ რაღა სურდა გაშლილფრთებიანს?

ნუ ჰკითხავ მერცხალს, ზღვისგან  
რა სურდა,  
ნუ მკითხავ, შენგან მაშინ რა მსურდა,  
როგორც ზღვისა და მერცხლის  
თამაში,  
ჩვენი თამაშიც უცებ დასრულდა“.

პოეტი ხშირად იშველიებს ისტორიულ რეგალიებს, რათა სატრფოსადმი თავისი მღელვარე დაუოკებელი გრძნობა გამოხატოს. ასეთ ლექსად უყოფისწულისა“, სადაც დიდი თამარ მეფის შვილიშვილი, ლაშა გიორგის უიღბლო პირმშო, ათას სასიკვდილო განსაცდელში ჩავარდნილი ულუ დავითი ილანდება. (გრიგოლ აბაშიძე)

მას ცალკე უძღვნა თავისი ერთი გამორჩეული, ცეცხლოვანი გზნებით დაწერილი მოზრდილი ლექსი „ულუ დავითის დაბრუნება“). მირაჟივით ადვილად გასაქრობი და ქვიშის უდანოში ჩაკარგული ყარაყორუმივით ძნელად მისაღწევია პოეტის გულში ამოჭრილი სურვილი, რომელსაც იგი ვერსაგზით ვერ თმობს. ამ ლექსის თავისებური ტრაგიკული უღერადობა რომ გავაცნობიეროთ, ამას პირველივე სტროფი გვაგრძნობინებს:

„საქართველოს მთა-გორების

ხორუმი,  
ვაზი ვაზზე ლერწებგადალასტული,  
ალაგ თითა, ალაგ ალადასტური,  
ჩემს მეფობას უნდა შენი დასტური,  
შენ კი შორს ხარ, როგორც  
ყარაყორუმი.“

საქართველოს ძველი და ახალი მნელბედობა რომ გამოხატა, გრიგოლ აბაშიძე, სხვა ქართველ პოეტთა მსგავსად (გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, ლადო ასათიანი და სხვები) ისტორიულ სახელებს იშველიებდა და მოარებით გამოთქვამდა თავის საწუხარსა და საგოდებელს.

ზემოთ უკვე ვახსენე გრიგოლ აბაშიძის ერთი საუკეთესო ლექსთაგანი „ულუ დავითის დაბრუნება“, საიდანაც მონღოლთა ურდოების მიერ გაპარტახებული ჩვენი სამშობლოს ურვა გვების. მხლებლებთან ერთად, ამუდარის ნაპირს მიმდგარი ულუ დავითი ტრაგიკული ფიგურა იყო. ისა და მისი მამიდაშვილი დავით ნარინი, დიდი

თამარის უმცროსი შვილიშვილი, მონღოლებმა ცალ-ცალკე გაამეფეს, რამაც სათავე დაუდო ერთიანი სამეფოს ორად გახლეჩას, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოებად.

მაშინ დაიწყო ყველაზე ბნელი პერიოდი საქართველოს ისტორიაში, როცა მოხარკე ქართველი მეფები ქედმოდრეკილი უნდა ხლებოდნენ მონღოლთა ყაენებს. ამ ლექსში დიდი სიცხადით, თვალნათლივ იგრძნობა არაქათის გამომცლელი „გრძელი გზა“, რომელიც ულუ დავითს უდაბნოს სიმხურვალეში უნდა გაევლო. ახალგაზრდა, ოცდაათი წლის გრიგოლ აბაშიძის პოეტური მეტყველება, მისი ფრაზა უაღრესად ექსპრესიული, მოქნილია.

„ულუ დავითის დაბრუნება“ ისევე, როგორც „ჯიგთახათური“, თითქოსდა შეუმზადებლად, რამდენადმე მოულოდნელად და თანაც იმავე სიტყვით („შედგა“) იწყება, მაგრამ იქ თუ „ბედის ბორბალის“ შეყენებაზეა წუხილი, აქ თვით ლექსის გმირი გაუშეშებია სასოწარკვეთას. ულუ დავითის შინაგანი ძრწოლა, იმედის გადაწურვა რომ ვიგრძოთ, პირველივე სტროფის მოტანაც საქმარისია:

„შედგა, დაწყევლილ სიჭაბუკეში,  
უკვე მეორედ ნახა ჯეონი,  
გამოილია ყველა ნუგეში,  
წაგო ყველა სანაძლეონი“.

აქ აღარას ვიტყვი ასეთივე შემართებით დაწერილ დანარჩენ, ისტორიული მოვლენებისა და პიროვნებების ამსახველ ლექსებზე: „შვიდასი წელი“ (ეძღვნება კოხტაგორის შეთ-

ქმულებას), „ხილვა არმაზზე“, „ძევას პიტიახშეს“, „სამცხის სამარხზე“, „ზარზმა“, „თელავის ციხის ლუგენდა“, „ძველ ტაძარში“, „შვიდი მეციხოვნე“, „უჯარმის ნანგრევები“, „ჯაჭვგაუხდელი“ და სხვები. თუმცა თვითეული მათგანი საგანგებო დაკვირვებისა და განხილვის ღირსა.

მოსკოვში ყოფნისას, როცა პოეტი დროებით განრიდებული იყო თავის სამშობლოს (იქ სასცენარო აკადემიის კურსებზე სწავლობდა) დაწერა ერთმანეთზე გადაბმული „ორი ტრიოლეტი“, რითაც ცხადყო, რომ ნაირგვარი სალექსო ფორმების უზადო, გამოცდილი ოსტატია. აქ ჩანს, როგორ იუველირის სიზუსტით წონის იგი თვითეულ სიტყვას, არ ჩქარობს, რათა ნაფიქრი ზუსტად გამოხატოს, დაუფარავად ახსენებს „საქართველოს ღრუბლის“ მონატრებას, რისი თქმაც იმ დროს სამაგალითო მოქალაქეობრივი გამბედაობა იყო (შეეძლოთ ბრალდება წაუყნებინათ, რომ მშობელი მამისა და სხვა ახლობლების გადასახლებადალუბვას გულისხმობდა). ჩვენი მხრიდან დაგამატებდით — ნათქვამი რომ უფრო გასაგები გახდეს, მეორე ტრიოლეტის ბოლო ოთხი სტრიქონი უნდა ამოვიწეროთ:

„დააცადე, სანამ გულმა თვითონ  
არ ინატროს,  
შუადღის მზეს ნუ შეხედავ, ქვეყნის  
გადამზუგვლს,  
დააცადე, ლექსმა გულში კიდევ  
დაიხამთოოს,  
ხვალ, ვინ იცის, სად ინატრებ,  
საქართველოს ღრუბელს.“

დარწმუნებული ვარ (ეს ჩემთანაც უთქვამს) გასული საუკუნის მიწურულს ოთხმოცი-ოთხმოცდათიანი წლების ძნელებდობისას, როდესაც არსებობის სახსარი აკლდა და გუნებაც მოშხამული პქონდა, ხშირად ნატრობდა იმ დროს (1954), როდესაც დღიური შრომით დაქანცულს, მყუდრო ჭერებეშ, „ჩიტის ენაზე“ მოელურტულე პატარა ქალ-ვაჟი ეგებებოდა, გულს უხარებდნენ და სიცოცხლის უშრეტ მაღლს აზიარებდნენ:

„სანაპიროზე სამი ფანჯარა,  
სანაპიროზე ჰყვავის ბაღები ...  
კიბესთან მხვდება ორი პატარა,  
კისკისით ჩემი კარის გამლები.“

ისტორიულ თემებზე დაწერილი ბრწყინვალე ლექსები („ობილისი“, „ზევას პიტიახშეს“, „ხილვა არმაზზე“, „სამცხის სამარხზე“, „შვიდასი წელი“, „შეშლილი ხარი“, „ჯაჭვგაუხდელი“, „ნოსტეს ღრუბელი“, „შვიდი მეციხოვნე“, „ზარზმა“, „ძველ ტაძარში“) საგანგებო დაკვირვებისა და განხილვის ღირსა, მაგრამ მცირე საიუბილეო წერილში ეს ვერ მოხერხდება.

გრიგოლ აბაშიძემ საზღვარგარეთის ბევრი ქვეყანა მოიარა და ცოცხალი შთაბეჭდილება, ჩვეულებრივ, ლექსებად იქცეოდა ხოლმე. ორმოცდათიანი წლების ბოლოს, ეგვიპტეში მოგზაურობის შემდეგ დაწერა ლექსების საუცხოო ციკლი („პირამიდებზე“, „მამელუკების გახსენება ეგვიპტეში“, „სფინქსი“, „ტუტანხამონის აკლდამაში“ და სხვები), რომელზეც ადრე უურნალ „ცისკარში“ წერილი

გამოვაქვეყნე და ამჟამად არას ვიტყვი.  
ადრე, გადატანილი ძნელბეფობის  
მიუხედავად, გრიგოლ აბაშიძეს იშვი-  
ათად ტოვებდა იმედიანი განწყობილება,  
მაგრამ სიცოცხლის ბოლოს იმდენი  
საშინელება იხილა (საბჭოთა კავ-  
შირის დაშლის შემდეგ ქაოსისა და  
განუკითხაობის კოშმარული წლები,  
აფხაზეთის ტრაგედია და მისი  
საქართოებიდან მოწყვეტა, შიდა  
ქართლის არეულობა და შუაზე გაგლე-  
ჯა, უმოწყალოდ და უაზროდ დახო-  
ცილი ჩვენი ახალგაზრდობა...), უმძი-  
მესი სასოწარკვეთა დაუუფლა და ეს  
კიდევაც გამოხატა თავის ლექსებში.  
როგორ უნდა ყოფილიყო დათრგუნუ-  
ლი, რომ ასეთი რამ კველას გასავო-  
ნად, ხმამაღლა ეთქა: „არც გათენება  
გიხარია, არც დაღამება“.

სოხუმიდან თვითმფრინავით ჩამო-  
ტანილი „ოცი წლის ბიჭების კუ-  
ბოებს“ როცა ხედავდა, სულის სიმშ-  
ვიდეს როგორლა იპოვიდა და ხან-  
დაზმულმა პოეტმა ამოიგმინა:

"ღმერთო, რა ცოდვის გამო დამსაჯე,  
ღმერთო, ამ დღეებს რად მომასწარი!"

ბოლოდროინდელი ლექსებიდან  
მცირე ამონარიდებიც მიგვახვდორებს, რა  
ტანჯვასა და მღლვარებას განიცდი-  
და საწუთოდან წასასვლელად გამზა-  
დებული მხურვალე მამულიშვილი:

"ვაი დალო და ვაი ჭუბერო,  
ვაი გოლგოთის გზავ უსასრულო!"  
(„რა დამამინებს“)

"რატომ დამტოვე, ღმერთო მაღალო,

ქართველთა მოდგმის დაქცევის  
მოწმედ!"  
(„შხამით სავსე თასი“)

"თავისუფლებით რომ დაგმტკბარიყავ,  
ქვეყნის აწეწვამ არ დამაცალა."  
(„ვინ ახსნის“)

"ამდენი გესლი, ამდენი ღვარძლი,  
სად იყო, როგორ ამოტივტივდა?!"  
(„ღმერთმა შემინდოს“)

"მოვყები დღეთა გადათვლილ  
ქარვას,  
გასრულდა ჩემი კრიალოსანი."  
(„ღმერთო, იქნება მე ღირსიც არ ვარ“).

თავისი სახელოვანი სეხნიის  
გრიგოლ ორბელიანის მსგავსად, გარ-  
დაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე (წინა-  
პარზე მინიშნება სრულიად აშკარაა),  
გრიგოლ აბაშიძემაც მწარედ დაიჩივ-  
ლა:

"მეც სამარები ისე ჩავდივარ,  
სამშობლოს საშველს ვერ  
მოვესწარი."  
(„ამ სოფლის წესი“).

გარეშე, დაუკვირვებელი თვალი  
ძნელად შეატყობიდა, ამ სტრიქონების  
დამწერი იმოდენა „ფარული დარდის“  
მზიდველი თუ იყო.

ბუნებით რაინდს, სულით და  
აღზრდით არისტოკრატს, მას იმდენი  
კეთილშობილება ჰქონდა, საკუთარი  
დაუძლურება, დაღლა არაფრად ჩაეთვ-  
ალა და უფალს შევედრებოდა, უკი-  
დურეს განსაცდელში ჩავარდნილი მისი  
საფიცარი სამშობლო, საქართველო

### არასოდეს დაღლილიყო.

ყოველმა ჩვენგანმა მოქალაქეობრივ და შემოქმედებით გმირობად აღიქვა, როდესაც ოთხმოც წელს მიახლოებულმა გრიგოლ აბაშიძემ შექმნა ჭეშმარიტი შედევრი, ბარათაშვილის „მერანის“ კვალში თამამად ჩამდგარი მართლაც რომ დიდი ლექსი „არყოფნისაკენ“, სადაც დედამიწიდან უსასრულობაში, ვარსკვლავებით მოჭედილ კოსმიურ სივრცეში გაჭრა ისურვა, რათა ჩამწარებულ ამქვეყნიურ ცხოვრებას დამშვიდობებოდა. ამ ლექსის, მთელი შემოქმედების გვირგვინის (ეს მარტო ჩემი აზრი არ გახლავთ) მღლვარე, მართალი სტრიქონები იქცა მისი პოეზიის ბოლო, ტრაგიკული უღერადობის აკორდად:

"თავის სამშობლოს ვინც გაქცევია,  
თავს რით იმართლებს, ან რა კაცია,  
მაგრამ ქვეყნას როცა ღვარძლი სჭამს  
და სიყვარული სულაც გაცლია,  
როგორ იცხოვრებ უსიყვარულოდ,  
სულის ამოსვლას არ დაგაცლიან.

\* \* \*

და აი, უკვე არყოფნისაკენ  
სულმოუთქმელად მივექანები,  
გიშურ ქროლვაში გაქრობას  
ვჩქრობ,  
შავად გაშლილან იალქანები,  
არყოფნისაკენ!  
არყოფნისაკენ!

ჩემს გასაფრენად ქრიან ქარები."  
გრიგოლ აბაშიძის მეტად თავისებური, გამორჩეული ხელწერის პოეზია მხოლოდ ლირიკით როდი შემოუფარგლება, მან ეპიური თხრობის იშვიათი

ნიჭიც გამოამჟღავნა და ეს უპირატესად გამოვლინდა თემურ ლენგის ველური ურდოების შემოსევაზე დაწერილ ვება ისტორიულ პოემაში „გიორგი მეექვსე“. ამ მხრივ გრიგოლ აბაშიძეს ჰყავდა ისეთი გენიალური გზის გამკვალავი, როგორიც იყო აკაგი წერეთელი (გავიხსენო მისი ისტორიული პოემები „ბაგრატ დიდი“, „თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“), მაგრამ „გიორგი მეექვსისა“ და სხვა, ასევე შესაშური ოსტატობით დაწერილი პოემის „ზარზმის ზმანების“ გარჩევას (იგი ქართული მოსახლეობისგან ჯავახეთის დაცლის მეტად მტკიცნეულ პრობლემას ეხება, რაზედაც ომიდან დაბრუნებული ვაუკაცი ვალალებს), გასაგები მიზეზის გამო, აქ არ შევუდგებით.

დიდი ამაგი დასდო გრიგოლ აბაშიძემ საყმაწვილო ლიტერატურასაც. დაწერა საბავშვო ლექსებისა და პოემების მრავალფეროვანი, ხალისით წასაკითხი წიგნი. ცალკეა აღსანიშნი იუმორითა და ლირიზმით აღსავსე პოემა „ნაბოლარა წიწილა“, რომელსაც საკეთილოდ ეტყობა ჩვენი უმდიდრესი ხალხური პოეზიის ზღაპრული იერი და ხატოვანება. შეიძლება ითქვას – „ნაბოლარა წიწილა“ რუსული საბავშვო პოეზიის კლასიკოსის კორნეი ჩუკოვსკის საუკეთესო საყმაწვილო პოემებს არ ჩამოუვარდება.

სრულიად განსაკუთრებული კვალი დაატყო გრიგოლ აბაშიძემ ქართულ მთარგმნელობით ხელოვნებას. ახლანან გამომცემლობა „ინტელექტმა“, პოეტის დაბადების ასი წლისათვის იუბილესთან დაკავშირებით გამოსცა „რჩეული თარგმანები“, გენიალური

ფრანგი პოეტის პიერ რონსარისა და უნგრეთის ეროვნული სიამაყის შანდორ პეტეფის შემოქმედებას რომ აერთიანებს.

ამ თარგმანებზე, კარგა ხანია ქართული ლიტერატურის უთვალსაჩინოეს შენაძენად რომ ითვლება, იმდენია თქმული და დაწერილი საგანგებოდ აღარ ვილაპარაკებ. ისლა დაგვრჩნია, მთარგმნელის ღვაწლის მიმართ ერთხელ კიდევ გამოვხატოთ უსაზღვრო მადლიერების გრძნობა.

\* \* \*

ორიოდე სიტყვა მაინც უნდა ითქვას გრიგოლ აბაშიძის პროზაზე, რომელსაც მან თავისი შემოქმედებითი ცხოვრების დიდი ნაწილი შესწირა. უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ საქართველოს ისტორიის ყველაზე ტრაგიკული ხანის, მეცამეტე საუკუნის ამსახველი ტრილოგია („ლაშარელა“, „დიდი ლამე“, „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“).

2009 წელს „პეგასმა“ გამოსცა მწერლის ვაჟის დავით აბაშიძის მიერ შედენილი მეტად მნიშვნელოვანი წიგნი (მას ჩემი წინათქმაც უძღლდა) გრიგოლ აბაშიძისა „მოგონებები, წერილები“.

წიგნში დამატებად შეტანილია გრიგოლ აბაშიძის მიერ 1959 წელს დაწერილი მოზრდილი სიტყვა „რას დალადებენ წყაროები“ („ლაშარელას“ გარშემო“), სადაც დაწვრილებითაა მოთხოვნილი, როგორ საზიზღრად დასწამეს ცილი რომანის ავტორს, ვისაც ძირისძირობამდე ჰქონდა შესწავლილი ქართული და უცხოური წყაროები (ბევრი რამ, მნელად ხელმ-

ისაწვდომი, თავად მოიპოვა) და ლაშა გიორგის დროინდელი საქართველოს სრულიად ობიექტური სურათი დახატა, თვით ჭაბუკი მეფე იმაზე მიმზიდველად წარმოაჩინა, ვიდრე სინამდვილეში იყო. ამ სიტყვაში, სამწუხაროდ, ძალზე არასახარბიელოდ გამოიყურება აკადემიკოსი ვარლამ თოფურია, რაც მისი რანგის მეცნიერს არაფრით არ შეშვენდა. ბევრ ჩვენგანს ახსოვს, იმ დღეს არასაკადრისად გამოვიდა კონსტანტინე გამსახურდია, რომელსაც შემდგომში გრიგოლ აბაშიძისთვის პირადად უთქვაშს – „ვაჟებაცი ყოფილხარ, კეთილშობილებით რომ მიხდი სამაგიეროსო“.

კლასიკური ორატორული ხელოვნებით აგებულ გრიგოლ აბაშიძის სიტყვაში ბევრ რამეს ეფინება ნათელი. იგი სამომავლოდაც ჭკუის სასწავლებლად გამოადგებათ საძრახისი მიდრეკილების ადამიანებს, რათა ისინი სიცრუისა და ბოროტების გზას არ დადგენენ.

რ. ჩხეიძე არჩევს მთელ ტრილოგიას, სამივე რომანის ავ-კარგიანობას, იმასაც ცხადყოფს („მნათობში“ გამოქვეყნებულ ერთ საჩოთირო წერილს იხსენებს), რომ ვიღაცებმა გრიგოლ აბაშიძის წინააღმდეგ გაჩაღებულ ვერაგულ თავდასხმებში ბრმა იარაღად გამოიყენეს აკაკი ბაქრაძე, რომელსაც შემდეგი წერილები შურნალში დასაბეჭდად აღარ მოუტანია, გამოეთიშა ბნელ თამაშს.

თავის მონოგრაფიაში, რ. ჩხეიძე ასევე მაღალ დონეზე განიხილავს გრიგოლ აბაშიძის ღრმა სიმბოლური აზრის შემცველ ოსტატურად დაწერ-

იღ მოთხოვბას - „ქევრს“, დამაჯერებლად არის ნაჩვენები თუ როგორ იქცევა ქვევრი „სიკვდილის ჭურჭლად“, მიწა მიწასვე უბრუნდება.

გრიგოლ აბაშიძის პროზასა და, საერთოდ, მის მრავალფეროვან სულიერ მემკვიდრეობაზე, იმედია, სამომავლოდაც გაგრძელდება ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობა, რათა მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ერთ-ერთი საუკეთესო შემოქმედის უფრო სრულყოფილი ლიტერატურული პორტფეტი შეიქმნას.

გრიგოლ აბაშიძე, ახალგაზრდობიდანვე მოყოლებული, ავტორია უბრწყინვალესი, ფრიად ორიგინალურ ლიტერატურული წერილებისა, რომელთაგან თოხი საუკეთესო („სვანური მოყმედა ვეფხი ანუ ფიქრები ქართულ ხალხურ პოეზიაზე“, „შუა საუკუნეების ებრაული პოეზია“ და ორი წერილიც „რად მიყვარს „ვეფხისტყაოსანი“) ზემოთ ნახსენებ, „პეგასის“ მიერ გამოცემულ წიგნშია შეტანილი.

თუნდ მარტო ამ წერილების წაკითხვაც დაგვარწმუნებს, რა კოლოსალური ერუდიციისა და შეუმცდარი გემოვნების პატრონი იყო იგი და რამდენი გააკეთა, რომ ქართული ლიტერატურათმცოდნება თვისობრივად გაემდიდრებინა.

\* \* \*

ადამიანს როცა იხსენებ, მის უმთავრეს თვისებებზე უნდა გაამახვილო ყურადღება; გრიგოლ აბაშიძე კეთილი საქმეებისა და მეგობრობისთვის იყო დაბადებული და ბუნებრივია ახლო ურთიერთობა ჰქონდა

სხვადასხვა ეროვნების მწერლებთან, რომელთა შორის შეგვიძლია დავასახელოთ: ნიკოლოზ ზაბოლოცკი, მიხეილ შოლოხოვი, მიკოლა ბაჟანი, ნიკოლოზ ტიხონოვი, არსენი ტარჯოვსკი, კონსტანტინ სიმონოვი, ოლეს გონჩარი, ივანე თარბა, ალექსანდრე მეუიროვი, ჩინგიზ აიტმატოვი, ევგენი ვინოკუროვი, იგორ შკლიარევსი, ევგენი ევტუშენკო, ანდრეი კოზნეცენსკი, რასულ ჰამზატოვი, ბელა ახმადულინა, იური რიაშენცევი, მიხეილ სინელინიკოვი და სხვები.

ცნობილია მისი მეგობრობა მსოფლიო სახელის მქონე ფრანგ მწერალთან – ჟან პოლ სარტრთან, სიმონა დე ბოვუართან, ერვე ბაზენთან და სხვებთან. ბევრი რამ ასახულია მცირე, სხარტად დაწერილ მოგონებებში, რომელთაგან მხოლოდ ნაწილის დაწერა მოასწორო, რაც დასანანია.

შესანიშნავი ბალყარელი პოეტი, ვაჟკაცური ბუნების პიროვნება ყაისინ ყულიერი, რომელიც ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში, თავის ქართველ მეგობარზე სითბოთი და სიყვარულით წერდა:

„ბევრი რამ გრიგოლ აბაშიძის ლირიკაში არა მარტო მომწონს, ჩემს აღტაცებას იწვევს. იგი მართლაც რომ საკირველი ლირიკოსია, დახვეწილი, დაფიქრებული, საუცხოოდ შეიგრძნობს საგნებსა და მიწიერ ფერებს. მას ძალუბს გადმოსცეს ყველაზე ძნელად ჩასაწვდომი ადამიანური გრძნობები, სულის მოძრაობანი, მათი ნიუანსები. ყოველივე ამას გრიგოლ აბაშიძე აკეთებს მეტად ხატოვნად და თავისებურად“.

დაწმუნებული უნდა ვიყოთ, პოე-

ტის მდიდარ არქივში მრავალი ძვირფასი მასალა აღმოჩნდება, რასაც არა მარტო ქართული მწერლობისთვის ექნება მნიშვნელობა.

ყოველთვის მსიამოვნებდა აბაშიძეების ოჯახში მისვლა. ქალბატონნა ლამარამ, პოეტის უჟკობმა მუზამ, გარენობითაც და სიკეთითაც გამორჩეულმა, იშვიათი მასპინძლობა იცოდა. დაუკიტავარ გულისხმიერებას იჩენდა ქალიშვილიც, თოლია, ბევრი რამით დედას დაემსგავსა. მასზე ფაქიზი სულისა და უფრო მეტი კეთილგანწყობის ადამიანი იშვიათად შემხვედრია. დავითი (ჩინო) სახის იერით და შემართებითაც მამას გავდა. მრავლის მცოდნე, დიდებული ისტორიკოსი იყო. ბოლო წლებში ზურაბ ავალიშვილის ნაშრომებს თარგმნიდა და ამომწურავ განმარტებებსაც ურთავდა. ძირითადად უურნალ „ჩვენს მწერლობაში“ აქვეყნებდა. ულმობელმა სენმა ნააღრევად იმსხვერპლა. გულითადი მევობრობა გვქონდა. მისმა სიკვდილმა საშინლად იმოქმედა ჩემზე. შესანიშნავი მეუღლე, ცნობილი ეგვიპტოლოგი ქალბატონი მანანა ზედელიძე და ვაჟი, ნიჭიერი კინორეჟისორი გიგი აბაშიძე დარჩა.

ბატონი გრიგოლი მხატვრობის ტრფიალი იყო და სახლში არაერთი კარგი ნამუშევარი ჰქონდა. განსაკუთრებით მომწონდა მისი ოთახის ერთი კუთხე, სადაც ჩარჩოში ჩასმული ვეება, ეგზოტიკური პეპელა ეკიდა, ლურჯად დაწინწკლული „აღმირალი“, ერთ მტკაველზე ფრთებგაშლილი; პორტუგალიაში მოგზაურობისას შევიძინეო, მითხრა მასპინძელმა. უცხოეთში პეპელას პოეტის გარდა ვინ იყიდდა?!

რამდენიმე წნის მერე, როცა ოთხმოცი წელი უნდა შესრულებოდა (პირველ აგვისტომდე ორი დღელა იყო დარჩენილი) დავურეკე და წინასწარ მიულოცე საიუბილეო თარიღი, ვუთხარი, რომ გაზეთში წერილს მივიტანდი (სამწუხაროდ იმ წერილის ნეკროლოგად გადაკეთება მომიხდა). მადლობა კი გადამისადა, მაგრამ ნაღველი ეტყობოდა ხმაში – რაღა კაცი ხარა ამ დროს, ხელმოკლეობის გამო, ახლობლებს რომ ვერ მოუყრი თავს და თითო ჭიქა ღვინოს ვერ დაალევინებო, ჩაილაპარაკა. დავამშვიდე, რომ მისი სადღეგრძელოს დალევას ყოველთვის მოვასწრებდით. ეს საუბარი უკანასკნელი აღმოჩნდა. იმავე საღამოს გარდაცვლილიყო. წარმოსადგენია, რანაირ გუნებაზეც დავდგებოდი. იგივე განცდა დაუფლებით – მის განუყრელ მეგობარს ვ. ჭელიძეს და უერთგულეს მოწაფეს რ. ჩხეიძეს. მათ გადაცემა ჩაუწერიათ რადიოში იუბილარზე – ბატონ გრიგოლს სიამოვნებით მოუსმენა გულთბილი, სიყვარულით აღსავსე საუბარი, მაგრამ მადლობის გადახდა აღარ დასკალდა. ვახტანგ ჭელიძე თურმეწუხდა, – ეს გრიგოლის საქციელს არ გავს, როგორ არ გამოგვეხმაურაო. რაღას გამოეხმაურებოდა გულხელდაკრეფილი, სამუდამოდ ბაგებდალუმებული.

სამძიმრის სათქმელად მისულმა, რამდენადაც შემეძლო, ვანუგეშე სასოწარკვეთილი, მწუხარებისგან გაოგნებული ქალბატონი ლამარა, ოჯახის დანარჩენი დამგლოვიარებული წევრები. პოეტის სამუშაო ოთახში გავედი. შეულებულ კლელს შევნედე, შევკრთი,

ალარსად ჩანდა ის ულამაზესი, ოცნებასავით ლურჯი პეპელა. ასე მეგონა, ბატონი გრიგოლის მშფოთვარე, არყოფნისაკენ მიღრეკილმა სულმა დატოვა იქაურობა და უსასრულობაში გადაჭიმულ უკიდეგანო ლაჟვარდებს მიაწყდა....

\* \* \*

დღეს უყოფმანოდ, დაფიქრების გარეშე შეიძლება ამის თქმა – სხვა-დასხვა დროს არაერთი პრესტიული თანამდებობა ეკავა გრიგოლ აბაშიძეს და ყველგან ღირსეულად ეჭირა თავი. ყველაფერს სამშობლოს, ლიტერატურის უანგარო სამსახურს უთავსებდა და მუდამ ცდილობდა, რამდენადაც შეეძლო, ყველას დახმარებოდა, ნიჭიერთათვის გაეკაფა გზა, სიძნელეთა გადალახვა გაეადვილებინა. მეც და სხვებსაც კარგად გვახსოვს ბატონი გრიგოლის მზრუნველობა, გაუნელებელი ყურადღება. ამიტომაცაა – იმდენი გულწრფელად მადლიერი, კეთილად გმშენებელი არავის ჰყოლია, რამდენიც მას დარჩა.

ურთულეს სანაში უხდებოდა მოღვაწეობა და პირადი კეთილდღეობის შენარჩუნებაზე არასოდეს უფიქრია, ზოგიერთებივით სკამს არ ჩაბლაუჭებდა.

1978 წლის აპრილში, როცა ქართული ენის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო, უდიდესი ზნეობრივი სიმტ-

კიცე და ნებისყოფა გამოიჩინა, რათა თავისი პოზიცია საქვეყნოდ გამოეხატა, რასაც მაშინ სასიცოცხლო, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ბევრისგან, ძველი და ახალი თაობის წარმომადგენელთაგან მსმენია, რომ მისნაირი ჭიკვიანი, განათლებული, წინდახედული და გაწონასწორებული ლიდერი ქართულ მწერლობას ცოტა ჰყავდა და ამის მიღწევა იოლი საქმე როდი იყო.

როცა ვცდილობდი ამებსნა თუ რას ეყრდნობოდა ამ მომხიბლავი პიროვნების უმთავრესი უნარი და ძალა, მისი ხანგრძლივი, დრამატული მოვლენებით აღსავს ცხოვრების თვალის გადავლებისას ყოველთვის ერთ დასკენამდე მივსულვარ – ეს გახლდათ სიბრძესთან ზომიერად შეზავებული თავკაცობა.

ერთხელ, მის გარდაცვალებამდე ორიოდე წლით ადრე, მელიქიშვილის ქუჩაზე რომ მოვსაუბრობდით (პეტრიაშვილის კუთხემდე ვაცილებდი ხოლმე), გრიგოლ აბაშიძე მომიბრუნდა და შემომჩივლა – „ნამეტანი გაგვიღარიბდადა მწერლობა, ბევრი ძვირფასი ადამიანი მივაბარეთ მიწას, მათ შემცვლელებს კი ნაკლებად ვხედავო“. მნელი იყო ამ აზრის გაბათილება და არც შევწინააღმდეგებივარ. ახლა ვფიქრობ – მისი წასვლის შემდეგ კოდევ უფრო მძაფრად იგრძობა სიცარიელე, რომლის შევსებასაც ქართული მწერლობა კარგა ხანს ვერ შესძლებს.

**ემზარ კვიტაიშვილი  
2015 წელი**


## შპანასპნელი მოჰიბანი

შორეული 1952 წლის სექტემბრის თვეში, როცა მე და ჩემი მეგობრები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები გავხდით, 18 წლის გურამ რჩეულიშვილი მყისვე შეუდგა თავისი სამეგობრო გუნდის შექმნას, შეკვრასა და განმტკიცებას.

ნამდვილად საკეთესო ბიჭებისაგან შემდგარ და უანგარო მეგობრობით მოაზრებულ საკმაოდ დიდ წრეში უნივერსიტეტის სტუდენტობის გარდა სხვა ინსტიტუტების სტუდენტებიც შემოდიოდნენ და რაოდენობა ალბათ ოცდათ ახალგაზრდას მაინც აღწევდა.

ამ დიდი მეგობრული წრის უცვლელი და ერთგული წევრი იყო თემო ბერიძე, არაჩვეულებრივი პიროვნება, სითბოთი და სიკეთით საკსე ბიჭი, ნამდვილი თბილისელისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისებით უხვად დაჯილდოებული, ხასიათითა და შესახედაობით ძირძველი თბილისელის განსახიერება, ოჯახიშვილი და მამულიშვილი.

ამიტომაც იყო, რომ უაღრესად სამწუხარო გარდაცვალების შემდეგ პირად საუბრებსა თუ მასმედიაში გამოქვეყნებული წერილების ფურცლებზე მას თბილისის კოლორიტი და უკანასკნელი მოჰიბნი, ანუ უკანასკნელი ჭეშმარიტი თბილისელი უწოდეს.



თემო ბერიძემ კარგად იცოდა თბილისის ადათ-წესები, უამრავ მოძიებულ წყაროსთან ერთად ყველაფერი საკუთრად ჰქონდა ნანახი და შეჯერებული, მართლა საკუთარი სულის ქურაში გადახარშული, ამიტომაც იყო თბილისის ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი. მან საყვარელი ქალაქისთვის იმდენი გააკეთა, რაც ჯერ არავის გაუკეთებდა, მისი განუმეორებელი ნაღვაწი მომავალში კიდევ უფრო მეტად გამოჩენდება, რაც გამოიხატა ათობით წიგნსა, მონოგრაფიასა და ასობით საურნალო სტატიაში.

სწორედ თბილისისადმი დიდი ამაგის გამო მიენიჭა თემო ბერიძეს საპატიო თბილისელის საპატიო წოდება, რაც მას ნამდვილად შეეფერებოდა და ბევრისაგან განსხვავებით სრულიად დამსახურებულად მიიღო.

თემო ბერიძე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორიც იყო, პროფესორიც, დაშვილურებული მოლგაწეც, თბილისის ისტორიის მუზეუმის დირექტორიც, სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების უფროსიც, სახელგანთქმული მეცნიერიც, მაგრამ უპირველეს ყოვლისა ის იყო განუმეორებული პიროვნება, საუკეთესოზე საუკეთესო მეგობარი, სიკეთესთან ერთად ნიჭით სავსე ადამიანი, ერთგულებისა და ულალატობის განსახიერება. ნაღდი ქალაქური იუმორით გამორჩეული კაცი, რომლის დავიწყება ისევე შეუძლებელია, როგორც მისი სათაყვანო და საფიცარი თბილის-ქალაქის დავიწყება.

ჩვენს სტუდენტურ შეხვედრებში, სისტემატურ დაბადების დღეების აღნიშვნაში, ოჯახებში, უფრო იშვიათად რესტორნებში ქეიფისა თუ საქართველოს სხვადასხვა ადგილებში გასვლების, ერთოვანი თუ რამდენიმე დღიანი სამხედრო შეკრებებით, ექსკურსიებითა თუ ალპინიადებით, ყოველთვის მონაწილეობდა თემო ბერიძე და საკუთარი იუმორით, ბიჭური სილადით, საინტერესო კამათით, არცთუ იშვიათი კინკლაობით ყოველთვის მოვლენების ცენტრში იმყოფებოდა. მისი გამორჩეული ხასიათი ყოველთვის ყურადღებას იპყრობდა და ბიჭებს მასთან მეგობრობისათვის იზიდავდა.

ოღონდ თუ საქმე ჰქონდა გასაკეთებელი, ვთქვათ საკურსო თემა ან სამეცნიერო რეფერატი დასაწერი, პრინციპულად არსად წავიდოდა, სანამ საქმეს არ მორჩიებოდა, თავიდანვე ჰქონდა გამძაფრებული პასუხისმგებლობის გრძნობა, ამით ბევრისაგან მკვეთრად გამოირჩეოდა.

ჩვენც ყოველთვის გვიხარიდა მასთან ახლოს ყოფნა და თბილისური ამბების მოსმენა, ქალაქის წარსულიდან უამრავი ნაპოვნი და ნანახი ცნობის გაგება. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ პირველად ჩვენი ძვირფასი მეგობრისაგან გავიგეთ თბილისის ისტორიის უამრავი საინტერესო ფაქტი, სახელწოდებები, გადმოცემები, თქმულებები, რაც მან შემდგომ თავის ასობით ნაშრომსა და გამოკვლევაში გამოიყენა.

თემო ბერიძე გურამ რჩეულიშვილის რამდენიმე გამორჩეულ და უახლოესი ნათესავის რანგში აყვანილ მეგობრებს შორის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, სიყვარულით თემუშეკის ეძახდა, მასთან ყოფნა ძალიან უყვარდა. 1980 წელს გურამისადმი მიძღვნილი ჩემი პირველი წიგნის „მე ახლაც ოცდაქვსი წლისა ვარ“ მეორე გამოცემაში შევხვდი ასეთ დამახასიათებელ ადგილს:

"სულ ბოლო პერიოდში კიდევ ერთ გოგონასთან მეგობრობდა, კოხტა და მიმზიდველი სახის ქურთ გოგონასთან. ვერ ვიტყვი, რომ ეს რაიმე სერიოზული თუ დროებითი სიყვარულის გამოხატვა იყო, უბრალოდ სიამოვნებდა მასთან ყოფნა და ყოველდღე მზრუნ-



**ექიმურსია გარძიაში. სხვდან: ნოდარ ზუციშვილი, სოსო ჩხაიძე, ქართლოს სკანიძე, ნუზ ზარ წერეთელი, გურამ გევეშიძე, დევი ბერძენიშვილი, სოსო კორინთელი, თეიმურაზ ბერიძე, დვანან: რეზო ერისთავი, რატი ტატიშვილი, 1957 წ.**

ვეღი ადამიანის სიახლოვე. შესახედად ორიგინალურ გოგონას ორიგინალური სახელი ერანაც ერქვა. მე ის ყოველთვის ირინას ჩვეულებრივ სახ-ეცვლილებას მაგონებდა.

აქ უკვე სახელი აღარ შემიცვლია. ამის საჭიროებას უბრალოდ ვეღარ ვხედავ.

სრულიად ბუნებრივია, რომ წიგნის ფურცლებზე მე არ შემიძლია გურა-მის ყველა სასიყვარულო თავგადა-სავალს შევეხო. თუმცა ეს შეიძლება დღეს ძალზე საინტერესოც იყოს. მხ-ოლოდ ზოგიერთ საყურადღებო მო-მენტს ვიხსენებ, ზოგიერთი იქნებ წვრილმანიც იყოს, მაგრამ დიდი ად-ამიანების ცხოვრების ყველა წვრილ-

მანიც კი საინტერესოა და სხვებისას არ ჰგავს.

როდესაც პირველად გურამი და ერანა ვნახე, უფლისწული და ღარიბი მეწისქვილის შვილი გამახსენდა. გოგ-ონას სადად, თთქმის ღარიბულად უცვა, გურამი კი თითქოს საგანგებოდ იყო გამოწყობილი. მუქი რუხი ფერის შესანიშნავად შეკერილი კოსტუმი საუცხოოდ ედგა ტანზე, უილეტი და თეთრად გაქათქათებული პერანგი ორიგინალური ჰალსტუხით დამშვენებული, ისე უხდებოდა, თვალს ვერ მოსწ-ყვეტდით.

მეგობარი გოგონა ყველგან დაჰყავ-და, თქვენ წარმოიდგინეთ, თეატრსა და სტადიონზეც კი.

მეგობრები მინიშნებით ვხვდებოდით ხოლმე მის სატრუიალო გატაცებებს, ერთ სიტყვასაც ვერ დააცდენინებდი. თუ რამეს გაგანდობდა, ისეთი სერიოზული და მართალი იყო ეს განდობა, ალბათ ჩამოხრობას ამჯობინებდი, ვიდრე მისი ნათქვამის გაცემას.

ბევრი საიდუმლო ჩაიტანა საფლავში, ჩვენც ბევრი დაგვიტოვა გაუნდობელ გულისტკივილად.

ჩემთანაც ვაკეში, არცთუ იშვიათად შემოივლიდნენ ხოლმე.

ერთხელაც მოვიდნენ. შინ მარტო ვიყავი. გარეთ ცხელი თბილისური ზაფხულის ხეატი იღდა. ლია ფანჯრებში მხოლოდ სიცხე შემოდიოდა.

კარგა ხანს ვისაუბრეთ. მოდი, საღამომდე დავისევნოთ და მერე გავიაროთ, — წამოაყენა წინადადება გურამა. ოთახებთან შედარებით შეშაბანდში უფრო გრილოდა, მზე არ ადგებოდა. ჩვენ გამოვიტანეთ საკეცი საწოლები, გავშალეთ და წამოვწექით.

ვსაუბრობდით, გულიანად ვიციონდით, შემდეგ კი ისე ჩაგვეძინა სამივეს, აღარც გაგვიგია.

გამოგვეღვიძა, ჯერ ისევ აჭერდა მზე. დედა და მამა სოფელში იყვნენ წასულები და სადილს ვინ მოამზადებდა. თემო ბერიძესთან წავიდეთ, პურმარილი აქვს და იქ ვიყოთ, — თქვა გურამმა.

ფეხით გავიარეთ გზა ვაკიდან ჩულურეთამდე. იქ ძველ თბილისურ უბანში იდგა ძველებურივე სახლი, სადაც ცხოვრობდა ჩვენი მეგობარი.

მივდით მასთან. მშვენიერი, ნაღდი ქალაქური, სასიამოვნო სუფრა იყო

გაშლილი, ძმა ოთარი თამადობდა და სიტყვამზეობას არ იშურებდა. სიხარულით მიგვიღეს. ძალიან კარგი დრო გავატარეთ. თემოს ძალიან გაუხარდა ჩვენი მისვლა, სულ გვეფერებოდა."

ამ შორეული წლების საოცარი სიახლოვის დამადასტურებელი ფაქტების საილუსტრაციოდ გურამის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი წიგნებიდან კვლავ მომიხდება დაუვიწყარი თემო ბერიძესთან დაკავშირებული ადგილების მოტანა. საერთოდ უფრო სწორად, დამაჯერებლად მიმაჩნდა და მიმაჩნია წლების წინათ დაწერილი ადგილების მოტანა, რადგან ისინი უფრო სახოვნად წარმოგვიჩენენ წარსულ დროს და მიმაჩნია, რომ რაც უფრო ადრეულ წლებშია გახსენებული ესა თუ ის ფაქტი უფრო მეტად ახლოა სინამდვილესთან. გურამრჩეულიშვილზე დაწერილი ჩემი სამი წიგნიდან ორი მაინც ორმოცი და ოცდაათი წლის წინ იწერებოდა და იქიდან მოტანილი ადგილების სინამდვილე უტყუარი მასალად მიმაჩნია.

ჩვენი მეგობრებისა და თანაკურსელების ძალიან დიდი წრიდან თემომ ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო მუშაობა, იგი თბილისის ისტორიის მუზეუმში მეცნიერ-თანამშრომლის მაშინ ძალზე საპატიო თანამდებობაზე დაინიშნა. ეს მუზეუმი მდებარეობდა ე.წ. კომკავშირის ხეივნის ბოლოს, ელგუჯა ამაშუკელის ბრწყინვალე ძეგლის „ქართლის დედის“ სიახლოვეს. ეს ლამაზი ქედი თბილისის გადმოსახედსა და ბოტანიკურ ბაღს შორის მდებარეობდა, სადაც ახლა ივანიშვი-

ლის ბიზნეს-ცენტრია განლაგებული. ძალიან კარგი ადგილი იყო, თბილისთან შედარებით იქ გაცილებით გრილოდა, თან ორივე მხარეს შესანიშნავი ხედები იშლებოდა და ხალხი ძალიან ეტანქებოდა, საღამობით საქმაოდ გადავსებულიც კი იყო.

გურამ რჩეულიშვილს ძალიან უყვარდა თავის თემუშვისთან სამსახურში ასვლა. იმ დროს ჯერ კიდევ არ ვტუშაობდით, მხოლოდ ვწერდით, ვკითხულობდით, ვსკამდით, ვჩერებობდით, ვვიყვარდა და თავისუფალი ნეტარებით მივათრევდით საქმაოდ მძიმე დროს.

როცა კაპიკი ფულიც არ გვქონდა და ეს სისტემატურად ხდებოდა, ჩვენი პატიოსანი მშობლები კაპიკებსაც ძალზე იშვიათად გვაძლევდნენ, გურამ რჩეულიშვილი მეტყოდა ხოლმე – წამო, თემოსთან ავთეთ, იქნებ რამე ჰქონდეს.

დღევანდელი ჭამა-სმით გაზულუქებული და მოდურ მანქანაზე მჯდომი ახალგაზრდა კაცი ვერაფრით ვერ წარმოიდგენს მაშინდელ გაჭირვებას, მაგრამ მაშინ ჩვენ, 22-23 წლის ახალგაზრდა ბიჭები ზემელიდან, კოლმეურნეობის მოედნიდან თუ დღევანდელი თავისუფლების მოედნიდან ფეხით დავადგებოდით საქმაოდ გრძელ გზას და ლაპარაკ-ლაპარაკში ავდიოდით ოქროფანის აღმართს, რადგან ტაქსის კი არა ავტობუსის ფულიც არ გვქონდა. თემოს ხან რაძენიმე მანეთი გააჩნდა, ხან დატრიალდებოდა, თანამშრომლებში ისესხებდა მცირე თანხას ხელფასამდის და მოლოდინით გახარებულები მივდიოდით ხეივანში საღაც ზუსტად ივანიშვილის სახლთან იდგა

ლურჯად შეღებილი ფიცრული დუქანი, წინ ოთხი-ხუთი პატარა მაგიდით, საიდანაც ზღაპრული ხედები იშლებოდა.

მაშინდელ ცნობილ ხეივანში თემოსთან რაძლენჯერმე ვიყავით მარტონი, სხვა დროს უახლოესი მეგობრებიდან აუცილებლად ვინმე წაგვევებოდა, გურამ გეგმიძე თუ ბორია ინასარიძე, ნოდარ ზედელაშვილი თუ გურამ რუსიშვილი, ედი რჩეულიშვილი თუ ნოდარ ცხვირავაშვილი. როცა ედი რჩეულიშვილი მოღიოდა, მაშინ წესისამებრ ჩვენი ღარიბული სუფრის ფულს ის იხდიდა, რადგან უკვე მუშაობდა კარგ ადგილას, თანაც ბუნებით საოცრად ხელგაშლილი იყო, მეგობრებისთვის სულსაც არ დაიშურებდა.

ჩვენი მორიგი მეგობრული შეხვედრა-ქეიფის მენიუ თავიდანვე იყო ცნობილი: სოსისი, შავი პური, ლუდი და არაყი, თუ ორი ბოთლი არყის ყიდვას მოვახერხებდით, ეს მთელი ზეიმი იყო.

ერთ დღეს მე, გურამ რჩეულიშვილი, ბორია ინასარიძე და გურამ რუსიშვილი საღამომდის შევრჩით ჩვენს ღარიბულ მეგობრულ სუფრას. თემოსამსახურის დამთავრებისას წავიდა, მასალები მიალაგ-მოალაგა, ხელი მოაწერა და ისევ ჩვენთან დაბრუნდა, ცოტა ხანს კიდევ ვისხედით, მერე რადგან ერთი შაურიც აღარავის ჰქონდა, ამაღლებულ გუნებაზე მყოფები დავეშვით თავისუფლების მოედნისკენ, ბორია საქმეზე წავიდა, დარჩენილებს კი გურამ რჩეულიშვილმა გამოგვიცხადა: ჩვენ სამნი ვართ, თემო მარტოა და მოდი სახლამდის გავაცილოთ.

მხიარულად გავიარეთ იღია ჭავჭავაძის მუზეუმთან, მაშინდელი კლარა ცეტკინისა და საბჭოს ქუჩებით გავედით მოედანზე, საიდანაც იწყებოდა აღმართი თემო ბერიძის ძელი თბილისური სახლისკენ ჩუდურეთის ტრადიციულ უბანში. გურამ რუსიშვილმა ხუმრობით თქვა: თქვე კაი ხალხო, მგონი ათი კილომეტრი გამომატარეთ ფეხით, იმშელა გზა გამოვიარე უკვე მომშივდაო. თემომ არაფრით აღარ გამოგვიშვა, სახლში საუზმეც იშოგა, მამამისი ბატონი პლატონის შენახული ღვინოც და პირველი სართულის მყუდრო ოთახში სავახშმოდ დავსხედით. მმა ოთარიც შემოგვიერთდა. დამის პირველ საათამდე დაუვიწყარი დრო გავატარეთ მეგობრული საუბრითა და სადლეგრძელოებით.

ერთხელ მოსკოვს მარტო მივემგზავრებოდი მივლინებით. მაისის თვე იდგა, მგონი 1967 წლის. მოულოდნელად თბილისის სადგურში თემოს შევხდი ბაქანზე, ძალიან გამიხარდა, ბიჭებსაც გაუხარდათ, მარტონი აღარ ვიმგზავრებდით. გვერდი-გვერდ ვაგონებში აღმოვჩნდით, აღგილების გაცვლა აღარ გვიცდია, რადგან თემოს მუზეუმის თანამშრომელიც მიჰყავდა მივლინებაში. იმ საღამოსკენ აღმოვიდნენ ჩვენი შეხედული და გვიანამდისაც ვილაპარაკეთ. დილითაც გავაგრძელეთ. საერთაშორისო ვაგონის კუპეში ჩემი ნაცნობები მოდიოდნენ, სადილად მიგვიპატიუების და ახალგაზრდებმა მაგრადაც შევუბერეთ.

მერე ცოტა წავიძინეთ. საღამოს გადავედი გვერდით ვაგონში და თემო ისევ წამოვიყვანე, თანამშრომელი ცოტა

შეუძლოდ იყო. წავივახშმეთ, ერთი-ორი ჭიქა დავლიეთ და უცებ თემოც ამიყვირდა, რა თქმა უნდა მეგობრულად: მეტს აღარ დავლევ, მეტს აღარ დავლევ, შენსავით ლოთობას ვერ გადავყვები, როცა მტკიცება დავუწყე — ლითო, ლითოო და გამექცა კუპიდან. მერე დიდი ხნის მანძილზე სიცილ-ხარხარით ვიხსენებდით ამ ამბავს. მოსკოვშიც შევხვდით, ახალგაზრდული წესის თანახმად ეს შეხვედრაც აღვნიშნეთ, მერე პუშკინის მოედნიდან ჩავედით პალაშევსკის შესახვევის იმ სახლთან, სადაც ექვსი თვის მანძილზე ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდა და წერდა 23 წლის გურამ რჩეულიშვილი. დიდხანს ვილაპარაკეთ. მერე როცა დაწვრილებით მიყვებოდა ტრაგიკულ აღსასრულამდე ორი-სამი დღით აღრე თუ როგორ იგონებდა გურამ რჩეულიშვილი ყველა მეგობარს და როგორ ახასიათებდა, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. ბევრ სხვა ამბავსაც მომიყვა, განსაკუთრებით გურამის სიყვარულის, გოგონებისა და სამწუხაროდ საბოლოო დასვენების შესახებ. ძალიან გულთბილი და შინაგანი კულტურით სავსე ბიჭი იყო. როცა გურამი ხანგრძლივი დროით მოსკოვს სტუმრობდა თემო ხშირად მიდიოდა მის მშობლებთან სახლში, მაშინ ჯერ კიდევ ვერაზე მდებარე ლარსის ქუჩის ხუთ ნომერში ცხოვრობდნენ, დიდხანს ესაუბრებოდა უკვე ხანში შესულ ადამიანებს, მიჰყონდა ამბები გურამის მოსკოვური ცხოვრების შესახებ, რასაც კი კარგს გაიგებდა, ასრულებდა ზოგიერთ დავალებას და დიდ მოწონებას იმსახურებდა.

სწორედ ასეთი ოჯახიშვილური მოქცევის გამო 1958 წლის მარტის თვეში გურამ რჩეულიშვილი ხუმრობანარევი თბილი ტონით წერდა უახლოეს მეგობარს:

„თემო ბერიძეს, ისტ. ფაქ. კურს-დამთავრებულს!

... სანამ ჩემს შინაურ ამბებს მოგიყვებოდე, გიცხადებ მაღლობას გულით-ჩვენები ძალიან კმაყოფილები არიან შენით – თუ ჩამოხვალ, გადაგიხდი.

... გენაცვალე სულში – ძალიან მომენატრე. კიდევ გმადლობ – შენი გურამი“.

ამასთან დაკავშირებით აქვე მინდა მოვიტანო ამ წერილის შესახებ გაკეთებული მარინე რჩეულიშვილი-ფალაგნებიშვილის კომენტარი და ისიც მინდა ერთხელ კიდევ შევნიშნო, რომ მარინემ მართლა ლიტერატურული გმირობა ჩაიდინა, როდესაც თავის უსაყვარლესი ძმის თხზულებათა ექვსტომეულს განსაცვიფრებელი სიღრმის შენიშვნები და კომენტარები დაურთო. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მომავალში ეს იქნება მეოცე-ოცდამეერთე საუკუნეების ქართული ლიტერატურის ოქროს საგანძურის ერთ-ერთი საუკეთესო ფურცელი.

„№43. „თემო ბერიძეს, ისტ. ფაქ. კურს-დამთავრებულს“. (გურამის წერილიდან თემოსადმი). „გურამის მეგობარი, თანაკურსელი. მნიშვნელოვანია, რომ თემო ბერიძესთან არის დაკავშირებული გურამის ბოლო დღეები გაგრაში. თემო რამდენიმე დღით ადრე წამოვიდა გაგრიდან. მითხრა – გურამი არ წამომყვა, ვიღაცის ჩამოსვლას ელო-

დებოდაო. მართალია, „ცისკარში“ დაიბეჭდა მისი მოგონება გაგრის დღეების შესახებ, მაგრამ მის მონათხრობში ყოველთვის იგრძნობა რაღაც, რაც თითქოს თავისი სიტყვებით ბოლომდე ვერ გამოუთქმაშ. ამიტომა ალბათ, რომ მის მიერ დაწერილ ყველა სიტყვას, ისე როგორც მის მონათხრობს, რამდენჯერაც არ უნდა მოპყვეს ის, და მის მიერ მოყვანილ ფაქტებსაც კი, ყოველთვის რაღაც მისტიკური, ბუნდოვანი ელფერი აქვთ. წმირად უყვარს თემოს გურამის სიტყვების გამეორება, ჩემს ძმას მისთვის გაგრაში რომ უთქვამს: ერთხელ შენ შემზღდი და თვითმკვლელობას გადამარჩინეთ“. (გურამ რჩეულიშვილი, მე-6 ტომი, გვ. 120, 2007 წ.).

უაღრესად თბილი, კეთილი, საქმიანი ბუნების ბიჭი იყო. შეეძლო დალევაც გაეცდინა, სადილიც, საზეიმო სხდომაც, მაგრამ ძველი თბილისის ქუჩებისა და უბნების, ძველი ტაძრებისა და საკულტო ნაგებობების მონახულებას არ გააცდენდა, არქივებსა და ბიბლიოთეკებში მოპოვებულ მასალებს საკუთარი თვალით ადარებდა, აჯერებდა, მხოლოდ შემდგომ გამოპქონდა დასკრებდი.

ერთხელ, 1971 წლის ივნისში გიოშერ რჩეულიშვილი, გურამ რუსიშვილი, თენგიზ ჯაშაშვილი და მე სასადილოდ მივდიოდით რესტორან „არაგვში“, რომელიც იმ დროს პუშკინის ქუჩაზე ვერცხლის ქუჩის შესართავთან ღრმა სარდაფში მდებარეობდა, დღეს კი აღარ არსებობს. დადიანისა და ლესელიძის ქუჩის შესართავთან თემო შეგვხვდა, აბანოთუბანში უნდა ჩავიდე, სტატიას

ვამზადებ და რაღაც უნდა შევადაროო. ჩვენ ვუთხარით, რომ სადილად მივიღოდოდით და ბუნებრივია, სასურველი ძმაკაციც დავპატიჟეთ. გვითხრა, — თქვე კაი ხალხო, ჯერ ორი საათიც არ არის, რა გეჩქარებათ ეს ჭამა-სმა, წამოდით, ერთად უფრო მხიარულად დავათვალიერებთ, მერე კი დავბრუნდეთ, დავსხდეთ და ჩვენებურად შეუტეროთ.

ჩვენც დავუკერეთ და გავყევით. გვატარა და გვატარა, აბანოთუბნიდან ხარჯუხში აგვიყვანა, თან საინტერესოდ გვიხსნიდა ყველა მონაკვეთს. ზოგიერთმა ჩვენთაგანმა მაშინ მგონი პირველად გაიგო ლელვთახევი, თაბორი, კალა, ფეხთხაინი, იშტიტურეკი და მრავალი სხვა ქალაქური დასახელება, თანაც არგუმენტირებული მტკიცებით, ჩვენებით, დანახვით, მინიშნებით. ისე შეგვიყოლია ლაპარაკში, რომ 4-5 საათი გვატარა აქტე-იქით და შვიდი საათისათვის უკვე გვარიანად გადაღლილები და მშივრები შემოვუსხედით ტრადიციულ მეგობრულ სუფრას. ისე ვიყავით ნანახით აგსილები, სადღეგრძელოდან მორიგ სადღეგრძელომდე შეკითხვებს — შეკითხვებზე ვუსვამდით და ვალაპარაკებდით თემოს. მერე კვლავ რუსთაველის პროსპექტზე ამოვისეირნეთ და გურამ რუსიშვილის დაუინებული წინადაღებით ყოფილი სასტუმრო „ინტურისტის“ საზაფხულო ბაღში შევედით შამპანურის დასალევად, რაც იმ შორეულ წლებში ერთგვარ წესად იყო ქცეული.

გურამ რჩეულიშვილს ძალიან უყვარდა თემოსთან ყოფნა, ხანდახან დამით დარჩენაც კი, ზოგჯერ ორსართულიანი

დაბალი სახლის სახურავზე ადიოდნენ, რომ თბილისურ ალიონს იქ შეხვედროდნენ. მათთან ერთად ყველაზე ხშირად იყო თემოს ძველი სახლიდან ოთხასი-ხუთასი მეტრის იქით მცხოვრები გურამის მამიდაშვილი, დიდი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის შვილიშვილი, გურამის უახლოესი ნათესავი და მეგობარი, თანაკლასელი და ბრწყინვალე ქართველი მწერალი, დაუვიწყარი დათო ჯავახიშვილი.

1960 წლის ზაფხულში მეგობრების ერთი წრე ხანგრძლივი მსჯელობების დროს ხან მოსკოვში ვაპირებდით წასვლას, ხან სანკტ-პეტერბურგში, ხან კისლოვდისკა თუ სტეფანწმინდაში. ამ აზრის პირველდამწყები გურამ რჩეულიშვილი იყო. მერე ივლისის თვის ბოლოსკენ მან რატომდაც შეიცვალა აზრი და მტკიცედ განაცხადა აუცილებელი ვითარების გამო ზღვაზე უნდა წასულიყო გაგრაში. ბევრი ვუმტკიცეთ აგვისტოს თვეში ზღვაზე წასვლა არ ღირდა, მოარული აზრის თანახმად ძალიან ცუდი ამინდები იყო მოსალოდნელი. მე ძალიან გაკვირვებული დავრჩი გურამის მიერ ზღვაზე წასვლის სრულიად მოულოდნელი გადაწყვეტილებით, რისი ამოხსნაც მხოლოდ 45 წლის მერე შევძლი, როდესაც გამოვიდა გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებების ექვსტომეული. სხვებმაც ვერ მოახერხეს რუსეთში წამოსვლა და ამიტომ მე ძლივს შეგროვილი სასაცილო თანხით მაინც გავემგზავრე მოსკოვს. ეს იყო 1960 წლის სამი აგვისტო. თემო ბერიძე და

გურამი კი ექვს აგვისტოს წავიდნენ გაგრაში, უფრო ზუსტად თემო წავიდა, გურამი ორიოდე დღე დარჩა რაღაცის დასაზუსტებლად და მერე საბოლოოდ ჩააკითხა მეგობარს. გაგრაში ცხოვრობდნენ პატარა ოთახში და მეგობრულად ატარებდნენ დროს.

ზღვაზე ბევრი რამ საინტერესო ხდებოდა, როგორც ყოველთვის. აქაც მინდა მოვიტანო თავად თემო ბერიძის ნაამბობიდან დაუვიწყარი მეგობრის ამ პერიოდის ცხოვრების დამანასიათებელი ფრაგმენტი. ნაწყვეტი მომაქვს ჩემი წიგნიდან „გურამ რჩეულიშვილის ლეგნდა გრძელდება“.

”თბილისის ისტორიის ცნობილი მკვლევარი, თბილისის საპატიო მოქალაქე, გურამ რჩეულიშვილისა და ჩვენი უახლოესი მეგობარი თეიმურაზ ბერიძე იხსენებდა: (ეს ის თემო ბერიძეა, ვისთანაც გურამი უკანასკნელად ისვენებდა ზღვაზე გაგრაში, 1960 წლის 6-7 აგვისტოდან თითქმის ტრაგიკულ აღსასრულამდე).“

გაგრაში გადავწყვიტეთ ერთი-ორი დღით სოხუმს გავმგზავრებულიყავით და ნაცნობი რუსი გოგონები მოგვენახულებინა, მათთან ერთად დრო გაგვეტარებინა. ძალიან მცირე თანხა გვქონდა, მაგრამ მაინც წავედით. ის ფულიც გოგონებს დავახარჯეთ. დამით დარჩენა ველარ მოხერხდა. გადავწყვიტეთ გაგრას დავბრუნებულიყავით, ჩვენს პატარა დაქირავებულ ოთახში გამოგვეძინა. სოხუმის სადგურთან გავედით იმ იმედით, რომ რაიმე გამვლელ სატვირთოს ან ავტობუსს გავყოლოდით. დამის პირველ საათზე

გამოჩნდა გაბრდლიალებულფარებიანი მანქანა, დიდი, შავი, იმ პერიოდისათვის სახელგანთქმული „ზიმზ“, გურამი გადაუდგა და ხელი აუწია გაჩერების ნიშნად.

— რაშია საქმე, რატომ მაჩერებთ, — რუსულ ენაზე შეეკითხა მანქანიდან გადმოსული მაღალი აფხაზი.

იმ შორეულ წლებში ასეთი გამორჩეული მანქანები ან ძალიან დიდი თანამდებობის პირებს ჰყავდათ ან დიდად თავზე ხელაღებულ ტიპებს, ანუ ცნობილ ავტორიტეტებს, უსაშინლეს ტოტალიტარულ წლებში პატიოსანი ადამიანი მსგავს და თუნდაც ბევრად ნაკლებ საკუთარ ავტომანქანას ვერაფრით ვერ შეიძენდა.

— გაგრაში ვისვენებთ, აქ ვიყავით ექსკურსიაზე, დაგვაგვიანდა, მანქანა კი არ ჩანს უკან დასაბრუნებლად, იქნებ წაგვიყვანოთ, — უპასუხა გურამმა, მერე ცოტა კიდევ იღაპარაკეს, მე ვიფიქრე ალბათ ფასზე თანხმდებიან-მეთქი და განზე გავდექი. ცოტა ხანში გურამმა დამიძახა, მოდი ჩაჯექიო. ჩემთვის უკან მოვთავსდი გრძელ მანქანაში, გურამი წინ მოკალათდა. მალე სიამოვნებისაგან ჩამთვლიმა კიდეც, თან სულ ვფიქრობდი ასეთი ძვირფასი მანქანით მგზავრობისათვის რა ან როგორ უნდა გადავიხადოთ-მეთქი, მძღოლი და გურამი კი საუბრობდნენ და საუბრობდნენ.

გაგრაში შუალამისას ჩავედით, მანქანამ ჩვენს დროებით ბინასთან მიგვიყვანა, გურამმა მითხრა დარჩი, დაისვენე, ჩვენ ცოტა სალაპარაკო გვაქვს და მალე მოვალო. შიშით გული გამისკდა, რაღა

დამაძინებდა, სად გაჰყვა გურამი ამ უცნობ ბანდიტური შესახედაობის ტიპს. ვიწრიალე და ვიწრიალე, ვერაფრით დაძინება ვერ შევძელი. ამასობაში კარგად გათენდა, მზეც გამობრწყინდა, თუმცა უკვე ჩანდა ცუდი ამინდი დაიწყებოდა. უცნობმა აფხაზმა დილით მანქანათვე მოიყვანა გურამი, ხმაურზე ღია ფანჯარას მოვარდი, ვხედავ ერთმანეთი გადაკოცნეს, მერე გურამმა მანქანიდან გადმოიღო საზამთროებითა და ნესვებით სავსე მოზრდილი მოწწული ტომარა, მძღოლს ხელს უქნევდა, სახლში თავისი ბარგიანა ამოვიდა, ჩავაცივდი და ძლივს გავიგე ზოგი რამ: ჯერ მაგრად უჩხუბიათ, გურამს იარაღიც კი წაურთმევია, მერე შერიგებულან, ერთმანეთის ვაუკაცობა მოსწონებიათ, აფხაზს გურამი სახლშიც დაუპატიჟებია, ძვირფასი კონიაკები უსვამთ და კიდეც დამეგობრებულან, დილით მასპინძელს სახლთან გაშენებულ ბაღჩაში საზამთროები და ნესვები დაუკრეფია, გურამისთვის გამოუტანებია, მხოლოდ გვიან გავიგეთ ჩვენი სახლის პატრონებისგან, რომ გაგრაში ერთადერთი შავი „ზიმი“ ეპუთვნოდა აფხაზეთსა და რუსეთში ცნობილ ავტორიტეტს, ზედმეტი სახელით ცნობილ „სოხუმსკის“.

გურამს თავისი უშიშარი, ძლიერი რაინდული ხასიათით შეეძლო ნებისმიერი ადამიანის გული მოქნადირებინა, მისი გაბედულება, უშიშრობა, გადამდები ვაჟაპუტური აურა ბევრს ხიბლავდა, ბევრის გულს ინადირებდა და ეს სრული თავისუფლების მოყვარული ბიჭი სხვებისთვისაც ახლობელი ან

მისაბაძი ხდებოდა."

გურამის ტრაგიკული აღსასრულის შემდეგ თემო ბერიძე ისევე თბილად და უაღრესად მახლობლური გრძნობით იყო დაკავშირებული რჩეულიშვილების ოჯახთან, დეიდა მაროსა და ძია მიშასთან, განსაკუთრებით მარინესთან და გურამის ერთადერთ ასულთან – იასთან. წესისამებრ ხშირად მიდიოდა მათთან, ესაუბრებოდა, ათას ამბავს იხსენებდა, გურამის დაბადების დღეებს, შეხვედრებსა თუ საიუბილეო საღამოებს ყოველთვის ესწრებოდა, ერთგულებითა და უღალატობით ბევრს მაგალითს აძლევდა.

შრომასა, ძიებასა და მუდმივ სიკეთეში მიდიოდა თბილისის უკანასკნელი მოჰკენის სისხლსავსე ცხოვრება, ცოტა მოგვიანებით შექმნა ოჯახი, თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა დიდი ქაჭუცა ჩოლოფაშვილის უახლოეს ნათესავს ნუკის, ჩვენს დროს უკანა კურსების სტუდენტს, შეეძინა შესანიშნავი ვაჟაპუტი, ჰყავდა არაჩვეულებრივი რძალი, უსაყვარლესი შვილიშვილები, მათი სიახლოვით ტკბებოდა და საზრდოობდა, მყარი თბილისური ოჯახი მისთვის უწმინდესი სიყვარულის საგანი იყო, კვლავ იკვლევდა თბილისის ისტორიას, ბეჭდველი საინტერესო წიგნებს, სტატიებს, კვლევებს და ყველასათვის საყურადღებო პიროვნებად იქცა, მისი ნაშრომების დამოწმების გარეშე ჩვენი დედა-ქალაქის ისტორიიდან არაფერი აღარ გამოდიოდა. ძველებური თბილისური სახლის მოზრდილ ოთახში მდგარი მაგიდა სულ წიგნებით, შრომებით, ენციკლოპედიებით, სურათებით,



**თემო ბერიძე, გურამ გეგეშიძე და  
ნუზ ზარ წერეთელი**

ნაწერი ქალალდებით პქონდა სავსე, თანაც ოთახის ფანჯრები და აივანი რუსთაველის პროსპექტს გადასცექოდა. შრომისაგან მცირე შესვენების დროს უძვირფასესი ქალაქის ხედებით ტკბებოდა, სადაც ყველა კუთხე-კუნჭული რაიმე მნიშვნელოვანს ახ-სენებდა.

სიცოცხლის ბოლო ოთხი-ხუთი წელი, როცა ახალგაზრდული დაუღა-ლავი ინტენსივობით ვეღარ ცხოვრობდა, სულ სიყვარულში, თბილ ადამიანურ ურთიერთობებში და ჩვეულ სიკეთეში გაატარა, ძალიან ხშირად რეკავდა და რომელ მეგობართანაც არ უნდა დაურეცა, ყველა მეგობარს მოკითხვას უთვლი-და.

2012 წელს დაბადებიდან ოთხ-მოცი წლის ოუბილე გადაიხადა, ჯილ-დოები და ოუბილეს ჩატარება არ უთხოვია, შეკრიბა ახლობლები, უახ-ლოესი მეგობრები, კოლეგები და საცხ-ოვრებელ სახლთან ძალიან ახლოს, რუსთაველზე მდებარე რესტორან „მარ-

კო-პოლოში“ არაჩვეულებრივი საღამო გამართა. დამსწრე თითქმის ასი კაციდან არავის არ დავიწყებია ეს მნიშვნელო-ვანი თარიღი. მთელი საღა-მოს განმავლობაში გაისმოდა ჭეშმარიტად თბილისური სა-დღეგრძელოები. მხოლოდ ქალაქური მუსიკა, ფოლკ-ლორული ანსამბლი უქრავ-და, მღეროდა და ცეკვავდა. უამრავი ქალაქური სიმღერა მოვისმინეთ, მათ შორის თემ-ოს უსაყვარლესი დილის

საარიც იყო, შესტარიც და მრავალი საქვეყნოდ ცნობილი ჰანგი. თემოს მეგობრებს შორის გურამ გეგეშიძე, ნოდარ ზედელაშვილი და მეც ვიყავით მიწვეულები. რაღაც დაუვიწყარი, შეი-ძლება ითქვას ზღაპრული დრო გავა-ტარეთ.

მერე, ცოტა ხნის შემდეგ, ოჯახის შექმნის ტრადიციული ორმოცდაათი წელი ანუ ოქროს ქორწილი გადაიხ-ადა. იქაც განუმეორებელი თბილისური საღამო ჩატარდა, ქალაქური სიმღერე-ბითა და ცეკვებით, ჩვენს თვალწინ საყვარელი ძველი თბილისი იყო გა-ცოცხლებული, რასაც თემო ვერაფრით ელეოდა. ამ ლამაზ საიუბილეო საღა-მოს მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ დაივიწყებს წებისმიერი მონაწილე.

მერე ავადმყოფობა მოეძალა, საა-ვადმყოფოები, ექიმები, დიაგნოზები, ოპ-ერაციები შემოიჭრა მის მშვიდ შემო-ქმედებით ცხოვრებაში. ხშირად ავად-მყოფურად მისუსტებული ხმით გვირეკავდა მეგობრებს, მოგვესიყ-

ვარულებოდა, ყველას მოიკითხავდა, თბილ იუმორს ბოლო დღეებამდე არ კარგავდა. როცა დარკეავდა და იტყოდა „ჯუკუშკა“ მე ვარო, უკვე საოცრად თბილი სიყვარულის ატმოსფეროს ქმნიდა. ხანდახან მოიკეთებდა ხოლმე, იმედი აკიაფდებოდა, გვთხოვდა ტელეფონზე რეკვის გარდა მივსულიყავით, გვესაუბრა. 2014 წლის შემოდგომაზე გურამ გეგეშიძე და მე მივედით სანახავად რუსთაველის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კუთხეში. ძალიან გაუხარდა, ვისხედით და ტყბილად ვსაუბრობდით, ძველი ოჯახური სურათებისა და ნახატების ატმოსფეროში ვიმყოფებოდით. მერე სავარძლებში მოკალათებულების წინ პატარა ტაბლა გაიშალა, ვისხედით, ვსვამდით და ათას რამეს ვიზსენებდით წარსული ცხოვრებიდან. გურამ გეგეშიძე და მე ვსვამდით კახურ ლვინოს, თემოს აკრძალული ჰქონდა, მაგრამ როგორც კი ნუკი გავიდოდა სუფრისთვის რაიმეს შემოსამატებლად, თბილ საღლებრძელოს იტყოდა და პატარა ჭიქით ლვინოს გადაკრავდა.

მერე ისევ ჩაწვა. მაინც ხშირად რეკავდა, მოდი, დავსხდეთ, ერთმანეთს მივესიყვარულოთ. 2015 წლის იანვრის ბოლოს დამირეკა, როგორც ყოველთვის საოცარი სითბოთი ვილაპარაკეთ, მერე მთხოვა როცა ჩემთან წამოხვალთ ნოდარ ზედელაშვილი წამოიყვანეთ, ეგეთი სუფთა და პატიოსანი კაცი ჩემს ცხოვრებაში არ შემხვედრიაო. წესიერებას, პატიოსნებას დიდად აფასებდა და ამიტომაც უყვარდა თავისი თანაკურსელი მეგობარი.

ჩვენთვის დაუვიწყარი, საოცარი კი არა, სასწაულებრივი მეგობრული შეხვედრა შედგა თემოს სამწუხარო აღსასრულამდე ოცი დღით ადრე. ალბათ რვა-ცხრა თებერვალი იქნებოდა, თემოსთან სახლში მივედით გურამ გეგეშიძე, ნოდარ ზედელაშვილი და მე. თავისებური მეგობრული იუმორით შემოგვიტია – მე რახანია კართან ვდგავარ და გელოდებით, თქვენ კი იგვიანებთო, – გაგვიკვირდა კიდეც როგორ სწრაფად გააღო კარი, თურმე კარსუკან იდგა და გველოდებოდა. მალე პატარა ტაბლაზე ველარ დავეტიეთ, თემოს სამუშაო მაგიდიდნ გადავალაგეთ ასობით წიგნი, ქაღალდი, ბუკლეტი, ჩანაწერი და დაგსხედით. ჩვენს ოთხკაციან მეგობრულ კომპანიას შემოუერთდა თემოს მეუღლის დეიდაშვილი, ჩვენი მეგობარი თბილისის უნივერსიტეტში სწავლის წლებიდან გოგი ჩიჩუა და ამ ხუთმა კაცმა გავახურეთ სასიამოვნო ქეიფი.

ძალიან გაგვიხარდა, რომ ჩვენი საყვარელი თემო კარგად იყო, დიდი იმედი მოგვეცა. რიგრიგობით ვამბობდით სადღეგრძელოებს, ერთმანეთს ვაქებდით. საოცარი ის იყო, რომ თემო სულითა და გულით მონაწილეობდა ჩვენი მეგობრული სუფრის მსვლელობაში, აკრძალულზე გაცილებით მეტი დალია კიდეც, თითქოს ფეხზე მდგარი ვაჟაცურად ეგებებოდა სულ მალე სხვა სამყაროში გადასვლას.

ჩვენი დაუვიწყარი შეხვედრიდან ოც დღეში თემო გარდაიცვალა. როგორც თავიდან ვთქვი, მას უამრავი ჯილდო, წოდება და რეგალია ჰქონდა

მიღებული, თუნდაც თბილისის საპატიო მოქალაქეობა რად ღირდა, მაგრამ თემოსავით კეთილ, პატიოსან და სულიერად მაღალ მის ოჯახს, არა ერთი და ორი ჭირისუფლის მსგავსად დიდუბის პანთეონში მისი დაკრძალვისათვის სირბილი არ დაუწყია.

თემო პირველ მარტს გარდაიცვალა, ხუთ მარტს კი იგი დაკრძალეს

ვაკის ძველი სასაფლაოს ამაღლებულ ადგილას. ახლა მშობლებთან, უფროს ძმასთან ერთად თბილისის კოლორიტი და უკანასკნელი მოპიკანი განისვენებს პატარა თბილისურ სამარეში, მისი სახელი და ხსოვნა კი გრძელდება, რადგან თემო ბერიძის მსგავს არაჩვეულებრივ ადამიანს დავიწყება არ უწერია.

## ნუგ ზარ წერეთელი,

### თემო ბერიძის მოსაზონარი

წავიდა ამ ქვეყნიდან თემო ბერიძე, ჩემი ძველი ისძველი ძმაკაცი, რომელთანაც სამოცწილიანი მეგობრობა მაკავშირებდა, უნივერსიტეტიდან დაწყებული მთელი ცხოვრების მანძილზე. კაცი გონიერი, მეგობრების მოყვარული, გამგები, ერთგული, პურმარილიანი, ლალი, ვისთან ურთიერთობა შენც გალადებდა. დიდი სითბოთი და ხალისით გავსებდა. მეგობრის იმედი ხომ ამ ხანმოკლე წუთისოფელში ერთგვარი ბალავარია, მიწაზე დგომას რომ გიადვილებს. სწორედ ასეთი მხარში მდგომი, მტკიცე კაცი იყო ჩვენი თემო, მეგობრები სიყვარულით თემუშების რომ ვეძახდით, რადგან თვითონ სწორედ ასეთი ბოლოსართით თუ თიკუნით მოგვმართავდა ალერსით ყველას. იგი ძირძველი თბილისელი გახლავთ, მეც ძველი თბილისელი ვარ, რას არ შევსწრებივარ, მაგრამ ბევრი რამ ჩემი შმობლიური ქალაქის შესახებ თემოსგან

შევიტყვე. განათლებით ისტორიკოსმა ზედმიწევნით კარგად იცოდა ამ ქალაქის წარსული. ყოველი უბნის, ყოველი ქუჩის, ყოველი მნიშვნელოვანი სახლის და მისთა მკვიდრთა ამბავი, მოქალაქეთა ზნეჩვეულებანი, ქალაქური ფოლკლორი, ხელოსანთა ამქრების, კინტოების და ყარაბოლების, მეთულუხხების, მეკურტნეების, მეფაიტვნეების და სხვათა და სხვათა, აწ უკვე გამქრალთა და დავიწყებულთა ცხოვრების წესები. რამდენჯერ წავსულვართ რომელიდაც განადგურების პირას მისული ძეგლის მოსანახულებლად. „აქ კვირაცხოვლის ეკლესია იყო“, მეტყოდა ხოლმე უბადრუკ ბარაკად ქცეულ შენობაზე და მერე მიხსნიდა კვირაცხოვლობის დღესასწაულის არს. იგი საპატიო თბილისელადაც აირჩიეს და თუ ვინმე იყო ჩვენ დროში ამ წოდების ღირსი, სწორედ იგი.

თემუშკი მრალამხრივი კაცი იყო, ვის არ იცნობდა, ვისთან არ მევო-ბრობდა. ჩემი თაობის ყველა თვალსაჩინო პიროვნება მისი უახლოესი მეგობარი გახლდათ. ყველას ვერ ჩამოვთვლი, მხოლოდ გურამ რჩეულიშვილს ვახსენებ, რადგან თემუშკი ახლდა მას გაგრაში იმ საბედისწერო წელს, გურამი რომ დაიღუპა ტრაგიკულად.

ცოცხალი იუმორით დაჯილდოებული შესანიშნავი მთხრობელიც იყო. რა დამავიწყებს განუმეორებელ ახალგაზრდობისას, სოლოლაკში, ჩერი ძველი სახლის აივანზე რომ ვისხედით და თემუშკი თვითირონით ჭარბად ნაზავ საკუთარ თავგადასავლებს მიამბობდა. რამდენს ვხარხარებდით, რას არ მივედ-მივედებოდით. ან კიდევ თბილისის მუზეუმის ოქროსფერი შემოდგომის მზით გამთბარ ეზოში, ნარიყალაზე, სადაც ერთხანს თემუშკი მუსაობდა, აჭრელებულ ბოტანიკურ ბაღს რომ გადავცემოდით და ვხალისობდით, ჩერნთან კი მისი უფროსი მეგობარი, ქართულ სიძველეთა ჩინებული მცოდნე, დედით და გულით ქართველი, შურა უკლადნიკოვიც ერთვებოდა უდარდელ მუსაიფში. სადარდებელი მაშინაც ბევრი იყო, მაგრამ ახალგაზრდობას თავისი გაჰქონდა, მივისწრაფოდით ნათელი ნიზნებისკენ, გმისჯელობდით სამშობლოს მომავალზე.

ყველაფერი ძველთბილისური ხიბლავდა თემუშკის, თითქოს გამქრალი დროისა და სივრცის აღდგენას ცდი-

ლობდა თავისივე სულში. კარგად იცნობდა ჯერ კიდევ შემორჩენილ თბილისელ მედუდუკებს და დღენიადაგ წიგნებში ჩაფლული, სერიოზული გამოკვლევებით დაკავებული მუდამ პოულობდა დროს დუდუკებით ქიფისათვის. „დილის საარი“, „შუსტარი“, „აქლემებმა დაიხოქეს“, მისი საყვარელი მელოდიები იყო. რამდენი ასეთი დაუვიწყარი დროსტარება მახსოვს, თემუშკისთან ერთად გატარებული. წავიდა ის დრო, გაქრა, ყველაფერი მიედინება ამ ქვეყნად.

უკნასკნელად, უკეე საკმაოდ ჯანგატეხილი, მეგობრებმა შინ ვინახულეთ. სუფრა გამშალა, მშვენიერი ღვინო შევსვით, გავხალისდით. ძველი ამბებიც მოვიგონეთ, ავლილინდით, თემუშკი არ ჩამოგრჩენია, კვლავ ძველებურად იღწენდა და იმედი მოგვცა, რომ მალე გამოჯანმრთელდებოდა, აღიდგენდა ძალას, მაგრამ ვაგლას ... არ გამართლდა ჩერი იმედი.

წავიდა თემო ბერიძე, თან წაიღო ჩერი გულის ნაწილი. მისი სახე გაიელვებს გიორგი შენგელაიას შესანიშნავ ფილმში „ფიროსმანი“, სადაც ყარაჩოხელს ანსახიერებს. სულ ეს დარჩა, რასაკვირველია მის სერიოზულ ნაშრომებთან ერთად და მისი მეგობრების ხსოვნაში ჩარჩენილ მარად უქრობ ხატებასთან.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

**გურამ გეგეშიძე**  
ასე ამბობდა ყველა, ვინც მეგობრის,

## ეპ, თემო, თემო!..

ამხანაგის, თუ თანამოსაქმის პანაშვიდ-სა და გასვენებაზე მოვიდა. ყველანი, როგორც იტყვიან ხოლმე, სიკვდილის შვილები ვართ, მაგარმ არავინ ელოდა, ზამთარ-ზაფხულ მუდამ გულგაღლილი, ჯანმრთელი, სიკეთითა და ოუმორით აღსავსე თემო ავად გახდებოდა და დატოვებდა ამ წუთისოფელს.

ჩვენი ნაცნობობა სკოლიდან დაიწყო – თბილისში, კიევის ქუჩაზე მე-19 და მე-20 სკოლები გვერდი-გვერდ მდებარეობდა. მე-19 ვაჟთა სკოლაში ვსწავლობდი, თემო კი მე-20-ში. იმ დღის ბიჭები სად უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს – პლეხანოვზე, რომელიმე კინოში ან სტადიონზე. პოდა, გადავეყრებოდით ხოლმე ერთმანეთს.

ერთი ამბავი მახსენდება – თანაკლასელს 23-ე ქალთა სკოლელი გაეცნო და პაემანზეც შეთანხმებულიყვნენ (მაშინ უკვე თავი ვაჟკაცებად წარმოგვედგინა), არადა თურმე ეს გოგონა მე-20-ე სკოლელსაც მოსწონდა. მოკლედ „საქმის გარჩევა“ უნდა მომხდარიყო. „საქმეები“ კი კიევის ქუჩიდან ახლომდებარე ყოფილი მეჩინიკოვის, ამჟამინდელი დოდო აბაშიძის ქუჩაზე ცხრა ნომერი სახლის ეზოს მოზრდილ შესასვლელში იმართებოდა ხოლმე. მე დიდი დამრტყმელი არასოდეს ვყიფილვარ, მაგრამ იმ ამხანაგმა მეც მოხოვა „გარჩევაზე“ გავყოლოდი. მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელთა შორის თემოც აღმოჩნდა. მოკლედ ვიტყვი, წაკინკლავებული ბიჭები გვერდზე გავიდნენ – ილაპარ-

აქეს, ერთმანეთთან შეთანხმდნენ და მადლობა ღმერთს, ყველაფერი უჩხუბრად დამთავრდა...

მერე სკოლები დავამთავრეთ – ეს უკვე ძალიან შორეულ წარსულში იყო! მე და თემო უკვე იმ წელს სტუდენტები გავხდით, იქ შევხვდით ერთმანეთს და ძალიან დავმეგობრდით.

ძველებს კარგად გვახსოვს 1956 წლის 9 მარტის ამბები, როცა საბჭოთა ჯარისკაცებმა სისხლის კალო დაატრიალეს. სწორედ იმ წელს ზაფხულში, დუშტოში სამხედრო კურსებზე გაგვამწეულის, როგორც ჯარისკაცები. საბჭოთა ხელისუფლება მაშინ დაუინტებით აცხადებდა საბჭოთა უბალდესებში სამხედრო კადრები არ არსებობსო, მაგრამ ვის მოატყუებდა. და აი, ჩვენ დუშტის გარეთ – შემაღლებულზე ძველ დაცხავებულ კარვებში გაგვანაწილეს. თივაზე ლეიბები იყო გაშლილი და იქ დაგვაბინავეს. ზოგიერთს, კერძოდ გურამ რჩეულიშვილსა და ნუგზარ წერეთელს გაუმართლა – ასი თუ ორასი გრამი არყის ფასადზემდეგი „სტარშინა“ მოთაფლეს და ისინი თავის „კომფორტულ“ კარავში დააბინავა. მაგრამ ამას ჩემთვის დიდი შვება არ მოჰყოლია, სხვებთან ერთად მეც ვეუფლებოდი სამხედრო ხელოვნებას.

ერთ დღეს ჩემმა ძველმა ნაცნობმა უფროსმა ლეიტენანტმა კვირა დღეს ქალაქში გამიყვანა, გავიარ-გამოვიარეთ. მერე რაღაც სასადილოში ხინკალი,

ლუდი და არაყი შევუკვეთეთ. კარგად გამომთვრალი შემოვედით გარნიზონში, მე ჩემ კარავში დავწექი და დავძინე. შუალამე იქნებოდა, რომ ლაპარაკმა გამაღვიძა. თემო ბერიძე და ცხონებული გოორგი (უორა) ბერძენიშვილი მე მახსენებდინენ. მივხვდი რაღაც ოინს მიწყობდნენ და დავუყვირე: აბა, აბა, არ გაბედოთ-მეოქა. კარგი, კარგი, შენ არა ჯონდო გვასალიას მოვუწყობთო. თურ-მე უორასა თუ თემოს ჰაუპტვახტში წასაყვანი ტალონი უშოვიათ და ჩემს მაგივრად ცხონებულ ჯონდო გვასალიაზე გამოწერეს. ჯონდოს ფეხ-ის ზომის ჩექმა არ აღმოჩნდა და ამი-ტომ რეზინის სპორტულ ფეხსაცმელ-ში (ტაპოჩკებში) დადიოდა იმ ტალ-ონში სამხედრო ფორმის დარღვევა ჩაწერეს. დილით კი ერთი სათვალ-იანი ავტომატიანი ჯარისკაცი გამოიჭირეს. დილის მწყობრის შემდეგ მოვ-იდა კიდეც ის რუსი ჯარისკაცი, რომელიც გაიძახოდა — ჰვასალია, ჰვასალიაო, როცა ჯონდო გამოცხად-და, უთხრა, ფორმის დარღვევისათვის ჰაუპტვახტში უნდა წაგიყვანო. გა-დაირია საწყალი ჯონდო, ჯარისკაცს აღარ დაელოდა და შტაბში გაიქცა. იქ ჩვენი უნივერსიტეტის სამხედრო მასწავლებელი პოდპოლკოვნიკი ჯაში შეხვდა. მიხვდა, რომ გვასალიას ოინი მოუწყეს, სიცილი აუტყდა, მერე დაამშ-ვიდა და უკან გამოაბრუნა. გაცეცხლე-ბული ჯონდო მხოლოდ ამას ამბობდა: „მაღლადეც თემო ბერიძე, მაღლადეც უორა ბერძენიშვილიო“.

ეს მეოთხე კურსის დამთავრების შემდეგ იყო, მეხუთე კურსის დას-

რულებისთანავე უკვე უმცროსი ლეი-ტენანტები ახალქალაქის გარნიზონში მიგვავლინეს.

... დამთავრდა სტუდენტობის ბედ-ნიერი ხანა. მიმოიფანტნენ ჩვენი ბიჭე-ბი — ზოგი სად და ზოგი სად. თემომ თბილისის მუზეუმსა და საქართველოს სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმ-წიფო მუზეუმში დაიწყო მუშაობა. კარგადაც გაისარჯა, დაუფასდა შრომა, წარმატებით დაიცვა ისტორიის მეც-ნიერებათა კანდიდატის, მერე დოქ-ტორის ხარისხი. მისი დისერტაციე-ბიც გავასოვს.

მისი მეგობრებიც წარმატებებს აღწევდნენ. ბევრს ვერ დავასახელებ, მაგრამ რამდენიმეს მაინც შევეხები. აბა, როგორ არ მოვიგონო გურამ რჩეულიშ-ვილი, რომელთანაც 1960 წელს, დაღუპვის წინა პერიოდში, გაგრაში ისვენებდა. ერთ საღამოსაც დიდხანს ისაუბრეს, გულითად მცირე ტრაპეზე, ორიოდე დღეში კი უდიდესი ტრაგე-დია დატრიალდა, რასაც ყველასთან ერთად დიდად განიცდიდა. აბა, როგორ არ დავასახელო ნუგზარ წერეთელი და გურამ გეგეშიძე, აღიარებული მწ-ერლები და დიდებული ადამიანები. და აი აქ უნდა გავიხსენო ჩვენი ბოლო შეხვედრა თემოსთან.

მას ხშირად ვხვდებოდი ხოლმე რუსთაველზე, სადაც მე იმუშაობდელ საქინფორმის რედაქციაში ვმუშაობდი. მეც დავიშასხურე „რეგალიები“ — მო-მენიჭა საქართველოს დამსახურებუ-ლი უურნალისტის წოდება, „ლირსებ-ის“ მედალი და შემდეგ ორდენი. მახ-სოვს რა გულითადად მომილოცა თე-

მომ და ბევრიც იხუმრა.

ბოლო ხანს შევიტყვეთ, რომ თემო ავად გამხდარა. ავადმყოფობის მიუხედავად თემო ძალიან ნაყოფიერად თანამშრომლობდა საზოგადოება „ცოდნის“ ყოველკეთადურ უურნალ „სიტყვის“ მუშაობაში, რომელიც ნუგზარ წერეთლის დიდი გარჯითა და რუდუნების მეშვეობით გამოდის. მე პირადად ხშირი კონტაქტი მქონდა თემოსთან და თბილისისადმი მიძღვნილი ბევრი მშვენიერი ნაშრომი გამოვართვი და გამოვაქვეყნეთ.

ბოლოს, გარდაცვალებამდე ოციოდე დღი ადრე ვესტუმრეთ თემოს ნუგზარ წერეთელი, გურამ გეგეშიძე და მე. მან თვითონ გაგვიღო სადარბაზოს კარი, დავსხედით, ვიმუსაიფეთ კარგახანს. ამასობაში მისმა მეუღლემ სუფრა გაშალა. მაგიდას მივუსხედით. გახარებულა.

ლი თემოც ჩვენთან დაჯდა, რამდენიმე ჭიქა ღვინოც დალია, მადლობა გადაგვიხადა, მერე თავისებურად იშაყირა. გაიხსენა თავისი საიუბილეო ქეიფი, დუდუკებით და ასე დავემშვიდობეთ. თურმე ეს ბოლო შეხვედრა ყოფილა მასთან ..

გარდაიცვალა ჩვენი თემო — გამოჩენილი მეცნიერი, ნალი თბილისელი, მისი მეხოტბე და მკვლევარი, თბილის საპატიო მოქალაქე. ძალზე დიდია მისი სიკვდილით გამოწვეული გულისტკივილი. მუდამ გავიხსენებთ მის გულითად, ერთგულ მეგობრობას.

ნათელში გამყოფოს უფალმა ჩვენო განუმეორებელო თემუშკი. „იქ“ ალბათ, ისევ შეხვდა უახლოეს მეგობარს „რჩეულას“ და სხვებსაც.

მუდამ გვეხსომები თემო!

**ნოდარ ზედელაშვილი  
საქართველოს დამსახურებული  
უურნალისტი**

---

## თემო გერიძეს

დილის საარის ტკბილი სევდა,  
ნაღდი ღვინის სმა,  
შენ შემაყვარე, ძმაო, შენ და  
შენმა თბილისმა ...  
ქუჩებში ღამე ქანაობდა  
კაი მთვრალივით,  
მტკვრის წყალში მთვარე ბანაობდა  
თეთრი ქალივით,  
ემატებოდა ცისკარს შუქი,  
გული კენესოდა,  
გამოვდიოდით ვიწრო შუკით  
შენი ეზოდან.  
და ამ ცხოვრების ორომტრიალს  
ჩვენც ვერეოდით,  
რაც სიზმარივით  
გაქრა,  
გავიდა  
და დაიწყება ყველაფერი  
ისევ თავიდან.  
ასე გავიდა სიყმაწვილე, ასე გავიდა...  
დილის საარის ტკბილი სევდა,  
ნაღდი ღვინის სმა,  
შენ შემაყვარე, ძმაო შენ და  
შენმა თბილისმა.

**დათო ჯავახიშვილი**

**P.S.** ცნობილი ქართველი მწერალი, დიდი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილი შვილიშვილი დათო ჯავახიშვილი, თემო ბერიძის უახლოესი მეგობარი იყო. შედარებით ახლო-ახლოსაც ცხოვრობდნენ ჩუღურეთის ისტორიულ უბანში და თითქმის ყოველდღე ერთად იყვნენ. პროზაიკოსმა დათო ჯავახიშვილმა თავისი გულწრფელი სიყვარული მეგობრისადმი მშვენიერი ლექსით გამოხატა.

## რომანი „გზები წყვდიადში“

საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ ორგანო უკრნალ „სიტყვაში“, კერძოდ მის ნომრებში 16-25, იბეჭდებოდა ნუგზარ წერეთლის ახალი რომანი „გზები წყვდიადში“. 2012 წლიდან დღემდე უკვე გამოქვეყნდა შვიდი თავი.

იმის გამო, რომ უკრნალის გამოცემის ტემპს რომანზე მუშაობამ გაასწრო და ნაწარმოები დასრულებული სახით უკვე ცალკე წიგნად გამოვიდა, 2015 წლის ნოემბერში ველარ მოხერხდა მე-8 – მე-11 თავების დაბეჭდვა. ამასთან დაკავშირებით სარედაქციო კოლეგია წყვეტს რომანის ბეჭდვას, რისთვისაც ბოდიშს უხდის ნაწარმოების კითხვით დაინტერესებულ პირებს.

რომანი „გზები წყვდიადში“ გაიყიდება „ბიბლუსის“ წიგნების მაღაზიებში. ვისაც არ აქვს სქელტანიანი წიგნის ყიდვის საშუალება, ავტორი ყველას გადასცემს წიგნს უფასოდ, თანაც საკუთარი ავტოგრაფით.

ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ წიგნის წინასიტყვაობას, რათა მეტი წარმოდგენა შეგექმნეთ ახალი მნიშვნელოვანი რომანის შესახებ.

### რედკოლუგია

#### ფინასიტყვაობა

რომანი „გზები წყვდიადში“ ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაზეა შექმნილი და სულ ახლახანს უსასრულობაში გადასული მე-20 საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან ოცდამერთე საუკუნის დასაწყისს მოიცავს. ეს ის უმძიმესი პერიოდია, როცა ვება რუსეთის გამძაფრებული მცდელობით საქართველოს ძირძველი კუთხეები აფხაზეთი და სამაჩაბლო დაიკარგა, ღვთის მადლით დაიკარგა დროებით და არა სამუდამოდ, რისი იმედიც ყველა ქართველს ნაღვერდალივით გულის სიღრმეში აქვს შენახული.

წინამდებარე მრავალპლანიან რომანს წინ უძლოდა ორი ნაწარმოები ანუ ორი ტომი „დაუსრულებელი ზამთარი“ და „ქვების სროლის უამი“.

პირველი ნაწილი გაცილებით სქელტანიანი 2005 წელს გამოვიდა, მეორე – 2010 წელს, ხოლო მესამე 2015 წელს. ამით შეიკრა ერთგვარი ლიტერატურული წრე და ქართულ მწერლობაში გაჩნდა ახალი ტრილოგია, რაც მოიცავს ოთხმოც წელზე მეტს გასული საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან ჩვენს არეულ-დარეულ წლებამდე, თუმცა ეს არეულ-დარეულობა ყოველთვის განუშორებლად ახლდა ეპოქას და შეუბრალებლად არყოფდა ყველას.

აღნიშნული ურთულესი პერიოდი ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში მაღალ დონეზე აისახა. არა ერთი და ორი თანამედროვე მწერალი შეეხო განვლილ საკმაოდ მძაფრ ეპოქას მთლიანი მოცულობით ან ცალკეული



ეტაპების მხატვრული ამეტყველებით, რაც მთავარია, საკუთარი მიღეომითა და საკუთარი ხელწერით, რითაც მაღალი შემოქმედებითი ძალით ივსებოდა და მდიდრდებოდა მე-20 საუკუნის მხატვრული მატიანე.

უდიდესი შემოქმედებითი მიღწევის მთელი სიმძიმე საკუთარი მხრებით აზიდეს ცხოვრების დიდ სირთულებთან შეჭიდებულმა ქართველმა პროზაიკოსებმა, რომელთა მაღალი დონის ქმნილებებიც ჩვენი მუდმივი სიამაყისა და ინტერესის საგნად რჩება.

ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მიმართულება და მიმდინარეობა დღესაც გრძელდება, თანამედროვე მწერლები ხშირად უბრუნდებიან უახლოესი წარ-

სულის პრობლემებს, რათა საჭირო და ღირებული არ დაიკარგოს, მომავალი თაობებიც აზიარონ ამ ღირებულებებს, მით უმეტეს დღევანდელი არატრადიციული შემოტევების დროს. ჭეშმარიტი მწერლები ცდილობენ უარყოფითი და უკუსაგდები იმგვარი მხატვრული ძალით ასახონ, რომ მიბაძვა თუ გამორჩება არავის აღარ მოუნდეს, მით უმეტეს შემაძრწუნებელი მაგალითების გათვალისწინებით.

ამ დიდ გზას აგრძელებდა ნუგზარწერეთელიც, როდესაც ქმნიდა თავის ცნობილ რომანებს „სიკვდილი ოცდათ ლარად“, „დაუსრულებელი ზამთარი“, „ქვების სროლის ჟამი“ და სულ ახლახანს გასრულებულ უახლეს რომანს „გზები წყვდიაღში“. ამ ახალი რომანის და ყველა წინა ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირია გიგა მაჩაბელი, მწერალი, ინტელიგენტი, სიკეთით და ღირსებით სავსე პიროვნება, ჭეშმარიტი კაცური კაცი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაწესებულების ხელმძღვანელი, ოჯახის, მოყვასის, სამშობლოს დიდად მოყვარული სანიმუშო ადამიანი, რომლის სახე სამაგალითო და სანიმუშოა არამარტო ახალგაზრდობისათვის, არამედ თუ გადაჭარბებად არ ჩაითვლება, ყველა წესიერი ადამიანისათვის.

მრავალი მნიშვნელოვანი ნაწარმოების მსგავსად, ეს რომანიც ცხოვრებისულ სინამდვილეზეა აგებული, ავტორს მხოლოდ ის ვითარება აქვს მხატვრულად ამეტყველებული, რაც პირადად განუცდია, უნახავს, წაუკითხავს თუ მოუსმენია. ისევე, როგორც მთავარი

მოქმედი გმირი გიგა მაჩაბელი არის ავტორის პროტოტიპი, მისი აღტერ ეფო, ყველა მოქმედი გმირისა და პირის უკან გარკვეული ადამიანების წრე მოიაზრება, მათი ცხოვრება შემოქმედებითი სინამდვილის წესებისა და კანონების მიხედვით მაღალ-მხატვრულადაა გადმოცემული, რაც რომანს დამაჯერებლობას მატებს და აღსაქმელად ძალზე საინტერესო ნაწარმოებს წარმოადგენს.

გიგა მაჩაბელთან ერთად დადებითი გმირების მხარდამხარ უმრავი უარყოფითი გმირიცაა დახატული, მათი სიმრავლე თითქოს ცხადად გვიჩვენებს ჩვენმა დაღმავალმა ცხოვრებამ და ვითარებამ როგორ დააგრძელა ბოროტი და ავის მომტანი ადამიანების რიგი. თითქმის როგორც ყველა დიდ რომანში, აქაც მთელი ძალით, დაუნდობლო-

ბით, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეჯახება სიკეთე ყალყზე შემდგარ ბოროტებას, მაგრამ რაც არ უნდა იყოს ცუდსა და მიუღებელს, დროებითი აღზევების მიუხდავად, მათც უეჭველი განადგურება, შეუბრალებელი გასრესა ელოდება.

რომანი „გზები წყვდიადში“ დაწერილია საქართველოში ცნობილი და გამოცდილი ოსტატის მიერ, რაც ხელს შეუწყობს მკითხველს დიდი ინტერესით, დაძაბულად, ჩაღრმავებით წაიკითხოს ახალი ნაწარმოები და მომავალშიც არაერთხელ დაუბრუნდეს მას.

იმედი გვაქს, ჩვენი ლიტერატურული აზრიც, მასმედიაც და ერთგული მკითხველიც ღირსეულად შეაფასებენ მწერლის ახალ მნიშვნელოვან რომანს.

### სარედაქციო კოლუმნი

**სტუდენტი-პესტვრულის გემოქმედება****ჩვენი გალია...**

ჩვენი ვალია ღვთის სიყვარული,  
 ბედნიერება და მეგობრობა,  
 თუ გაგვიფრინდა ფიქრი ფარული,  
 დარჩება მხოლოდ უფერო გრძნობა.  
 გვარგო განგებამ ყოველი წუთი  
 ბედნიერების და უბედობის,  
 ღმერთს სიკეთისოვის მაღლობას ვუხდით,  
 და გზას უფლისას მუდამ ვენდობით.  
 ღვთისმშობლის წილზედრ ვართ ქვეყნისანი,  
 ღმერთმა გვარგუნა კარგი ყოველი,  
 ქართველებს დიდი გვერდა მიზანი,  
 გვამხნევებს ჯვარიც, სვეტიცხოველიც.

**მე შენ მიზვარხარ**

ამ სიტყვებს შენთვის წარმოთქმულს,  
 ამ ფიქრებს სულზე დაჩენილს,  
 ამ სიზმრებს შენთვის მოგონილს,  
 ამ ღიმილს კენტად დარჩენილს.

მოგიძლვნი როგორც აკორდებს,  
 ცაში აგაფრენ ანგელოზს,  
 ვით მთვარეს ტრფობაც რომ დაგორდეს  
 და წყებაც ვარსკვლავთა დაგვენდოს.

ზეცა კი ჩურჩულებს ლამაზად,  
 მზის სხივთა მაგვარად იღიმი,  
 ამ სხივებს ჩემთვისაც დარაზმავ  
 ტრფობის საოცნებო ღიღინით.

## შემოდგომა

შემოდგომისფერ იქტომბერს  
სევდით ავსილი ხედავს,  
გარეთ ნაწვიმარ ამინდში  
დახეტიალობს ხესთან...

გოგონა მიდის ქუჩაში  
ათვალიერებს ხეს,  
ჩაფიქრებული ბუნებაც  
ხმას აღარ იღებს დღეს...

სიყვარულს ანათებს სიცოცხლეც  
ამ მარადს მიხვდები თუკი,  
მუსიკის პანგები გაისმის  
სიმებზე ელვარებს შუქი.

*ნინო სულაშვილი  
"საზოგადოება ცოდნის" ფილოლოგიის  
ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.*

\* \* \*

რატომ მოევლინე ამ ქვეყანას  
ან მე რატომდა მომევლინე  
ღმერთად? ნუთუ არ გყოფნის  
ის, რომ ჩვენ აღარ ვარ ერთად?  
რატომ მიტევ? რატომ მიწვევ?  
რატომ მჭირდები და მერე  
რალატომ მწყინდები? რატომ  
მპირდები? და აი უკვე აღარც  
მპირდები? რატომ ვინთები,  
მთელავენ ზვირთები  
და მერე ასე ადვილად როგორ  
გმშვიდდები? ნუთუ ესაა ცხოვრების  
დინება, დილის და ღამის  
ლამებ—თენება და სულიერი აღორძინება.  
თვალი ბნელდება, გული ცხელდება,  
ოჰ, ეს სისხლძარღვთა ჩუმი დინება  
სიყვარულს ზოგჯერ რომ  
ეძინება, და ამ დიდ გრძნობას  
რომ ეფერება მძაფრი გრძნობების  
გამოვლინება, ჩვენ ხომ არ  
გვინდა უიმედოდ ცრუმლთა დინება?!



### 6089 გოგილაშვილს

ვკვდები, ვკვდები, მეჩვენება ვკვდები.  
სიკვდილიც რა უნამუსოდ კივის?  
მე ხომ ვხვდები, ვხვდები რომ არ ვკვდები  
თქვენც ისარი დაგეცემათ სხივის.  
მე მივდიგარ, მივდივარ და თქვენაც  
არ მინდიხართ, თითქოს ღმერთთან ვრჩები,  
დიდ ბიჭს ისევ ჩამესმება სტვენა,  
გოგონებსაც აჩეჩვიათ თმები.  
ცუდ გოგონებს უკვე აღარ ვხვდები  
ქარს უძილოს შევადარებ ნიავს,  
ვფიქრობ, ვფიქრობ და ნელ-ნელა ვხვდები

იმ ქალს ჩემი სიყვარული ჰქვია...  
 კვლავ ვუყვარვარ მთვარემდე თუ მზემდე,  
 ის კარამდეც მიმაცილებს უფლის,  
 ფირუზისფერ თვალებს მიტომ გენდე,  
 რომ ღამეშიც გამიჩინოს შუქი.  
 გომელაურს გიხსენებდი ლექსით  
 თითქოს სურდა ფრაზა ეთქვა ასე,  
 თანაც ბოლოს – აქ დავტოვე ნინა  
 და სამშობლოც მთლად ცრეძლებით საგსე.  
 ცხელი გულით ცეცხლიც ჩამიქრია,  
 ნანუკასაც ვკოცნი, როგორც წინათ,  
 ლექსიც გვსურსო ასე მითხრა გვიან,  
 ყველა ლექსი მე ვაჩუქე ნინას.

*ღამეარაშვილი ანა  
 "საზოგადოება ცოდნის" ფილოლოგიის  
 ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი*



ოპ, ნეტავ

მე არა სიკვდილს, ჩემთვის ვეძებ გარდაცვალებას,  
მათ შორის ერთი საოცარი საფეხურია,  
სამოთხეს ვეძებ, ფანტაზიას არ ვთვლი ფარებად,  
რეალურს თუმცა ერთი მოჰკავს, ბევრი მწყურია.

რამდენი რამის თქმა მსურს,  
მიტომ ვამბობ ოპ, ნეტავ,  
ნეტავ შემეძლოს ყველაფერი გადმოვცე კალმით,  
ვუძლებ ყველაფერს, გული რეკავს – ოქროს მონეტა,  
ძველ განცდებს ვხაზავ, ვეგებები სიახლეს სალმით.

დაწერა კი მსურს,  
ყველაფერი სივრცეში ქრება,  
ნაწერიც თითქოს მიიღევა ცახცახის დარად,  
ეს ერთი სტროფი,  
ერთი სიტყვა ამ ქვეყნად რჩება,  
რასაც ზვავივით მოვარდნილი წარსული ფარავს.

2015 წ.

## არეულობა სამყაროში

დღეს დედამიწა თითქოს ლოთია,  
უსახელო და პატივაყრილი,  
და ეს დღეებიც ისე მოდიან,  
როგორც კაცები ვენებდაჭრილი.  
ავადმყოფს მოჰვავს თავად ბუნება,  
ჯანდი ედება ლურჯად მიფენილს,  
მთაწმინდა ნისლში ჰერა დაბრუნებას,  
ნისლში ძეგლები ჩანან მყიფენი.  
დღეს დედამიწა ჰერას უპატრონოს,  
კვამლი ედებათ დედა-ქალაქებს,  
ბუნებაზეც კი ძილი ბატონობს,  
ქალაქურ ყოფას ვერვინ ალაგებს.  
ძილი ერევა მთასაც და ბარსაც,  
საქართველოსაც უსაბოლე ძინავს,  
გალავნის ბნელი სიმძიმე აკრავს,  
მარადისობა არ გველის წინაც.  
თითქოს ქალაქის ვხედავთ წახდენას,  
ისე მიდიან არც სურთ დარჩენა,  
რთული ცხოვრება ვეღარ ახლდება,  
ითხოვს დიდებას და გადარჩენას.

## ღამის ვიძრები

ღამეა, ორის ნახევარია,  
ჭირი და სენი მაინც მაწუხებს,  
ძილი მოჰყვება ღამეს მთვარიანს,  
და უძილობა მიჭერს მარწუხებს.  
ახლა როს ჩემთვის ვალაგებ პწკარებს,  
მწვავე ტკივილი მაინც მედება,  
ცოდვების ტვირთი მაწვება მწარედ,  
ტირილიც აღარ მეიმედება.  
ტანჯვისგან სული გაქრობას ცდილობს,  
გული გაქვავდა და აღარ იძვრის,  
ხალხის ნაწილო და ხალხის შვილო,

გაყინულ გულსაც აღიქვამ სიბრძნით.  
 წუხილს მოჰყვება წარსულის ლანდი,  
 და გახსენებაც ტკივილს მიმატებს,  
 ბინდში თუ უპე აღარსად ვჩანდი,  
 მეგობრობისაც ქრება სინათლე.  
 ცივი სიყალბე ქცეულა მოდად,  
 მისგან არაფერ სიკეთეს ველი,  
 რამდენი წინსვლის იმედი მქონდა,  
 როტმს კი ჩამორჩა თვალები სველი.  
 წინ ვერ წავედით უკან მდგარები,  
 ხომ არ დავირქმევთ მხდალსა და ლაჩარს,  
 კვლავ რითმების გზით მივექანები,  
 ვცდი ყოველივეს,  
 თუ რამე დამრჩა.  
 ჩემთვის არასდროს არსებობს მოდა,  
 ფეხს ვერ ვუწყობდი დაშაქრულ რითმებს,  
 ამ ყველაფერშიც გასწრება მქონდა,  
 რომ დავწეოდი ჩემს ფიქრებს რითმე.  
 დროს თავისუფლად ერგება ზოგი,  
 მე ცხოვრებისგან გაქცევა მინდა,  
 ზურგსუკან წყდება სიყალბის თოკი  
 თვალებში ჩავცქერ ჩემ გრძნობას წმინდას.  
 კვლავ ადამიანს დავეძებ სათნოს,  
 როცა დალატი აქციეს წესად,  
 კვლავაც სიკეთის იმედი გვართობს,  
 რომ მომავალი ოცნების შევსვათ.  
 ზოგს აღარ მოსწონს ზურგის შექცევა,  
 ცდილობს ნაწერის ფეხით გათელვას,  
 წერაც მომავლის გზებად გვექცევა,  
 რომ სწორი გზები ჰპოვოს ქართველმა.  
 კვლავაც ფიქრი მავსებს შუალამისას,  
 ჭირის და სენის სიღრმე მაწუხებს,  
 ძილი ღამეულ ტკივილს დანისლავს,  
 და უძილობა მიჭერს მარწუხებს.

თამარ შუალამი  
 "საზოგადოება ცოდნის" ფილოლოგიის  
 ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი



### დაბგიანებული აღსარება დედას.

სამოცს გადავცდი, ვიცხოვრე ისე,  
როგორც მასწავლე, როგორც ვიცოდი,  
მე არ მინდოდა დაჩაგვრა სხვისი,  
სიმართლისათვის მუდამ ვიბრძოდი.

დღეს რა კაციც ვარ, დღეს რაც კი ვიცი,  
დედის ლოცვებმა განაპირობა,  
გვიან შევიგნე მე ეს ამბავი,  
ეტყობა ღმერთმაც მისცა პირობა.

ეს ლექსი ჩემი აღსარებაა  
და სიყვარულის დიდი წყურველი,  
რომ დავისადე სასწაულია  
და ალბათ თავად ღმერთის სურვილი.

ზოგს მივაღწიე, ზოგსაც კი ვერა,  
მაქვს უკმარობის გრძნობა ძლიერი,  
ვერ მოვახერხე, ვერ გავიარე  
გზა და უსაზღვრო, დასალიერი.

სამოცს გადავცდი, ისე ვიცხოვრე  
როგორც მასწავლე, როგორც ვიცოდი,  
სხვა არასოდეს არ დამიჩაგრავს  
სიმართლისათვის მუდამ ვიბრძოდი.

## ბალაპტიონს

„რარიგ კარგია სამშობლოვ,  
 შენი მტკვარი და რიონი,  
 შოთა, ილია, აკაკი,  
 გაუა . . . . ."  
 გალაკტიონ ტაბიძე

შენ ხარ ის კაცი, ვინც დალანდა გემი „დალანდი“,  
 შენ ხარ ის კაცი, ვინც ავიდა მწვერვალებამდე,  
 შენ ხარ პოეტი ფეხით თხემამდე,  
 შენ ხარ პოეტი სიყვარულით გაგიჟებამდე.

შენ ხარ პოეტი ვინც შორიდან ეტრფოდა მერის,  
 ორნი იყვით შენ და ღამე ამ ქვეყანაზე,  
 ლურჯა ცხენებით ისწრაფოდი სულ სხვა მხარეში,  
 უსიყვარულოდ მზეც არ გსურდა ცის კამარზე.

სიყვარულისთვის შენ შეგეძლო ცამეტჯერაც მოგეკლა თავი,  
 ცვრიან ბალახზე დადიოდი შენსავ მამულში  
 და განა გიყვარს შენი მიწა, შენი ბალახი,  
 თუ მამულისთვის თავს ვერ სწირავ, არ ხარ ზვარაკი.

შენ კი გიყვარდა შენი ხალხი, შენი მამული,  
 დედის ნანინა, შენი კუთხე, შენი ოდა, შენი ჩინარი,  
 შენ ამიტომაც ვერ გაუძელ ამდენ სიყვარულს  
 და ლაჟვარდ ცაში ვარსკვლავით გაუჩინარდი.

*2015 წლის 30 აგვისტო*

## ზაფხული ქობულეთში

"ცხოვრება ეს არის ქუჩა  
ცალმხრივი მოძრაობით"  
ავატა კრისტი

ლივლივებს ზღვა და ლივლივებს ცანი,  
ლივლივებს მიწა, ლივლივებს ტანი,  
რა არის "დღეს" და რა არის „ხვალე",  
ეს არის აწმყო და მომავალი.

ლივლივებს ზღვა და ლივლივებს ტანი,  
იყო ბავშვობა და აღარ არის,  
სიმაწყვილესაც შეუდგა წყალი,  
ეს ცხოვრებაც ხომ სიზმარი არის.

თითქოს დღეს იყო, გავიდა ზანი  
და რა შემომრჩა? ჭალარა თავი,  
სიბერისათვის დამდგარა უამი,  
ლივლივებს ზღვა და ლივლივებს ტანი.

გავიდა წლები, სხვა გზა არ არის,  
გაფრინდა დრო და მოვიდა უამი,  
რა დამრჩენია? ორიოდ წამი  
და გაიღება არყოფნის კარი.

მაგრამ დღეს ვცოცხლობ, ზღვაში ვარ, ზღვაში,  
ამაოებას დაუდგეს თვალი,  
ლივლივებს ზღვა და ლივლივებს ცანი,  
ლივლივებს მიწა, ლივლივებს ტანი.

მერაბ თხელიძე  
2015 წლის 6 სექტემბერი



**მხედოვანი მოქალაქის ბიორბი ჩიჩუას  
მიმართვა მთაგარი მოქალაქისადმი**

სითბო მოსდევს მაისის თვეს, თუმც სიძვირე არ გვტოვებს,  
გაჭირვება მეც სხვებივით ძალით დამიმარტოვებს.  
სხევბს ვუყურებ, ნერწყვი მომდის, სახლშიც საკვებს ელიან,  
მაგრამ რა ვქნა, როცა ჩემი ქისაც ცარიელია.  
როგორ ვზარდოთ პატარები, სიცოცხლე კი ტკბილია,  
კვლავ შრომისკენ მოგვიწოდებს აკაკიც და ილიაც.  
ყველა დროის წარსულიდან წვეთიც არ შეგვრჩენია,  
თუმც ქადაგებ ყოველი დღე — მომავალი ჩვენია.  
ამის ნაცვლად ვერ გავიგეთ ჩვენია თუ თქვენია,  
კაციც არ ჩანს, გულადი და პირში მართლის მოქმედია.  
გვინდა დროშად აფარება სინდისის და ნამუსის,  
სიყვარული, შრომის კულტი რომ დამკვიდრდეს მამულში,  
თან გვითხარით რა ბრალი გვაქვს ამგვარი თუ ასეთი,  
ჩვენსკენ აღარც რადიოა, არც ტელე და გაზეთი.  
გვიჯობს აქეთ გადმოგვხდოთ ამ მამულის მკვიდრებსაც,  
გზა უჩვენოთ დახმარების ბიზნესმენებს, მდიდრებსაც.  
ყველას გირჩევთ შრომას უნდა ნაღდი თავის დადება,  
რომ განათდეს ძველი სივრცე ახალ განთიადებად.  
თუ ვიფიქრებთ მხოლოდ ფულზე ქართველს გადავაგვარებთ,  
ვეღარ გავზრდით საბრძოლველად ბიჭებს მაგარ-მაგრებს.  
და გვერგება ჩვენაც ბედი ლაზთა, ჭანთა, აფხაზთა,  
რწმენას, მეს და მყოფადობის შავი ბედი დახაზავს.  
მერე მიდი და იძახე ვინ სჯობია ქართველებს,  
რასაც ძალით გვართმევენ.

*გოგი ჩიჩუა  
2015 წ.*

## თავისთვის ფერდა, არც ზიქრობდა ბამოქვეყნებას

1985 წელს განმეორებით გამოცემულ მწერალ ნიკოლოზ გიორგის ძე ნათაძის (მელანია) წიგნში „ქედნის ღილინი“ შევხვდი ასეთ სტრიქონებს:

„ვწერდი იმ მიზნით კი არა, რომ უთუოდ დაბეჭდილიყო, არა, მე ვწერდი იმისათვის, რომ რაღაც სიამოვნებას ვვრმნობდი ამაში და თითქოს რაღაც ჩემი გულის მოთხოვნილებას ვაკმაყოფილებდი“.

ამგვარი აზრი ცხოვრებაში ბევრ-ჯერ სიმართლის სახით დადასტურებულა.

ახლა კი ვიტყვი რისთვისაც მოვ-ძებნე და გადმოვწერე ეს სტრიქონები.

2006 წლის აგვისტოში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ სამოცდათოთხმეტი წლისა გარდაიცვალა ჩემი უფროსი ძმა ჯონდო წერტელი. ის არ იყო დიდი მწერალი ან დიდი მეცნიერი, მაგრამ იყო სანიმუშო ქართველი კაცი, პატრიოტი, მამულიშვილი, რაც ბევრ წოდებასა და რეგალიებზე გაცილებით უფრო მეტია.

მწიგნობარს, პოეტსა და ცნობილ ბიბლიოფილს, მამაჩემს აკაკი წერტელს თავის ძირითად საქმესთან ერთად განსაკუთრებული ძალით უყვარდა სოფლის მეურნეობა. საამისო ასპარეზიც გააჩნდა, მდინარე ყვირილას ხეობაში მდებარე მშვენიერ ქართულ სოფელ საღვინეში დიდი ეზო, ვენახი და ხეხილის ბაღი ჰქონდა. თბილისშიც, ზედა ვაკეში ხეხილნარით დაფარულ ფართო ეზოს ფლობდა. თავისუფალ დღეებს, უფრო მეტად დასვენების

დღეებს სულ ეზოსა და ბაღ ჩაში მუშაობას ახ-მარდა, დაძაბული შემო-ქმედებითი ცხოვრება კი დაბინდებიდან შუალამის სამოთხ საათამდე გრძელდებოდა.



სოფლის მეურნეობის ხაზით მუშაობის საკითხებში საკმაოდ მომთხოვნმა მამაჩემმა მე ადგილიდან ვერ დამძრა, ჩემი უფროსი ძმა ნაწილობრივ დაყოლია, უფროსი ძმა ჯონდო კი თითქმის თანაშემწედ გაიხადა და ჩართო ყოველდღიურ საქმიანობაში, ეს კი, როგორც ვთქვი, ოდნავადაც არ იყო ადვილი, რადგან საქმიანობა სოფლადაც და ქალაქადაც განუწყვეტელი ძალით მიმდინარეობდა. ალბათ, ამითაც იყო განპირობებული, რომ ჩემმა უფროსმა ძმამ სწავლის გასაგრძელებლად სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი აირჩია, სწავლული აგრონომის დიპლომიც მიიღო, რითიც ჰეშ-მარიტი პოეტი და დაუღალავი მეურნე მამა ძალიან გაახარა. შემდეგ წლებში ჯონდო სოფლის მეურნეობის ხაზით ქალაქსა თუ რაიონებში ბევრ საპასუხისმგებლო ადგილზე მუშაობდა, მაგრამ სადაც არ უნდა ემუშავა, სოფელსა და თბილისურ ეზოს თავს არ ანებედა, მოვლა-პატრონობას არ აკლებდა.

თითქმის ყოველ შაბათ-კვირას შშობლებთან მიღიოდა, მიღიოდა დაუზარელი სისტემატურობით, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 60 წლის ასაკში მამა პენსიაზე გავიდა, სოფელში სახლი ააშენა, სადაც მეუღლესა და შვილიშვილებთან ერთად ადრეული გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ცხოვრობდა, მერე ისევ იმერეთივით საყვარელ სახლ-კარს უბრუნდებოდა ვაკეში, ერთი სული ჰქონდა როდის გავიდოდა ზამთარი, რომ თავის უსაყვარლეს სოფელს დაბრუნებოდა.

დედაჩვენი 84 წლის ასაკში აღესრულა, 1989 წლის 18 ივნისს, მამა კი ოთხმოცდათი წლის ასაკს მიღწეული 1992 წლის 2 აგვისტოს, ჩემი უფროსი ძმა ჯონდოც აგვისტოს თვეში შეუერთდა მარადისობას. მანამდე ის იყო სოფლის პატრონიც და მფარველიც. დიდი არეულობის შემდეგ, როდესაც მისი სამსახურიც დაიშალა, უფრო ხშირად იყო სოფელში, იქ შრომობდა, ბევრს კითხულობდა, წერდა, ძალიან ახლოს მეგობრობდა სოფლის წარმომადგენლებთან, ხშირად იკრიბებოდნენ საღამოობით, ტკბილად საუბრობდნენ, საშინელი დრო ერთმანეთის მხარში დგომით გაჰქონდათ.

ჩვენი უფროსი ძმის მოულოდნელი და გულსაკლავი გარდაცვალების

შემდეგ უმცროსმა ძმამ, თადარიგის გენერალმა გობრონ წერეთელმა, მამის არქივის ზოგიერთ ნაწილთან ერთად უფროსი ძმის სქელი საქალალდეც გადმომცა. ნათქვამია სიკვდილის შემდეგ ადამიანი უკეთესად შეიცნობაო. მართლაც უამრავი რამ ვიპოვე მისი დისიდენტური ბუნებისათვის დამახასიათებელი: წერილები, მთავრობის საწინამდევო მსალების ამონაჭრები, სხვა ადამიანების ლექსები თუ მოსაზრებები, მათ შორის საკუთარი სალალობო-სახუმარო ლექსებიც და სერიოზული საკუთარი ლექსებიც. ისე მე გულში მიკვირდა ხოლმე – როგორ შეიძლება აკაკი წერეთელის შვილი ლექსებს ან დღიურებს არ წერდეს-მეთქი, თურმე ისიც წერდა, ფიქრობდა, განიცდიდა, ოღონდ არასოდეს არც ამბობდა და არც არავის უჩვენებდა, გამოქვეყნებაზეც არასოდეს უფიქრია, თუმცა, როგორც ჩანს, სოკოებივით მომრავლებულ ბევრ პოეტზე უკეთესად წერდა.

უურნალის რედკოლეგიასთან ერთად გადავწყვიტეთ მისი რამდენიმე ლექსის გამოქვეყნება, ამით მის რაიმე ანდერმს არ ვასრულებთ, უბრალოდ ერთ სანიმუშო და უხინჯო ცხოვრებით ნამდვილად მისაბაძ ქართველ კაცს წარმოგიდგენთ.

**ნუგ ზარ წერეთელი**

## დასვენება

სად არ მიდიან, სად არ გარბიან,  
 სწამთ სეიშელი და მალდივები,  
 სხვა დასვენებას გვირჩევს ნამდვილად  
 სამშობლო,  
 თანაც დანამდვილებით.  
 რის ალანია თუ ანტალია,  
 ჩვენსას რატომლაც ალარ ვაფასებთ,  
 როცა ცხოვრება გასატანია  
 ოცნებით ვითვლით მოვარის ნაფაზებს.  
 სურნელით სავსე სოფლებს მივხედოთ,  
 წინაპრის სული სადაც ბინადრობს,  
 სულ რომ გავყვირით უკან ვიხევთო,  
 იქნება ერთხელ წინსვლაც ვინატროთ.  
 ჩვენი მამული ვერ გამთლიანდა,  
 დაღლილ მგზავრივით მივდევთ აღმართებს,  
 დროშა იმ უკვდავ დავითიანთა  
 დიდი ხანია ველარ ავღმართეთ.  
 უნდა შევუდგათ მხარი ცხოვრებას,  
 თუ დასვენების ვდიოთ პიროებებს,  
 მიტომაც ვნატრობთ განმეორებით  
 რაც წარსულს პქონდა იმგვარ გმირობებს.

1985 წ.

## პირობა

თბილს ვეტანები ბორჯომს,  
 ადრე ყანწების მსმელი,  
 აწ მდინარეში ღორჯოს  
 ველარ დავიჭურ ხელით.  
 უნდა დავმშვიდდე მაგრად,  
 თუნდაც ეს იყოს ძნელი,  
 რადგან ხშირ-ხშირად გამკრავს  
 შრომით დაღლილი წელი.  
 დროებას ჩვენსას მოშლილს,

ვერ ავაშენებთ ისევ,  
 როგორაც უნდა ცოლ-შვილს  
 უნდა ვიცხოვრო ისე.  
 რომ ინტელიგენტს ვგავდე  
 ამდენ სოფლელებს შორის  
 და კმაყოფილი მყავდეს  
 შვილიც, რძალიც და ცოლიც.

1992 წ.

### მასრმოლი პატი

შენ დროს ებრძოდი, როგორც პრომეთე,  
 როგორც პრომეთე ან ამირანი,  
 შენნაირები რასაც პპოვებდნენ,  
 ის იყო ქვეყნის შეცვლის მიზანი.  
 იყო ბრძოლები უთანასწორო,  
 ვით ჩაჩენილი გზები შეტევის,  
 ძლივს ქანაობდა ბედის სასწორზე  
 წამი ყოველი თავგამეტების.  
 ემატებოდა კაცის შეძლებას  
 გასაოცარი სულის სირბილე,  
 წლები წამების მიტომ გვეძლევა,  
 რომ სატანჯველში შემოვირბინეთ.  
 შენი დაღუპვით ჩვენც დავიღუპეთ,  
 დრო დადგა დამსხვრევ-დაცემიანი,  
 შენი მთაწმინდაც,  
 შენი დიდუბეც  
 გელის ქალივით თვალცრემლიანი.

1991 წ.

---

## სოფლის უსაზღვროება

ამოსრიალდა ვეება მთვარე,  
ახლოს ყვირილას ისმის ჩქაფანი,  
ბევრი ვიკითხე, ვწერე თუ ვთვალე,  
ვერ ამოვხსენი ჩემი ზღაპარი.  
ამ ოცნებასაც ვეღარ მოვეშვი,  
თუ წარმატება მქონდა — დროებით,  
მარტო ვარ სოფლის სიმყუდროვეში  
და მავსებს განცდა უსაზღვროების.  
უსაზღვრო არი ზეცაც და სივრცეც,  
ერთიმეორის შესაფერისი,  
გული კი ჯერაც იმედით მიცემს,  
თუმც მირაჟივით მოჩანს მერმისი.  
სულაც არ მჯერა ჩემი მომავლის,  
კვლავ საქართველოს სიყვარულს ვბოდავ,  
ქარი წინწკლებად ცივ წყალს მომაყრის  
იმ ნაკადულის,  
რომ რბის და რბოდა.  
ასევე მირბის ჩემი ცხოვრება,  
ვითარც გრძელდება სრბოლა დროების  
და სიჩუმეში ფიქრებს მოება  
სევდა-ნაღველი ამაოების.  
უსაზღვროების მავსებს დუმილი,  
ფიქრი ჯანღივით მოაქვს დროებას,  
რეკს ტელეფონი,  
მელის ყურმილი  
სინამდვილესთან მიახლოებად.

1997 წ.

## ቍዕስ የሚከተሉት ስምዎች

სანამდის გყავდათ ბელადი  
ხვდებოდით მქუხარ ჭაშით,  
მერე კრიზიკით დელავდით,  
თავის მართლების ცდაში.  
ახლა ტყლიპიანს უძვრებით,  
თავზე რაისა გაზით,  
არცერთი არ ხართ სულგრძელი  
ცხოვრობთ ბოლმით და ბრაზით.  
მე მეჩვენება, რომ ყველა  
იყავით ჩვენი მტერი,  
წლებს სინანული მოყვება  
ჭირის და ხაკის ფერი.  
თქვენში ძლივს მოიძებნება  
მართალი კაცი ორი,  
უკან გაირჭვეთ შეგნება  
გარდაქმნის პროჟექტორის.  
ბებიათქვენის მუთაქებს  
დროა დაუწყოთ ქექვა,  
ხალხი თუ ვინმეს უთაქებს  
იქნება ღმერთთან შეთქმა.  
ვეღარაფერი შეძლით,  
დამთავრდა სისხლის წოვა,  
აწი ვინ ვისთან შეძვრებით,  
როცა სხვა ხალხი მოვა.

1990 §.

**ნუბიარ ზერეთელი  
გამოშვებების დეპარტამენტის რეზულებიდან**

**დილის ნატვრა**

ეს გაუმარჯვოს ყველა სიწმინდეს,  
 რაც დღემდის კიდევ შემოგვრჩენია,  
 რათა სიკეთეს ისე ვიწვნიდეთ,  
 ვერა დაგვაკლოს შემოჩენილმა.  
 ეს გაუმარჯვოს ქართული სულის  
 გაძლიერებას,  
 მტერს რომ შეებას,  
 ყველას ბოლმისგან გაგულისებულს,  
 გზა არ გაეხსნას სამოთხეებად.  
 ეს გაუმარჯვოს თბილისის დილას  
 და წინაპართა ფერმკრთალ აჩრდილებს,  
 რომ წვანან დიდი მუხების ძირას,  
 ჩვენ კი დაღუპვას გადაგვარჩინეს.  
 მათი ძალით და მათი მიღწევით  
 შემატებიათ დღეებს ქარიზმა,  
 ჩვენ კი საწყლები ისე ვირწევით,  
 როგორც ლერწამი ძლიერ ქარისგან.  
 ცხოვრება იქცა  
 ბრძოლად, შეტევად,  
 ბევრისთვის მეტის შოვნის არენად,  
 ბოროტი კანში ვეღარ ეტევა,  
 და ისევ ცდილობს ხალხში გარევას.  
 როცა შეგნებას ბოლომდე საზღვრავს  
 მილიონების შოვნა ქურდობით  
 არ შეიძლება ის ერმა არ ზღვას  
 და თან სახელიც შერჩეს უნდობლის.  
 დაძენძილია ზეცა ღრუბლებით,  
 ხშირად აშურებ შენაც ბუნებას,  
 ძნელი ყოფილა თავისუფლების  
 მოპოვებაც და შენარჩუნებაც.  
 რიურაჟი ნისლებს ზეთივით ისვამს,  
 მზე კი სავალის ცდილობს დადგენას,  
 ეს გაუმარჯვოს იმნაირ წინსვლას,  
 საქართველოს რომ გამოადგება.

---

## საბაზაფხულო

უცემ იფეთქა წითლად ატამმა,  
მიდამო მიაქვს თეთრსა და წითელს,  
გუშინ თუ ვინმე ძალას გატანდა  
დღეს უპე მთავარს აკეთებ თვითვე.  
ქედებს გადასძვრათ რუხი ლეჩაქი,  
გადმობრდღვიალდა ფერი სიმწვანის,  
ყინვით ნაწერი ალარც მზე ჩადის  
ზამთარში ზეცას ყვითლად მიმწვარი.  
მწვერვალთა რიგი აპრილის ხათრით  
ლურჯად დაბინდულ სივრცეში შეფლეს,  
და ალუბლების ყვავილებს ადრი  
სანთლის ციმციმზე მოსეულ პეპლებს.  
სივრცე ელგარებს ფერით ზურმუხტის,  
გზებს მაქმანივით გასდევს ყვავილი  
და გაზაფხულის  
ასე გულუხვის  
მოპატიუება გინდა ქალივით.  
გსურს წლები ენთონ გაზაფხულებად,  
აღარ დანებდნენ ავის დინებას,  
ბალახმა,  
ზამთრით განახუნებმა,  
ისევ დაიწყოს აბიბინება.  
იმედით მივყვეთ მაისს ვარდისფერს,  
ზღაპრულ რაშივით მთისკენ განაფრენს,  
ცაზე ჭავლივით ქარი გადირბენს,  
ნისლებს ძნებივით მთებზე დააფენს.  
სივრცეს ვარდების ფერით შემოსილს,  
სურს სიბოროტის გზები დახუროს,  
რომ გაზაფხულმა საქართველოში  
სულ მაისივით იგაზაფხულოს.

## ჟილილი

ბევრი დაეცა, ბევრი წავიდა,  
 დაცარიელდა ცივი სამყარო,  
 თავზე დაგვამხე წლები ჭერივით, ცხოვრებავ, დროის მძიმედ გამყვანო.  
 ისე გაცელე ეს თაობები, როგორც შირაქის ველზე ხორბალი,  
 თითქოს დოლაბმა გადაგვიარა და გადმოგვემხო ბედის ბორბალი.  
 დღეს საბურთალო, ვაკე, დიდუბე სავსეა ჩემი ნაცნობ-მეგობრით,  
 ყველა უდროო წერა გამხდარა გააფთრებული ბედი-მეგობრის.  
 ახლა ქუჩაში შეხვედრის ნაცვლად  
 მათ სასაფლაოს მწკრივებში ვხვდები,  
 და სულს მიმღვრევენ ნიაღვარივით არარაობის მწუხარე ხმები.  
 ცხოვრება მათი,  
 როგორც სიზმარი,  
 გაქრა და ასე ხმებად შემორჩენ,  
 მე კი ვუყურებ უკვე ახლოდან შავი ჭირივით სიკვდილს შემომჩვევს.  
 თითქოს შხამს მასმევს ვერშეგუება  
 გამძაფრებული ძალით განგების,  
 მაგრამ ჯერ კიდევ ისმის იმედად დამათრობელი ძველი პანგები.  
 ხელსაც ჩაიქნევ,  
 დარღიც ფუჭია,  
 ასე იყო და ასე იქნება,  
 ჯერ კიდევ გრჩება ნაღდი დღეები უკვდავობაზე დასაფიქრებლად.  
 ჯერ კიდევ გრჩება დიდი იმედი გასაოცარი ძალით დარჩენის  
 და ცხოვრებაში ამ ოცნებებით  
 უფერულდება სხვა დანარჩენი.

---

## 0სეზ და 0სეზ

ტაძარი როგორც მმატებს სიმაღლეს,  
იმგვარად მავსებ შენი სიკეთით,  
მთების შვილივით ნამქერს მივარღვევ  
თოვლივით მძიმე გზასაც ვიყვლევდი.  
შენც თან მომყვები, როგორც ფერია,  
სივრცე იშლება თვალწინ სითეთრით,  
აუ, რამდენჯერ შემიბერია,  
როცა ღამეებს თეთრად ვითევდით.  
ის ღამეები გაქრნენ წყალივით  
და იმედივით დარჩა ქვიშანი,  
მდინარეს ეკრა ფლატე განივი  
როგორც გაქცევის ერთი ნიშანი.  
ან მღვრიე წლისგან ჩათრეულივით  
ვიძირებოდი,  
შენ კი კოდი,  
ყოველგვარ შებმას დაჩვეულივით  
ნაპირზე მაინც გამოვდიოდი.  
ნაპირი იყო ისე დამრეცი  
თითქოს ქარებმა სიპით აშენეს,  
მაინც გავძელი და არ დავეცი,  
შენაც ხელები შემომაშველე.  
ცოდვის ბილიკის ვცდიდი გავლებას,  
გზას დავეძებდი მაღალ ტაძრამდი,  
დაბრკოლებათა გასამკლავებლად  
უცებ რაშივით იმედს დავძრავდი.  
რომ გადაკვეთოს ძნელი საზღვარი  
ფიცხი ცხენივით სიტყვამ ნახედნმა,  
რაც ბევრჯერ სისხლით მქონდა ნაზღვავი,  
ან ჭოგრიტს ჰგავდა წინ-წინ გამხედვარს.  
კვლავ მამხნევებდი სავსე სიკეთით,  
რომ ღმერთი წინსვლის ძალას მიზრდიდეს,  
მე დაჭრილივით ძალებს ვიკრებდი,  
ან ვპასუხობდი მიზანს მიზნითვე.  
თითქოს სირბილი იყო მარადი,  
და უკვდავობის ძებნას მოგავდა,  
ხმები ისმოდა მთიდან ბარმდი,

გადაფარული შიშით მოკვდავთა.  
 ეს შიში სდევდა დასაბამიდან  
 ამ უთავბოლოდ შექმნილ სამყაროს,  
 ელვა კი ზეცის ყელსაბამივით  
 კრთოლა,  
 სინათლე რომ დაგვახმაროს.  
 რის დახმარება, ყველა ელოდა  
 ბოლოს,  
 ყჩაღურ შეტევით მომხტარს,  
 ვიღაც გარბოლდა საქართველოდან,  
 გარიდებოლდა ცდილობდა მომხდარს.  
 მაგრამ ვის ჰქონდა ძალა იმსელა,  
 გზები ეპოვა გასარიდებლად,  
 ამ უგზოობას ვინმე მიხვდება,  
 ვინაც სტაცებდა სხვასაც დიდებას.  
 მეც გასაფრენთან ბევრჯერ შევდექი,  
 შეძრწუნებული ქვეყნის ბოლოთი,  
 და იქნებოდა მძიმე შედეგი  
 შენ იმედივით რომ არ მყოლოდი.  
 ისევ მივდივართ გზებზე მხარდამხარ,  
 გუშინ დაიწყო რასაც დღეს ელი,  
 ძველი ნათესი თუმცა გადახმა,  
 ჯერ კიდევ რჩება დასათესელი.  
 გრძელდება ყოფის მძიმე ვადები,  
 რასაც მგლებივით ბევრჯერ უყმუვლეს,  
 მე არც მივდივარ  
 და არც ვთავდები,  
 რაღანაც ვძლიე სულის ჯურლმულებს.

---

## შიომღვიმის ზარები

ზურმუხტივით დაჰუენია ნაციხარს,  
 რაც მთებიდან ველებს ღვარად შედინდა,  
 ვით ღრუბლებზე  
 მაღლა-მაღლა აღიხარ,  
 სამთავროდან, მცხეოთ, ბაგინეთიდან.  
 თეთორ ნაოჭებს თავშეყრილებს ქედებთან,  
 ფიჭვი დამზერს ლოცვადლამდგარ ბერივით,  
 ჩუმი ნისლი ქედებს მკერდზე ედება,  
 ვით ასულის უნაზესი წერილი.  
 ქედს ამშვენებს უწმინდესი ტაბარი,  
 შიომღვიმის ღვთაებრივი ხედები,  
 მზის შუბებით აჩიჩქნილი ნაცარი,  
 ჩაკიდული მტკვარში ოქრომკედები.  
 კლდე რძისფერი ნაღებივით დასერეს,  
 აქ თუ ჰპოვებ,  
 რასაც სხვისთვის იკლებდი,  
 ქედს თოვლივით ნაღარები ავსებენ,  
 თუ ხონჩაზე ამოპყარეს ხინკლები.  
 თვალი ტაძრის სილამაზით დატყვევდა,  
 ცა გაბრწყინდა ღრუბლით დაულამბავი,  
 ცისარტყელა შვიდფეროვან სარტყელად  
 ისე გაჩნდა,  
 ვით ახალი ამბავი.  
 შორს დავითო მობრძანდება მეფურად,  
 წინ მოუძღვის სპას ხმლიანს და შუბიანს,  
 ეს ფრიალო წმინდა ნისლმა შებურა  
 თუ ბატონის გადაშლილი შუბლია.  
 თვლის ადგილებს სამონასტროს, საციხოს.  
 მისი მადლით დასაბამით ვშვენობდით,  
 სხვა გზა არ ჩანს,  
 რაც გინდა და რაც იყოს,  
 ყველა გორა დამშვენდება შენობით.  
 ერი სუნთქვას სიტყვით აღმაშენებლის,  
 აღშენებას ვინც ნერგავდა თავითვე,  
 არასოდეს აღარ გადავშენდებით,  
 თუ გმირივით კვლავ გაზრდიან დავითებს.

შიომღვიმეს ფარავს დიდი სიწმინდე,  
 ცა ნათელი თავზე ადგას იისფრად,  
 ხელს ცუდისკენ როგორ უნდა ვიწვდიდეთ  
 მემკვიდრენი უკვდავ ისტორიისა.  
 მაგრამ უპვე ვეღარ უვლით ბაგინეთს,  
 შიომღვიმეს აწი ვიღა მიხედავს,  
 თქვენ საკუთარ დედას თუკი აგინეთ,  
 რაც მოგივათ,  
 ჭკუასუსტიც მიხვდება.  
 თუ ქვეყნა კვლავ დარჩება საჭურისს,  
 ძელზე ბევრი უცოდველი გაისმის,  
 ხმა კაზურიც, იმერულიც, რაჭულიც,  
 საყვირივით გაფრთხილებად გაისმის.  
 შიომღვიმეც ხმას უერთებს ერის ხმას,  
 დრო დგას გარეთ,  
 როგორც კართან მცველები,  
 წინაპართა ხმალი ისევ შეირჩა,  
 რომ ჩაახშოს სუნთქვა საშინელების.  
 უმწეობა ცოდვის გამო იზრდება,  
 არ იშლება შუდლი მსხვილი ბზარებით,  
 დაჩაგრული ხალხის გამოფხიზლებად  
 რეპენ,  
 რეპენ,  
 შიომღვიმის ზარები.

---

### ტაძარი მთაზე

მაღალ მთაზე მტრედივით  
დაფრენილო ტაძარო,  
მინდა ჩემი ბედივით  
ყველგან გულით გატარო.  
როგორ ამოგზიდეს და  
როგორ ამოგიტანეს,  
მეგლად ზეცის კიდესთან  
მდგარო სულის ტიტანო.  
უძლვი საუკუნებს  
მადლით განაუზვები  
ბჭეებს გაუდუნველებს  
ტევრი იცავს მუხების.  
კრთის როგორაც იმედი  
წმინდა ჯვარი ლამეში,  
ავსებული სხივებით  
და ღვთიური კაეშნით.  
შერჩენია შენს კედლებს  
სილამაზე ფრესკების,  
დიდი მეფის მეცხედრეც  
წამომდგარა ქვესკნელით.  
აქ სუფევენ ახლობელ  
წინაპართა ნეშტები,  
თუმც რომ ვეღარ სახლობენ  
ტკივილისგან ვშემდები.  
შემორჩენილ ტკივილებს  
ეკლებივით ვეხლები,  
მაინც ასე ვივლი მე  
ძველთან ხელის შეხებით.  
გიცქერ, როგორც საკუთარ  
იმედების ახდენას,  
თუ კაცს ღმერთი არ უყვარს,  
უეჭველად წახდება.  
უნდა გვწამდეს უფალი  
მუდამ არის ჩვენ გვერდით,  
როგორც ძველი უბანი  
უამთა სრბოლით შევბერდი.

ასწლეულთა მფარველი  
უცდი ახალ მოვლენებს,  
ვერაგობას არ ელი  
გწამს ახლები მოვლენო

ახლები თუმც მოვიდნენო.  
მაინც ძველებს ჰბაძავო  
თამარ მეფის დროინდელო  
ოქროსფერო ტაძარო.  
შენს გუმბათქვეშ საუკუნე  
საუკუნეს შერთვია,  
წლიდან წლამდე სხვას უყურებ,  
მარადი კი ღმერთია.  
ღმერთი არის შენშიც, ჩემშიც,  
ვისაც სულთქმას ადრიან,  
თუ ცხოვრებას დღემდე შევრჩით  
მისი დიდი მადლია.  
მისი წმინდა კურთხევაა,  
მთასაც ლოცავს, მდელოსაც  
ნაოცნებარს თუ ხვდებოდა  
დღელამ უნდა ელოცა.  
ღმერთის ძალით დგახარ მთებზე,  
უძლებ, ლოცავ, არ გოდებ,  
მზისგან მოძღვნილ ოქროს თევზებს  
აფენ ღვთიურ აკორდებს.  
ელოდები წლების საფერს,  
ვერ გღლის ჟამთა დრეკანი  
და მთელ მხარეს იმედს აფენს  
შენთა ზართა რეკვანი.

---

## ბორჯომის დღეები

კვლავ სიყვარულით გავყურებ ბორჯომს,  
მიბერავს ნაძვის ტევრთა მარაო,  
ქარი აპირებს შხუილი მორთოს  
და ტყეთა ფარდა ააქნაოს.

ზურმუხტის ფარჩით მორბის ლიკანი,  
ბორჯომს მიკრული ნაძვთა ტევრებით,  
მოჩანს ქალაქი სიგრძე-სიგანით,  
საუკუნეებს ანადევნები.

კაცური სევდა აქ მისწავლია,  
ვცდიდი ტკივილით განცდას უნაზესს,  
აქვე ბავშვობის ჩარხისწყალია  
მდგარი პატარა ბორჯომულაზე.

წარსულის ძალა ისევ მარგია,  
ჩაშრევებულან რძისფრად ქანები,  
ღრმა ხეობაში ბორჯომ-პარკია,  
საგსე ხილვებით  
ვერგამქრალებით.

გორებს კლდეების აკრავთ ზალები,  
ტყეებს ზურმუხტის დასდით ფერები,  
მოჩანს ბორჯომი სათაყვანები,  
მოსავლელი და მოსაფერები.

აქ ყველა გრძნობა უმაღლესია  
გახსენებებით გულის საძგერი,  
ზურმუხტის ტევრში დგას ეკლესია,  
პლატოს ტევრებით მოდის სადგერი.  
ბორჯომს სხვაგვარი სითბო დაყვება  
ძველი სახლებით და აივნებით,  
წამომართულნი მთები თაღებად  
სურნელს ღვარივით გადაივლებენ.

პატიოსნება ამშვენებს ქალაქს  
და ამ სახელით მოდის ოდითგან.  
თუმცა ერთობის მარადი ძალა  
მთების ღვარივით ვეღარ მოდიდა.  
წარსულის დღეებს ვესაუბრები,  
ვფიქრობ სად ვცოდე ან სად გავრისკე,  
ისევ მივდივარ ძველი უბნებით,

ახალგაზრდობის ლამაზ პარკისკენ.  
 ნისლი დედდება მთების ღვარებით,  
 და ცისფერ ტევრებს მოიჩრდილებენ,  
 აქ ისე თვლემენ ჩემი პწყარები,  
 როგორაც დედის მკერდზე ჩვილები.  
 წლები მოდიან შრომის და სიბრძნის  
 რასაც ნამცეციც არ სდევს არამი,  
 ისევე შრომობს, წვალობს და იბრძვის  
 ზალხი კეთილი, მშვიდი, ალაპი.  
 ჩემი ბორჯომი ივლის და ივლის  
 მუდამ ამაყი სულის ტარებით,  
 მე კი ბორჯომის საოცარ ივნისს,  
 ვით დედის კალთას  
 შევეფარები.

ბორჯომი, 09.06.2015

## ბაბურიანის მაბია

თოვლი მოვიდა ისე ფაფუკი,  
 თითქოს ფარდაგი დააგეს დაზლის,  
 გადაიარა ბევრმა ქარბუქმა  
 და მაინც დარჩა ცხოვრების აზრი.  
 გადაათეთრა თოვლმა ქალაქი  
 და სიახლეთა იქცა დაწყებად,  
 მთებზე ნისლებმა დასცეს ბანაკი,  
 ქალაქს ნისლიც კი გაუნაწყენდა.  
 გადაიპენტა სივრცე საყვარლად,  
 გზები გაკვალეს სულ სხვა დარებმა,  
 და როგორც თავის ხელში აყვანა  
 ქროლვა დაიწყეს თეთრმა ქარებმა.  
 გაჩნდა ოცნება ბაკურიანის  
 თოვლის მორევში გადასაშვებად,  
 თითქოს სხვა მიზნით,

სხვა გულიანი,  
 სხვა გზით ცდილობდი თავის აშვებას.  
 დიდი ქალაქი გხუთავდა დიდხანს,  
 ნატრობდი ახალს  
 თუნდაც უმცირესს,  
 თითქოს ელოდი ბუნებამ გითხრას  
 სულს სინანული ბევრს რად უმძიმებს.  
 დღეებს დამთრგუნველს,  
 რასაც იგებდი,  
 შენი სიკეთის მადლი ავსებდა,  
 წინ მიდიოდი სხვა ბილიკებით  
 და მაინც გქონდა ძველთან მსგავსება.  
 ყველა ბილიკი შენით თუ შენგან,  
 პგავდა მინდორზე ხნულის გავლებას,  
 და ძველებურად ეძებდი ბევრგან  
 ვით იმედისთვის ხელის ჩაგლებას.  
 როდესაც ბეჭმა მაინც იბედა  
 და როცა სული მთისკენ აფრინდა,  
 ბაქურიანი დაგხვდა იმედად  
 შენ, გამოვარდნილს თავშესაფრიდან.  
 ისედაც ბედი იყო საძებნი,  
 თითქოს ზღვისპირას იდექ ბორანთან,  
 თოვლში ქრებოდა ლამე ძაძებით  
 და თოვლი ლამეს რძისფრად თქორავდა.  
 ღუმელი ოთახს მკრთალად ანთებდა,  
 ლანდი ქურდივით კედლებს ურბენდა,  
 შენ კი ბოლომდის მისი გმართებდა  
 და მზად იყავი გასასტუმრებლად.  
 ბედნიერება სიმარტოვეში  
 გერგო  
 და სხვა რამ აღარც გინდოდა,  
 ნაცნობთა მზერას ძლივსლა მოეშვი,  
 რომლებიც დარჩნენ რუსფერ მინდორთან.  
 გაჟღენთილიყო ღუმილი ვნებით,  
 ვეღარ აღწევდა სხვა ხმა შენამდე,  
 მთვარის სვეტები პრიალა ხმლებით  
 თოვლში თავდახრილ ფიჭვებს ბელავდნენ.  
 გათენებასაც აღარ ნატრობდით,

სახლი გფარავდათ ტყესთან მდებარე,  
 რა კარგი იყო,  
 როცა მარტონი  
 სიყვარულსა და სითბოს ებარეთ.  
 უამი კი ისე მიგრიალებდა  
 ველარ უძლებდით ურუანტელს წამთა,  
 კარგად იცოდით იგვიანებდით  
 და ოცნებათა ახდენის გწამდათ.  
 დრო კი მზიანში თოვლივით გაქრა  
 გადავსებულა ღორლით სანგრები,  
 ირგვლივ კუპრივით წყვდიადი გაკრავს  
 და აღარ მოჩანს გზები გაგნების.  
 მნელია მუდამ იარო ბნელში  
 დასუსტებული ხელის ფათურით,  
 აბლაბუდებით დაბინდულ ჭერშიც  
 სუსტი კიაფი გაქრეს ნათურის.  
 თავს წყვდიადიდან თუ ვერ დავაღწევთ,  
 თუ არ გვაქვს ძალა ცეცხლის შენთების,  
 მაშინ დავკარგავთ ყველა ნაღვაწევს  
 და სამარცხვინოდ გადავშენდებით.  
 ვერ შევიგენით ძალა ერთობის,  
 ველარ გავშალეთ ქარში აფრები,  
 ბოროტებივით ისევ ვერთობით  
 შუღლით, ღალატით და ჩასაფრებით.  
 ქრება ბილიკიც,  
 გასახვევებიც,  
 აღარც თოვლია,  
 აღარც ბაგეა,  
 მიტომ შემოგვრჩა გასამხნევებლად  
 ბაკურიანის ძველი მაგია.

---

## ԺԱՏԱԽՏՈ–ԹԵՂԱՑՈ

### ՃՇՐԱՅ ԻՒՂՎԱԼՈՒՑՈՂՆ

Ճռցեածանունու կյանք կյատանս,  
 զոտ գալութեանու կալու գյուտանու,  
 րույնաւ ահնու գանակիրուու,  
 տումբ արց արևեծուն ամցարու րույնա,  
 կյանք օցու տու շոյրու շնավուունու,  
 մոցոնցեանու հայնուանա և ույլագ,  
 այ ճատուումոցունու პատարա ցյուրամս  
 ճռցեաւ սայարուալու մուկուցա շան.  
 Ճռցալս մոցարդունու նալուկարուգան  
 մուժամ Շեցուցրմեածու վելու վյցեամու,  
 օցու պարուամուու ցանու կարուգան,  
 մինչ նայուցեանուու նուլցեաւ ցատունու,  
 շնեածու նաևնացուու ճուգու ճացուունու,  
 մուժու ճա մուժու շայուցացեամու.  
 մուժու պարուամու ճուգու մոցունու,  
 ჩան և անց վելու նալու մոմրեցու,  
 յարուալու անու ըրու մույունու,  
 մունու մոցացեանու րունու մոցունու,  
 տուունու ճացուցու լունու արվուու,  
 մարալ մուցերալս րում կլուգուգան Շեյուունու.  
 ու ցանագուցու օմերու ճա ամերու,  
 սամմունու չերաց ցասամրուելուցունու,  
 մուրու չավու չերար ամոցուարու,  
 ար ցարու արացու ցասատունու,  
 տումբ կայուանա ցեր ամոցուցանու,  
 ցակուրուցուան, սայութեցեան,  
 մանց ար զմոնցու შունսա ճա ճարցունու,  
 շնու պոցուուցու կացուցագ զիանցու,  
 սամմունու ճուգու մացունու զուուցու,  
 մուժամ ցասնացունու րասաց տելացու  
 ճա կյատանու րում մոցունուցունու.

## შეგინდებულში თელავისაპერ

ზარის ხმა ისმის ნინოწმინდიდან,  
 ლამაზად რეკენ ტაძრის ზარები,  
 მზე გაქრა ჯანღის მიმოწმენდელი,  
 მე კი ძებნასაც არ ვიზარებდი.  
 ახლოს თვლემს კოხტა პატარძეული,  
 მუდამ ამაყი დიდი გოგლათი,  
 თუ ეცდებიან ვიყოთ ძლეული,  
 მტრებს მამულისას ხანჯლით მოვკლავდი.  
 რბილად მოცურავს ღამის კრაველი,  
 თითქოს გამქრალა კვალი სითეთრის,  
 სალამურებით და საკრავებით  
 ჯიქურ შემოჭრილ ღამეს ვითევდით.  
 ღამე მოგვდევდა თელავისაკენ  
 მლოცველებივით გვიან მიმავლებს,  
 ჯერ ფიალებით ვსვამდით მისაგებს,  
 ანდა ყანწებით ვცდიდით იმავეს.  
 მერე ფერდობზე ფანდაურასთან,  
 და უფრო იქით ბაკურციხესთან,  
 გზას მივთელავდით გადაურაზავს,  
 ისიც კაცივით უკან იხევდა.  
 და ჰა, ნანატრი ჩვენი თელავიც,  
 გადმომზირალი მაღალ ფერდობით,  
 ვინც ვერ შებლალა ქვეყნად ვერავინ,  
 სავსე სიდინჯით, ძმობით, შენდობით.  
 სადღაც ქეიფში უკრავს გიტარა,  
 ხმა აიგნიდან წვება მიწამდე,  
 ჩემი ბიჭები საფლავიდანაც  
 მიცავენ, როგორც ადრე მიცავდნენ.  
 მათი სახელი ისევ დამყვება,  
 თითქოს იმქეყნად არც წასულების.  
 გომბორზე ჯანღი აიყალყება  
 და მოფრინავენ მათი სულები.  
 გზებს კვლავ გავდივართ ნადიკვარამდე,  
 თითქოს მიზანთან ვრჩებით მისული,  
 ღამე კი მთებში იპყრობს წკვარამებს,  
 ვით გავარდნილი ან შეფიცული.

აღაზნის ველზე კრთიან შუქები,  
 როგორც ციმციმი ციცინათლების,  
 მე ამ ქვეყანას წარსულს ვუქებდი,  
 თუ დღევანდლობის ვიცი ნაკლები.  
 მთებს მთვარიანშიც კოხტად ჰქურიათ  
 ვერცხლით ნაჭედი ფაფანაკები,  
 ეს ყველაფერი მშობლიურია,  
 მართლა ძლიერი,  
 მართლა საქები.  
 და სიყვარულით შევძახებ ბარემ,  
 არასდროს შედრკე ხალხო ობოლო,  
 რომ საქართველოს ამ კოხტა მზარემ  
 სულ ინადიკვროს  
 და იგომბოროს.

### გერის ბაზიან

აღარ მოჩანს თვალციმციმა  
 ძველი ვერის ბაღთან,  
 ყინულივით გაგვიცივდა  
 დრო და  
 სხვა დრო დახვდა.  
 აღარც ნუში, აღარც ბალი  
 არეს აღარ დებავს,  
 ვერ ივარგებს ტანდაბალი  
 სივრცის გასაღებად.  
 ბაღი თეთრად აღარ ყვავის,  
 ტოტებს მტვერი აღევს,  
 ცუდს დაგჩხავის თავზე ყვავი,  
 გითრევს დარდის ბადე.  
 ის სხვებისთვის შენიდბული,  
 გულს მუშტივით დაკრავს,  
 ქარიშხალი შეგიღმუვლებს  
 სიჭაბუკე გაქრა.

ქარი ისევ მთაზე ავობს,  
ქედს ჩამოჰქმევს ფარჩას,  
ერთ დროს ვერის სასაფლაო  
ვერის ბაღად დარჩა.  
დრო კი მაინც გადაპენტავს  
იასამნის ბუჩქებს,  
თითქოს ერი გადაბერდა,  
სისხლი აღარ უჩქეფს.  
საოცნებო,  
სანატრელი  
ვერ მიჰყვება აღმართს  
და ისევე აზალს ველით  
ძველი ვერის ბაღთან.

### მხატვარი ოუნგიზ მირზაშვილის ხსოვნას

ხატავდა და ხატავდა  
ფიროსმანის შვილი,  
ხელში ფუნჯით გათავდა  
დასახატი დილით.  
ვერვინ გამოუჩხრიკა  
მხატვარს რამე ნაკლი,  
ისევ დადის ჩუბჩიკა  
პლეხანოვით, ვაკით.  
გამგებსა და შემეცნებს  
დრო შეურჩევს იგავს,  
გუშინ ვნახე ზემელზე  
ნახატების რიგთან.  
ბევრ დაფარულს ხვდებოდა,  
ფერდობს ცვლიდა ეზო,  
ვერის ხიდთან ხვდებოდა  
ინანიშვილს, რეზოს.  
ღვთით მონიშნულ ნახაზებს  
კვლავ ხედავდნენ თვალით,

აღარ დარჩათ ძმაკაცებს  
საქართველოს ვალი.  
ისევ ებრძვის უჩინარს,  
ტილო მიაქვს ჩანთით,  
ისევ ივლის ჩუბჩიკა,  
როგორც მისი ლანდი.  
წასულიც კი აქ არი —  
ფიქრობს, ხატავს, ისმენს  
და მიღიან მანქანით  
ორნი  
გომბორისკენ.

### შეხვედრა ჭარსულთან

აქ თუ იყავი  
ვეღარც იგებდი,  
ქარი დამტვერილ ხაზებს ავლებდა,  
უფერულ დღეთა ძველი რიგები  
დროს მოჰყვებოდნენ ქარვის ჭავლებად.  
ირგვლივ სინათლე იწვა ერთფერი,  
მთამ გამოუშვა ნისლის ნაფაზი,  
დაცემულიყვნენ ძველი კერპები,  
და ფასი უკვე იყო აბაზი.  
როგორც მორები ნაყარი წყლისპირ  
ჩანდნენ ჯგლერთაში თავშერგულები  
და დაწებული დიდი ხნის ქიშპი  
გადაშლილიყო არშეგუებით.  
აქ თუ იყავი  
ვეღარ გავიგე,  
სანთელსაც უნდა ცეცხლის მიწვდენა  
და უხილავი არსოთაგამრიგე  
ჭექა-ჭეხილით წვიმას იწყებდა.

აღარც ბევრი რამ იყო ნაცნობი,  
 აღარც წუთები იდგა გაბედვის  
 და დამეჯახა,  
 როგორც ლვარცოფი  
 შესვედრა თბილი და უცაბედი.  
 გზა გარდასული მძრავდა შეხებით,  
 თანაც აფენდა გამქრალ იარებს,  
 და ირემივით კოხტა ფეხებით  
 გულზე ხელახლა გადამიარე.  
 ძველმა დღეებმა იწყეს რიალი  
 როს იდუმალი სხივი გეცემა,  
 ისევ აფრქვევდა ჰანგს როიალი,  
 და შენს განცდებსაც აასკეცებდა.  
 ზურგსუკან გედგა ძველი ზემელი,  
 ოღონდ ჰანგები იყო იგივე,  
 დრო კი სირბილში წიხლის მცემელი  
 მიქროდა,  
 გულიც ვერ გაიგრილე.  
 უკვე გარდავლილს გრძნობდი სიმძიმეს,  
 როცა ახალი ძნელად იწყება,  
 ძველმა განცდებმა ისე მიგძირეს,  
 ველარ იცლიდი დასავიწყებლად.  
 დღეც ივსებოდა ჩუმი სიცივით.  
 ვით დარდი,  
 წლებმაც რომ ვერ აგვარა  
 და შორეული წლების სიცილი  
 მეორდებოდა ექოს მაგვარად.

---

**თეორი ცხმი ჰისტორიას**  
**არჩილ სულაკაურს**

კვლავ ეფერები შენს ნაყავიჩოს,  
 ბავშვის ღიმივით თბილს და შეუმღვრევს,  
 წითლად ბრდდვიალა ყაყაჩობით  
 მიღიხარ,  
 რათა აღმართის შეუყვე.  
 თან მოგაქვს სიტყვის ძალა უშრეტი,  
 მუხის ფოთლები მხრებზე გაცვიგა,  
 როგორც მშობელი, მოგყვა თუშეთი  
 და თეთრ ტაძრამდის შემოგაცილა.  
 კვლავ სხვისი ტვირთი გკიდია მხრებზე,  
 მანძილს სოფლამდე ხომ უნდა გავლა,  
 არ იკარებდი ავებს და მხლებლებს,  
 მიტომაც იშვი თუშეთის მთავრად.  
 როს ხედავ, გულსაც მათით იმაგრებ  
 მთებს ვერცხლისფერად გადათოვლილთა  
 და მწვერვალების ნატიფ სიმაღლეს  
 მუდამ შესტრფოდი მადათოვიდან.  
 ბილწს ყველა კარი ზიზღით უხურე,  
 გაუძელ ათას ცუდის მოწოდას,  
 და შემატე სითბო ჩუღურეთს,  
 თან ჩამოტანილ მთების კოცონად.  
 რად გაგაჩუმა ცხოვრებამ თარსმა,  
 როცა ამდენი უაზროდ როშავს,  
 შენს საქართველოს,  
 ვით ოქროს ფარსმას,  
 შენი სახელი კვლავ მიაქვს დროშად.  
 მე მტკივა შენი გამქრალი იღბლის  
 რომ დაგვაცილა მშვიდს და საყვარელს,  
 როცა თუშეთის ძალა და ხიბლი  
 თბილის ფიფქივით გადააყარე.  
 კვლავ შენი თეთრი ცხენი ჭიხვინებს,  
 გადაკრულ სიტყვას ვერავინ გკადრებს,  
 როცა ამდენი ცუდი იხილე,  
 ჩუმად დასცილდი ცხოვრებას ადრე.  
 ისევ მოღიხარ ბაცალიგოდან,

ან მთებს შეკიდულ ნაყავიჩოდან,  
 რჩება გულს დაღლილს რაც არ გიკოდავს  
 და უნდა ახდეს შენ რაც გინდოდა.  
 როცა ამდენი წელი გავიდა,  
 აზრებს შენეულს ამაყად ვიგებთ,  
 შენ "გამოხვედი იმ გალავნიდან"  
 და შეუერთდი უკვდავთა რიგებს.

### პოჯრის ძუბის აღმართი ჯდიშერ რჩეულიშვილს

მახსოვს კოჯრის ქუჩის აღმართი  
 და ფანჯარა გორებისენ მზირალი,  
 უამი იდგა ბედის ისე დახლართვის,  
 როგორც ძველი დანგრეული სპირალი.  
 ჩვენი ბუდე —  
 შენი თბილი ოთახი,  
 და ქეიფი —  
 მეგობრობის სათავე,  
 გარდასული საყვირივით მოგვძახის,  
 გახსენებებს ახლაც ვეღარ ვამთავრებთ.  
 ჩვენც გვიხმობდა იისფერი სამადლო,  
 ვით სურნელი აღსავლის და დასავლის,  
 სილამაზემ თავი არ მოგვანატროს,  
 და მამულიც მხარში გვედგას ძმასავით.  
 მახსოვს კოჯრის ქუჩის აღმართი,  
 როგორც ყოფის ჩაუქრობი ნიშანი,  
 და მას,  
 რასაც მთელ ცხოვრებას ვახმარდით,  
 ჩვენთან დარჩა მარად გაუთიშავი.